

დამხმარე
სახელმძღვანელო
საქართველოს უმაღლესი
საგანმანათლებლო
დაწესებულების
სტუდენტებისთვის
2022 წელი



ცეცკო
საქართველოს საარჩევნო
ადმინისტრაცია



საარჩევნო სისტემების
მანვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

2010 წლიდან საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრსა და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის (საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საარჩევნო სამართლის დარგში სასწავლო პროგრამის განხორციელების შესახებ) ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით 19 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დაინერგა სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული ინოვაციური პროექტი, რომლის მიზანია, ერთი მხრივ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და, მეორე მხრივ, საარჩევნო სამართლის დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე იურისტებისა და ჟურნალისტების მომზადება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა შეიმუშავა დამხმარე სასწავლო მასალები ლექტორებისა და სტუდენტებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო გათვალისწინებულია პარტნიორი უნივერსიტეტების იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტებისათვის და საარჩევნო სამართლით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის. სახელმძღვანელოში განხილულია საქართველოს საარჩევნო სამართლის ძირითადი საკითხები და მოყვანილია მაგალითები მსოფლიო პრაქტიკიდან.

საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციების სრული სახით გაცნობის მიზნით, იხილეთ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს ორგანული კანონი “რეფერენდუმის შესახებ” და ცესკოს შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1. არჩევნების ცნება, არჩევნების სახეები და პერიოდულობა.....	8
თავი 2. საარჩევნო სისტემები, საქართველოს საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები	11
თავი 3. საარჩევნო პროცესი და საარჩევნო პროცესის მართვის ორგანო	17
თავი 5. არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები	36
თავი 6. ამომრჩეველთა რეგისტრაცია.....	48
თავი 7. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)	56
თავი 8. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა	65
თავი 9. არჩევნები და ფინანსები	72
თავი 10. კენჭისყრის დრო და ადგილი	80
თავი 11. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები.....	82
თავი 12. კენჭისყრის პროცესი.....	89
თავი 13. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება....	95
თავი 14. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა....	108
თავი 15. საარჩევნო დავები	111
თავი 16. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.....	123
თავი 17. საქართველოს პარლამენტის არჩევნები.....	131
თავი 18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.....	145
თავი 19. თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები.....	155
თავი 20. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები.....	171
თავი 21. რეფერენდუმი და პლებისციტი.....	175
დანართი N1. პრეზიდენტის არჩევნები – პრაქტიკული მაგალითები....	182
ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა.....	182
ლიეტუვის რესპუბლიკა.....	183
ლატვიის რესპუბლიკა.....	184
პოლონეთის რესპუბლიკა	185
ჩეხეთის რესპუბლიკა.....	186

ამერიკის შეერთებული შტატები.....	187
იტალიის რესპუბლიკა	188
დანართი N2. პარლამენტის არჩევნები – პრაქტიკული მაგალითები....	189
ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა	189
ლიეტუვის რესპუბლიკა.....	190
ლატვიის რესპუბლიკა	191
პოლონეთის რესპუბლიკა	192
ჩეხეთის რესპუბლიკა.....	193
ამერიკის შეერთებული შტატები.....	194
იტალიის რესპუბლიკა	195
დანართი N3. ქვეყნები, სადაც დიდ ქალაქებში მერები პირდაპირი არჩევნების გზით აირჩევიან, – პრაქტიკული მაგალითები.....	197
ბულგარეთის რესპუბლიკა	197
დიდი ბრიტანეთი.....	198
ისრაელი.....	199
მაკედონია.....	199
მოლდოვის რესპუბლიკა	199
პოლონეთის რესპუბლიკა	200
რუმინეთი.....	200
სლოვენია.....	200
ხორვატია	201
ალბანეთი.....	202
ავსტრალია – ვიქტორიას შტატი, მელბურნი.....	202
უნგრეთი	202
უკრაინა.....	203
დანართი N4. საარჩევნო სისტემები	203
დანართი N5. ტერმინთა განმარტება	213

შესავალი

დემოკრატია არის სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომელშიც უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს და რომლის მიზანია ადამიანთა თანასწორობის იდეის ცხოვრებაში გატარება და მათი, მხოლოდ საყოველთაო თანხმობით მიღებული კანონებით შეზღუდული, თავისუფლების უზრუნველყოფა. მაშასადამე, დემოკრატია ხალხის ნებას ემყარება და იგი არის ხალხის ხელისუფლება, განხორციელებული ხალხის მიერ და ხალხისთვის. მაგრამ, როგორ გამოხატავს ხალხი თავისი ნებას და როგორ იქცევა იგი ხელისუფლების წყაროდ სახელმწიფოში? ხალხის მიერ რაიმე საკითხზე საკუთარი ნების გამოხატვა (კენჭისყრა) ორგვარად შეიძლება მოხდეს და ამის მიხედვით დემოკრატიაც ორი სახისაა: უშუალო ანუ პირდაპირი და წარმომადგენლობითი. პირველ შემთხვევაში მოქალაქეები კენჭისყრით პირდაპირ წყვეტენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საკითხებს, ხოლო წარმომადგენლობითი დემოკრატიის შემთხვევაში, მოქალაქეები ირჩევენ თავის წარმომადგენლებს, რომლებიც ხალხის სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს და მართავენ ქვეყანას. შესაბამისად არჩევნები არის პროცედურა, რომლითაც თითოეული ადამიანი ახორციელებს თავის ერთ-ერთ ძირითად უფლებას – უფლებას მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის მართვაში და თანამოქალაქეებთან ერთად განსაზღვრავდეს სახელმწიფო ხელისუფლებასა და მის პოლიტიკურ კურსს. არჩევნები ნებისმიერი სახელმწიფოს დემოკრატიულობის, ხალხის ნების გამოხატვის ინსტრუმენტია, იგი დემოკრატიის არა მარტო არსებითი ნიშანი და ატრიბუტია, არამედ მისი ქვაკუთხედი და აუცილებელი პირობაცაა.

საქართველოში არჩევნები სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ფორმის დამკვიდრებას უკავშირდება. საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ (გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, პრაქტიკულად საქართველოს მთავრობის ფუნქციას ასრულებდა) 1918 წლის 26 მაისს მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, რომლის საფუძველზეც საქართველოს მთავრობას და ხალხს საშუალება მიეცა საკუთარი ძალისხმევა დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული ახალი სახელმწიფოს მშენებლობისკენ მიემართა. ამ ღირებულებებიდან ერთ-ერთი უმთავრესი იყო სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირება პერიოდული არჩევნების გზით.



პირველი მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები 1919 წლის 14–16 თებერვალს ჩატარდა. ამდენად, არჩევნების ისტორია საქართველოში 1919 წლიდან იწყება. პირველ არჩევნებს საფუძვლად დაედო საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ 1918 წლის 22 ნოემბერს მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება“, რომელიც საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე 130 წევრის არჩევას (პარტიული სიებით) ითვალისწინებდა.

მნიშვნელოვანია, რომ იმ დროს, როდესაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალებს ხმის უფლებაც კი არ ჰქონდათ, დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიებში კანდიდატებად ოცამდე ქალი დარეგისტრირდა. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში კი ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი. პირველი ქართველი ქალი პარლამენტარები იყვნენ ელისაბედ ბოლქვაძე, ელენორა ტერპარსეგოვა-მახვილაძისა, მინადორა ტოროშელიძე, ქრისტინე შარაშიძე, ანა (ოლღა) სოლოლაშვილი.



1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ თითქმის 70 წლის განმავლობაში საქართველოში თავისუფალი არჩევნები არ გამართულა. არჩევნები წინასწარ, კომუნისტური პარტიის უმაღლეს ორგანოებში იგეგმებოდა და პრაქტიკულად უაღტერნატივო იყო.

XX საუკუნის 70-იან წლების დასასრულისა და 80-იანი დამდეგისათვის საბჭოთა სისტემის კრიზისმა ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო. 1985 წელს საბჭოთა ხელისუფლებაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ახალმა ხელისუფლებამ

ალიარა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი. აღიარებული იქნა ქვეყნის არადემოკრატიულობა, და ქვეყანაში დამყარებული დიქტატურა.

1988 წლიდან საქართველოში ანტისაბჭოთა მიტინგები და დემონსტრაციები ძლიერდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი დღითიდღე იზრდება, ეს იდეა სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს მოსახლეობაში, ძლიერდება ეროვნული მოძრაობა. ამ პროცესების პარალელურად, 1990 წლის 20 ივნისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გაუქმებულად გამოაცხადა საქართველოს ოკუპაციისა და ანექსიის შედეგად შექმნილი ხელისუფლების ორგანოები, რადგან ისინი არ გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ჭეშმარიტ, თავისუფალ ნება-სურვილს. უკანონოდ და ბათილად გამოცხადდა ყველა აქტი, რომელიც აუქმებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურ ინსტიტუტებს.



1990 წლის 18 აგვისტოს, ეროვნული მოძრაობის ზენოლით, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი საარჩევნო კანონი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი „საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, რომელიც არასაბჭოური და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას ითვალისწინებდა. არჩევნები 1990 წლის 28 ოქტომბერს დაინიშნა და მას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნები“, ნაცვლად „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა“. არჩევნები შერეული, სიმეტრიული საარჩევნო სისტემით ჩატარდა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე აირჩა 125 დეპუტატი, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით, ასევე 125 დეპუტატი. ყოველ ამომრჩეველს ჰქონდა 2 ხმა, რომელთაგან ერთს პარტიულ სიას აძლევდა, მეორეს – ერთმანდატიან ოლქში წარდგენილ კანდიდატს. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში 14 პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროსაც მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, სურდა თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის (მათ შორის, სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის) საერთო რაოდენობის 90,3%-მა, რომელთაგან 98,9%-მა კითხვას დადებითად უპასუხა. რეფერენდუმის საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენის აქტი. 1991 წლის 31 მარტს საქართველოში გაიმართა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პირველი არჩევნები.

1991 წლის 14 აპრილს შემოღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და იმავე წლის 26 მაისს საქართველოში ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. ამ დროიდან მოყოლებული საქართველოში პერიოდულად ტარდება პრეზიდენტის, პარლამენტის, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები. 1990 წლიდან დღემდე 35 არჩევნები ჩატარდა, მათ შორის: 10 - საპარლამენტო; 7 - საპრეზიდენტო; 8 - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები; 1- აჭარის ა/რ მეთაურის არჩევნები; 8 - აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები; 1 - აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 1990 წლიდან დღემდე საქართველოში ჩატარდა 2 - რეფერენდუმი და 1 - პლებისციტი.

1990 წლიდან დღემდე ჩატარებული არჩევნები/რეფერენდუმი/პლებისციტი										
საპრეზიდენტო არჩევნები		1991	1995	2000	2004	2008	2013	2018		
საპარლამენტო არჩევნები	1990	1992	1995	1999	2003	2004	2008	2012	2016	2020
აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები		1991	1996	2001	2004	2008	2012	2016	2020	
აჭარის ა/რ მეთაურის არჩევნები				2001						
აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს არჩევნები		1991								
თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები		1991	1998	2002	2006	2010	2014	2017	2021	
რეფერენდუმი		1991		2003						
პლებისციტი						2008				

თავი 1. არჩევნების ცნება, არჩევნების სახეები და პერიოდულობა

არჩევნებსა და საარჩევნო პროცედურებს კაცობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების ინსტიტუტი ანტიკური ეპოქიდან არსებობს, მეცნიერება არჩევნების შესახებ - **პსეფოლოგია** (ბერძნ. "psephos" - ნიშნავს კენჭს, რომელსაც დემოკრატიულ ათენში არჩევნების დროს აგდებდნენ საარჩევნო ურნაში) - XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იმკვიდრებს

თავს (1952 წლიდან). პსეფოლოგიის კვლევის საგანს წარმოადგენს არჩევნები, მისი როლი და ადგილი საზოგადოების განვითარების პროცესში.

არჩევნების ცნება. არჩევნები არის პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების ორგანოების ფორმირება. არჩევნების მეშვეობით ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს და ანიჭებს მათ თავის სუვერენულ უფლებათა განხორციელების მანდატს.

არჩევნები, პოლიტიკური უფლებები და ქვეყნის მართვაში მოსახლეობის მონაწილეობა დემოკრატიის უმთავრესი კომპონენტებია. მოქალაქის უფლება აირჩიოს ხელისუფლება ანუ თავისი წარმომადგენლების მეშვეობით განხორციელოს ძალაუფლება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს მიეკუთვნება. გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად: “ხელისუფლების საფუძველი ხალხის ნება უნდა იყოს; ეს ნება უნდა გამოვლინდეს პერიოდულ და გაუყალბებელ არჩევნებში, რომელიც უნდა გაიმართოს საყოველთაო და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფართული კენჭისყრით ან ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფილი სხვა წესით”.

არჩევნების სოციალური ფუნქცია. აღსანიშნავია არჩევნების სოციალური ფუნქციაც. არჩევნები, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდი, ამომრჩევლის საშუალებას აძლევს გააანალიზოს არჩევნებში ჩართულ პარტიათა და პოლიტიკოსთა საქმიანობა, შეაფასოს მათი სამომავლო პროგრამები, გააკეთოს გააზრებული არჩევანი და სახელმწიფოს მართვის უფლება გადასცეს მათ, ვისაც უფრო ენდობა და ვისი სამომავლო ხედვებიც შეესაბამება ამომრჩეველთა ინტერესებს. მეორე მხრივ, არჩევნების სოციალური ფუნქცია გულისხმობს, არჩევნების შედეგების საფუძველზე შევაფასოთ ქვეყანაში სხვადასხვა პარტიის გავლენის დონე, ამომრჩეველთა განწყობა და პოლიტიკური ტენდენციები. საარჩევნო კანონმდებლობა და საარჩევნო პერიოდში მისი მოთხოვნების დაცვის ხარისხი საშუალებას იძლევა შევაფასოთ ქვეყანაში დემოკრატიის დონე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნები მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციას, თუ დაცულია საარჩევნო სამართლის ძირითადი პრინციპები. ამ პრინციპებიდან პირობითად ორი ჯგუფი შეიძლება გამოიყოს: ამომრჩევლის სტატუსის განმსაზღვრელი პრინციპები და არჩევნების ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები (იხ. ქვემოთ, მე-2 თავი).

არჩევნების სახეები. არჩევნები იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ, საყოველთაო და შუალედურ (ნაწილობრივ), მორიგ, რიგგარეშე და ხელახალ, ერთტურიან და ორტურიან არჩევნებად, აგრეთვე ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ არჩევნებად.

პირდაპირი და არაპირდაპირი არჩევნები. პირდაპირი არჩევნების დროს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლებისა და

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წევრებსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირებს. არაპირდაპირი არჩევნების დროს კი ამომრჩეველთა ნების პირდაპირი რეალიზება არ ხდება, არჩევის საკითხს წყვეტენ არა უშუალოდ მოქალაქეები, არამედ მათ მიერ არჩეული პირები - დეპუტატები, ამრჩევები და ა. შ.

საყოველთაო (საერთო) არჩევნები. საყოველთაო არჩევნები, რომელში მონაწილეობის უფლებაც აქვს ქვეყნის ყველა ამომრჩეველს. საყოველთაო არჩევნებს მიეკუთვნება რეგიონის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებიც, რომლებში მონაწილეობის უფლებაც, შესაბამისად, რეგიონისა და ადმინისტრაციული ერთეულის ყველა ამომრჩეველს აქვს.

შუალედური (ნაწილობრივი) არჩევნები. შუალედურია (ნაწილობრივია) არჩევნები, რომელიც იმართება წარმომადგენლობითი ორგანოს ნაწილობრივი განახლებისათვის (როტაციისათვის) ან მისი შემადგენლობის შესავსებად (როდესაც ამ ორგანოს ვადამდე გამოაკლდება ერთი ან რამდენიმე წევრი).

მორიგი, რიგგარეშე და ხელახალი არჩევნები. მორიგია არჩევნები, რომელიც ტარდება კონსტიტუციით ან კანონით დადგენილ ვადაში, შესაბამისი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. რიგგარეშე არჩევნები, რომელიც ტარდება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში. თუ არჩევნები არ შედგა ან მისი შედეგი ბათილად იქნა ცნობილი, ამ შემთხვევაში იმართება ხელახალი არჩევნები ანუ საარჩევნო პროცესი თითქმის თავიდან იწყება.

ერთტურიანი და ორტურიანი არჩევნები. არჩევნები ერთ ტურად იმართება, თუ არჩევნების საბოლოო შედეგი დგინდება ამომრჩეველთა ერთჯერადი ხმის მიცემის გზით, ხოლო თუ საბოლოო შედეგის დასადგენად ერთზე მეტი ტურია საჭირო, არჩევნები ორ ან მეტ ტურად იმართება.

ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი არჩევნები. არჩევნებს განასხვავებენ აგრეთვე იმ ტერიტორიის მიხედვით, რომლებზეც იგი იმართება. ამ თვალსაზრისით, არჩევნები ეროვნულია, როდესაც იგი მთელ ქვეყანაში იმართება ქვეყნის ხელისუფლების ასარჩევად. რეგიონულია, როდესაც იგი მხოლოდ ქვეყნის ცალკეულ რეგიონში იმართება რეგიონის ხელისუფლების ასარჩევად. ადგილობრივია, როდესაც იგი ქვეყნის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ასარჩევად.

თავი 2. საარჩევნო სისტემები, საქართველოს საარჩევნო სამართლის წყაროები და პრინციპები

საარჩევნო სისტემები. ტერმინი „საარჩევნო სისტემა“ ორი მნიშვნელობით გამოიყენება. საარჩევნო სისტემა ფართო გაგებით, სახელმწიფოს არჩევითი ორგანოს ფორმირების წესია, ვიწრო გაგებით - კენჭისყრის შედეგების მიხედვით საჯარო ხელისუფლების ორგანოში ასარჩევ კანდიდატთა შორის მანდატების განაწილებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევის წესია (ვრცლად იხ. დანართი - „საარჩევნო სისტემები“).

საარჩევნო სისტემას აწესრიგებს საარჩევნო სამართალი, თუმცა, საარჩევნო სამართლებრივ ნორმათა გარდა, საარჩევნო სისტემის მოწესრიგებაში სხვა სამართლებრივი (სამოქალაქო, შრომის, სისხლის, ადმინისტრაციული და საპროცესო სამართლის ცალკეული ნორმები) და არასამართლებრივი ნორმებიც (პოლიტიკურ პარტიათა წესდებები, პოლიტიკური და პროფესიული მორალისა და ეთიკის ნორმები, ტრადიცია და სხვ.) მონაწილეობს.

საარჩევნო სამართალი. საარჩევნო სამართალი კონსტიტუციური სამართლის შემადგენელი ნაწილია. იგი არის სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, უზრუნველყოფს პირის უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევნებში და ადგენს ამ ორგანოთა და თანამდებობის პირთა არჩევის წესს, აგრეთვე რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვის წესს.

საარჩევნო სამართლის წყაროები. საარჩევნო სამართლის წყაროებს მიეკუთვნება შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილი შესაბამისი ნორმები. ამ წყაროებს შორის უპირველესი ადგილი საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციას უჭირავს. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რაც დემოკრატიული არჩევნების ჩატარების აუცილებელი პირობაა. არჩევნების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების იერარქიაში მეორე ადგილი საერთაშორისო აქტებს¹ უჭირავს, ხოლო მომდევნო ადგილი საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (შემდგომში - საარჩევნო კოდექსი) უკავია. გარდა აღნიშნულისა,

¹ გეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წ.), ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950 წ.) და მისი ოქმი N1, მუხლი 3 (1954 წ.), სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (1966 წ.), საერთაშორისო კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ (1965 წ.), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენცია (1979 წ.), ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (1985 წ.), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობას განეკუთვნება საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საარჩევნო სამართლის პრინციპები. საარჩევნო სამართალი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპს:


- ▶ საყოველთაო საარჩევნო უფლება;
- ▶ თანასწორი საარჩევნო უფლება;
- ▶ პირდაპირი საარჩევნო უფლება;
- ▶ კენჭისყრის ფარულობა;
- ▶ ნების თავისუფალი გამოვლენა;
- ▶ არჩევნების პერიოდულობა.

თითოეული პრინციპის განმარტებამდე აუცილებელია განიმარტოს ამ პრინციპებთან დაკავშირებული აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებების ცნებები.

აქტიური საარჩევნო უფლება ნიშნავს არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში კანდიდატების არჩევის უფლებას, აგრეთვე რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლებას.

პასიური საარჩევნო უფლება ნიშნავს მოქალაქის უფლებას, იყოს არჩეული არჩევით სახელმწიფო ორგანოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

საარჩევნო სამართლის პრინციპი – საყოველთაო საარჩევნო უფლება. ამ პრინციპის თანახმად, არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა სრულწლოვან მოქალაქეს (ასეთია საარჩევნო უფლების საყოველთაობის პრინციპის ზოგადი განმარტება), მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში, ვინაიდან საარჩევნო სამართალს შემოაქვს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელი შემზღუდველი ნორმების მთელი სისტემა ე.წ. ცენზების სახით. აქტიური საარჩევნო უფლება უმნიშვნელოდ, პასიური საარჩევნო უფლება კი არაერთი ცენზით არის შეზღუდული. ამრიგად, საარჩევნო ცენზი არის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი შემზღუდველი პირობები, რომლებიც განსაზღვრავს საარჩევნო უფლების მქონე პირთა წრეს.



ტექნიკური ცენზები. მოქალაქეობის ცენზის თანახმად, საქართველოში არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს.

ბინადრობის ცენზი გულისხმობს სახელმწიფოში ან მის ადმინისტრაციულ ერთეულში ცხოვრების მინიმალურ დროს, რომლის შემდეგაც პირი იღებს საარჩევნო უფლებას. საქართველოს კანონმდებლობით ბინადრობის ცენზი აქტიური საარჩევნო უფლებისთვის პირდაპირ არ არის განსაზღვრული, თუმცა იგი რეალურად არსებობს. საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეჰყავთ მისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აქტიური საარჩევნო უფლებისაგან განსხვავებით, პასიური საარჩევნო უფლებისთვის კანონმდებლობა პირდაპირ ადგენს ბინადრობის ცენზს. მაგალითად: საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც; საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წელი მაინც. მუნიციპალიტეტის მერად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წელს მაინც.

ასაკობრივი ცენზი გულისხმობს კონკრეტულ ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგ მოქალაქე იძენს საარჩევნო უფლებას. საქართველოს მოქალაქე აქტიურ

საარჩევნო უფლებას იძენს 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება პასიურ საარჩევნო უფლებას, მას პირდაპირი კავშირი აქვს საჯარო ხელისუფლების ცალკეული ორგანოების არჩევნებთან. მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან; საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან; მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან, ხოლო მუნიციპალიტეტის მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განათლების ცენზს, გარდა სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნისა (პარტიას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარადგინოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის საქართველოს სახელმწიფო ენა).

ქმედუნარიანობისა და მორალური ცენზები. ქმედუნარიანობის ცენზის თანახმად, საარჩევნო უფლება არ აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

მორალური ცენზი გულისხმობს საარჩევნო უფლების ჩამორთმევას მოქალაქისთვის, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში (ასეთი შემთხვევა თითქმის ყველა ქვეყნის კანონმდებლობაშია მოცემული). ამასთან, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა“. გარდა აღნიშნულისა „წარაკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეს შეიძლება შეეზღუდოს პასიური საარჩევნო უფლება.

დამცავი ცენზი. დამცავი ცენზი მოიცავს **აურჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზებს**. ამ ცენზების დაწესების აზრი ის არის, რომ არ მოხდეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების აღრევა. აურჩევლობის ცენზი განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებიც საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირებამდე ანდა რეგისტრაციის შემდეგ უნდა გადადგენ დაკავებული თანამდებობიდან.

შეუთავსებლობის ცენზი კი უზღუდავს არჩევითი თანამდებობის პირებს გარკვეულ საქმიანობის განხორციელების უფლებას. მაგალითად, პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ხოლო საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, მათ შორის, პარტიული, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

საარჩევნო სამართლის პრინციპი – თანასწორი საარჩევნო უფლება.

თანასწორი საარჩევნო უფლება ნიშნავს, რომ ყველა ამომრჩეველს კანონის ფარგლებში თანასწორი უფლებები და საარჩევნო უფლების რეალიზაციისთვის თანასწორი პირობები აქვს. საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს და იცავს მოქალაქეების თანასწორობას, რაც, მათ შორის, გულისხმობს ორივე სქესის მოქალაქისთვის თანაბარი პირობების შექმნას პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისთვის. კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ ადგენს, რომ ქალებსა და მამაკაცებს უფლება აქვთ აირჩიონ და იყვნენ არჩეულები თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე².

საარჩევნო სამართლის პრინციპი – კენჭისყრის ფარულობა. ხმის მიცემის ფარულობის პრინციპის თანახმად ყველა ამომრჩეველს ეძლევა საშუალება მისი გადაწყვეტილება დარჩეს ფარული. ფარული კენჭისყრის დაცვითი ფუნქციის მიზანი თავისუფალი არჩევნების განხორციელებაა და იმაზეა მიმართული, რომ ამომრჩევლის ნების ასრულებაზე მოიხსნას გარე ძალების ზეწოლა, მეთვალყურეობა და კონტროლი. მოცემული პრინციპის თეორიული იდეა ჯერ კიდევ 1789 წელს იშვა საფრანგეთში, მაგრამ მისი პრაქტიკული ამოქმედება, მოგვიანებით, 1871 წლისთვის საფრანგეთში, 1872 წელს დიდ ბრიტანეთში განხორციელდა. ამჟამად, იშვიათია ქვეყანა, რომლის კონსტიტუციით არ არის აღიარებული ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი. მხოლოდ ფარული კენჭისყრის პირობებშია შესაძლებელი ჭეშმარიტად სახალხო ნების გამოვლენა³.

საარჩევნო სამართლის პრინციპი – პირდაპირი საარჩევნო უფლება. თუ ამომრჩეველი უშუალოდ იმ საარჩევნო სუბიექტს აძლევს ხმას, რომელმაც კონკრეტული თანამდებობა უნდა დაიკავოს, მაშინ არჩევნები პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ტარდება. საქართველოს პარლამენტის წევრს,

² წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას სახელმწიფო ვალდებულია იღებს ორივე სქესის მოქალაქეებისთვის უზრუნველყოს თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. საქართველო ასევე მიერთებულია გაეროს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, მათ შორის გაეროს კონვენციას „ქალთა მიმართ ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“ (CEDAW) რომელთა მიზანია ქალებისა და მამაკაცების თანასწორობისთვის გარანტიების შექმნა.

³ „საარჩევნო სამართალი თეორია და ქართული პრაქტიკა“ - ო. მელქაძე, გამომცემლობა უნივერსალი, 2012 წ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, მუნიციპალიტეტის მერს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ.

თუ მოქალაქეები ირჩევენ ამრჩევებს, რომელებიც შემდგომ ირჩევენ საარჩევნო სუბიექტებს ან იქმნება სპეციალური ორგანო, რომელიც ირჩევს კანდიდატს, მაშინ საქმე არაპირდაპირ არჩევნებთან გვაქვს. ასე მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტს დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომელის შემადგენლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, შედიან საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული საქართველოს პარლამენტისა და სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების დეპუტატები.

საარჩევნო სამართლის პრინციპი – ნების თავისუფალი გამოვლენა. საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას, და ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე კონტროლი (აკრძალულია ამომრჩევლის იძულება, დაშინება და ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. აღნიშნული ქმედება იწვევს დამრღვევის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას), რაც, თავის მხრივ, გულისხმობს პირის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაში ჩაურევლობას.

საარჩევნო სამართლის პრინციპი - არჩევნების პერიოდულობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, ხელისუფლების საფუძველია ხალხის ნება, რომელიც უნდა გამოვლინდეს პერიოდულ არჩევნებში. ე.ი. სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არის არჩევნების პერიოდულობა. იგი განისაზღვრება წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადით, რომელიც კონსტიტუციით ან კანონით არის დადგენილი. არჩევნების პერიოდულობა ამომრჩევლს არჩეულ პირებზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს: მას საშუალება ეძლევა ზუსტად დადგენილი პერიოდულობით განაახლოს წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობა, ხელახლა აირჩიოს ადრე არჩეული პირი, თუ კმაყოფილია მისი საქმიანობით, ან აირჩიოს სხვა, თუ მან მისი ნდობა დაკარგა. იგივე უნდა ითქვას, როდესაც საქმე ეხება საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის არჩევნებს. ასეთი წესი აიძულებს პოლიტიკურ პარტიებსა და არჩეულ პირებს მუდმივი კავშირი ჰქონდეთ ამომრჩევლებთან, გაითვალისწინონ მათი მოთხოვნები, დაარწმუნონ ისინი თავისი პოლიტიკის სისწორეში და ა. შ.

წარმომადგენლობითი ორგანოსა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. პარლამენტის უფლებამოსილების ვადა, ჩვეულებრივ, 4-5 წელია, პრეზიდენტის - 4-5 წელი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა 2-6 წელი. უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, არ იკრძალება ერთი და იმავე პირის

მრავალჯერ არჩევა პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოში. პრეზიდენტად არჩევის შესაძლებლობა კი, როგორც წესი, ორი ვადით იზღუდება. ამის უმთავრესი მიზეზი ერთი პირის, პრეზიდენტის ხელში თავმოყრილი დიდი ძალაუფლება (საპრეზიდენტო და შერეული მართვა-გამგეობის ფორმის მქონე რესპუბლიკებში) და, მაშასადამე, მისი არამართლზომიერად გამოყენების საშიშროებაა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, პარლამენტს უფლება არ ეძლევა გაიგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა, პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას კი არც ერთი დემოკრატიული ქვეყნის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი კონსტიტუცია შესაძლებლად მიიჩნევს პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაგრძელებას ან პირდაპირ კრძალავს არჩევნების გამართვას ომიანობისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დროს. მთელი რიგი დემოკრატიული ქვეყნების კანონმდებლობა ასევე იცნობს პარლამენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ხოლო პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, როგორც წესი, ყველა კონსტიტუცია ითვალისწინებს.

თავი 3. საარჩევნო პროცესი და საარჩევნო პროცესის მართვის ორგანო

საარჩევნო პროცესი. საარჩევნო პროცესი არის ინდივიდების, ორგანიზაციებისა და ცალკეული ჯგუფების მიერ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიზნით განხორციელებული საქმიანობა. საარჩევნო პროცესი რეგულირდება სამართლებრივი აქტებისა და სოციალური ნორმების (მაგალითად, ტრადიციების) მეშვეობით. ამრიგად, საარჩევნო პროცესი არის გარკვეული აქტივობა და სამართლებრივი ნორმების სისტემა, რომელიც ამ აქტივობას არეგულირებს. განასხვავებენ საარჩევნო პროცესის ორ მხარეს: ოფიციალურს და არაოფიციალურს. ოფიციალურ მხარეში იგულისხმება სახელმწიფო ორგანოების მიერ არჩევნების ჩასატარებლად განხორციელებული ღონისძიებები, მაგალითად: საარჩევნო კომისიების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ჩატარებასა და ამ პროცესის ზედამხედველობას, უზრუნველყოფენ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციას და ა. შ. არაოფიციალურ მხარეში იგულისხმება ისეთ მოქმედებები, რომელთაც პოლიტიკური პარტიები ან სხვა არასახელმწიფო ორგანოები (მაგალითად, დამკვირვებლები, მასმედიის წარმომადგენლები და ა.შ.) განახორციელებენ.


საარჩევნო პროცესის ძირითადი ეტაპები. საარჩევნო პროცესი შესაძლებლობას იძლევა იგი დაიყოს შედარებით დამოუკიდებელ, ერთმანეთის შემცვლელ სტადიებად, რომლებიც ერთობლიობაში ქმნის საარჩევნო პროცესის სტრუქტურას. დროითი თანამიმდევრობისა და გადასაწყვეტი ამოცანების

თავისებურებებიდან გამომდინარე, საარჩევნო პროცესში პირობითად გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ეტაპები: არჩევნების დანიშვნა; საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნა (საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნა); საარჩევნო კომისიების ფორმირება და ამომრჩეველთა რეგისტრაცია; კანდიდატების წარდგენა/რეგისტრაცია; საარჩევნო კამპანია; კენჭისყრა; კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება; განმეორებითი კენჭისყრა, არჩევნების მეორე ტური, ხელახალი არჩევნები; არჩევნების შედეგების დადგენა და გამოქვეყნება.

საარჩევნო პროცესის (არჩევნების) მართვის ორგანოები. არჩევნების მომზადება, გამართვა და არჩევნების შედეგების შეჯამება საარჩევნო პროცესის მართვის ორგანოების ძირითადი დანიშნულებაა.

მსოფლიოში არსებული პრაქტიკით, არჩევნების მართვის ორგანოები შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივმოქმედი. დროებითი ორგანო იქმნება კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად და აქვს უფლებამოსილების განსაზღვრული ვადა. რაც შეეხება მუდმივმოქმედ ორგანოს, ეს არის ინსტიტუცია, რომელსაც გააჩნია ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ფუნქციონირებს საქმიანობის შეწყვეტლად.

არსებობს არჩევნების მართვის ორგანოების **სამი მოდელი**, დამოუკიდებელი - საარჩევნო ტრიბუნალის ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის სახით, სამთავრობო - შინაგან საქმეთა სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით და შერეული - დამოუკიდებელი და სამთავრობო მოდელის კომბინაცია.



დამოუკიდებელი მოდელის შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს არჩევნების მართვის ორგანო, რომელიც ხელისუფლების აღმასრულებელი შტოსაგან ინსტიტუციურად დამოუკიდებელი და ავტონომიურია. ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოს წინაშე. დამოუკიდებელი მოდელი მოქმედებს ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის, ინდოეთში, უკრაინაში, პოლონეთში, რუმინეთში, კანადაში, ურუგვაისა და კოსტა-რიკაში.

სამთავრობო მოდელის შემთხვევაში არჩევნების ხელმძღვანელობასა და მართვას ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლება სამინისტროს (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო) ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით. სამთავრობო მოდელი მოქმედებს ბელგიაში, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, დიდ ბრიტანეთში, დანიაში და უნგრეთში.

შერეული მოდელი დამოუკიდებელი და სამთავრობო მოდელების კომბინაციაა. დამოუკიდებელი კომპონენტი წარმოდგენილია საარჩევნო ადმინისტრაციის სახით, რომელიც ზედამხედველის ფუნქციას ასრულებს, ხოლო სამთავრობო კომპონენტი – სამინისტროს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სახით (დეცენტრალიზებული საარჩევნო მმართველობა), რომლებიც უზრუნველყოფენ არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებას. შერეული მოდელი მოქმედებს მაგალითად, ესპანეთსა და პორტუგალიაში.

დაკომპლექტების წესის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან (რომლებიც არიან პროფესიული ნიშნით შერჩეული პირები ან საზოგადოებისთვის მისაღები უპარტიო ექსპერტები), პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისაგან, სადაც წევრებს პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ ან შერეული ტიპის, როდესაც კომისიაში პროფესიული ნიშნით შერჩეულ წევრებთან ერთად შედიან პარტიული ნიშნით დანიშნული წევრებიც.

კომისიის წევრები შესაძლებელია იყვნენ როგორც მუდმივმოქმედი, ისე დროებითი. რაც შეეხება საარჩევნო ტრიბუნალს, ის მოსამართლეებისგან შედგება და მათი უფლებამოსილების ვადაც არის მუდმივმოქმედი ან დროებითი (ეს მოდელი გამოიყენება კოსტა-რიკასა და მექსიკაში).

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ საარჩევნო ადმინისტრაციის მოდელს აქვს ძირითადი მახასიათებლები, სხვადასხვა ქვეყანაში ისინი შეიძლება განსხვავებული ვარიაციით იყოს წარმოდგენილი, რაც დამოკიდებულია ქვეყნის კანონმდებლობაზე, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ, თითოეული ქვეყანა თავად ირჩევს არჩევნების მართვის ორგანოს რომელი მოდელია მისთვის მისაღები.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნების მართვის **დამოუკიდებელ მოდელს** განეკუთვნება.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედეგება: ცესკოსა და მისი აპარატისგან; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიისა (უსკო) და მისი აპარატისგან⁴; საოლქო საარჩევნო კომისიებისგან; საუბნო საარჩევნო კომისიებისგან. ცენტრალური საარჩევნო კომისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანოებია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია დროებითი.

დაკომპლექტების წესის მიხედვით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია განეკუთვნება შერეული ტიპის საარჩევნო ადმინისტრაციებს. საარჩევნო კომისიებში 8 წევრი აირჩევა პროფესიული ნიშნით, ხოლო 9 წევრი ინიშნება პარტიული ნიშნით. საარჩევნო კომისიის წევრი, მიუხედავად იმისა, პროფესიული ნიშნითაა შერჩეული თუ პარტიული ნიშნითაა დანიშნული, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონს და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს⁵.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა. იგი უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს (არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს ცესკოს აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ცესკოს რეგლამენტით), ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში.

⁴ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში არჩევნები ამ ეტაპზე არ ტარდება, რის გამოც აფხაზეთის უმაღლესი საარჩევნო კომისია არ ფუნქციონირებს.

⁵ ლიტვის რესპუბლიკის კანონმდებლობის თანახმად, საოლქო (მუნიციპალური) და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეები და წევრები უფლებამოსილების განხორციელებამდე ხელს აწერენ წერილობით ვალდებულებებს, ე.წ. ფიცს, რომლის ტექსტს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია. მაგ., „Я, (имя, фамилия), обязуюсь хранить верность Литовской Республике, соблюдать ее Конституцию и законы, добросовестно и честно исполнять свои обязанности в избирательной комиссии и воздерживаться от поступков, нарушающих законы и права человека“. დაუშვებელია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება წერილობითი ფორმით დადებული ფიცის წარდგენის გარეშე.

საქართველოში საარჩევნო კომისიის წევრები ხელს აწერენ ეთიკის კოდექსს. დოკუმენტზე ხელის მოწერით როგორც ცენტრალური, ისე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები თანხმდებიან, რომ იმოქმედებენ საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საკუთარი ფუნქციების შესრულებისას იქნებიან სამართლიანები, მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები; იქნებიან პროფესიონალები და იმოქმედებენ გამჭვირვალედ; უზრუნველყოფენ საარჩევნო სუბიექტების, ამომრჩევლებისა და საარჩევნო პროცესში მონაწილე სხვა პირებისთვის თანაბარ და სამართლიან საარჩევნო გარემოს.

ცესკოს შემადგენლობა და ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი. ცესკო შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან. მათ შორის არიან ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოს თავმჯდომარის 2 მოადგილე და ცესკოს მდივანი. ცესკოს 7 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 9 წევრს ნიშნავენ პოლიტიკური პარტიები საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. ცესკოს წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ყოფილა საარჩევნო კომისიაში პარტიის მიერ დანიშნული წევრი, საარჩევნო სუბიექტი ან მისი წარმომადგენელი, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი⁶.

ცესკოს წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 30 დღისა, ხოლო ვაკანტური თანამდებობის წარმოშობის შემთხვევაში – მისი წარმოშობიდან არაუგვიანეს 15 დღისა საქართველოს პრეზიდენტი გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარებისა და საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 9 და არაუმეტეს 11 წევრისგან. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იმ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ საარჩევნო საკითხებში, დემოკრატიის ან ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში საქმიანობის არანაკლებ 7 წლის გამოცდილება და რომელთა საქმიანობა, როგორც ფინანსური, ისე შინაარსობრივი, საჯაროდ ხელმისაწვდომია, აგრეთვე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებსაც უკავიათ არჩევითი აკადემიური თანამდებობა. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. თუ აღნიშნული ვადები

⁶ ცესკოს წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს: პირი, რომელსაც არა აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი; პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის საარჩევნო კომისიაში ან სასამართლომ გათავისუფლა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან, – თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან 4 წლის განმავლობაში; პირი, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად, – სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 4 წლის განმავლობაში; ნასამართლევი პირი; საარჩევნო სუბიექტი/სუბიექტობის კანდიდატი და მისი წარმომადგენელი; დამკერველი.

პირი მოხელედ არ მიიღება, თუ: ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისათვის; ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომისათვის და დისციპლინური გადაცდომისათვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ არის გასული; გ) მან სამსახურში მიღებისას არ წარმოადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარმოდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს; დ) მას სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვს საჯარო სამსახურში შესაბამისი თანამდებობის დაკავების უფლება; ე) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

ემთხვევა არჩევნების ჩატარების პერიოდს, საქართველოს პრეზიდენტი კონკურსს აცხადებს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-7 დღისა, ხოლო ცესკოს წევრს უფლებამოსილება უწყდება ახალი წევრის არჩევისთანავე. საკონკურსო კომისია გადანაცვტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კანდიდატურების წარდგენის ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 დღისა საკონკურსო კომისია საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენის მიზნით წარუდგენს ცესკოს ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე არანაკლებ 2-ჯერ მეტ და არაუმეტეს 3-ჯერ მეტ კანდიდატურას.

კანდიდატების შერჩევიდან არაუგვიანეს 7 დღისა საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადანაცვტილებას ცესკოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის ან მათ შერჩევაზე უარის თქმის შესახებ. კანდიდატთა შერჩევის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს ცესკოს ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე 2-ჯერ მეტ კანდიდატურას. თუ საქართველოს პრეზიდენტი ვერ შეარჩევს კანდიდატებს, იგი ხელახალ კონკურსს აცხადებს.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ცესკოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 14 დღისა საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს ცესკოს წევრებს. ცესკოს წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად ერთი და იმავე კანდიდატურის წარდგენა შეიძლება მხოლოდ ორჯერ. ხოლო, თუ ცესკოს მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ცესკოს ახალი წევრი არ აირჩა, ცესკოს მოქმედი წევრის უფლებამოსილების ვადა გრძელდება ცესკოს ახალი წევრის არჩევამდე.

ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი და მისი არჩევა ხდება ცესკოს წევრის არჩევისათვის დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ცესკოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. თუ ცესკოს თავმჯდომარე არჩეულია საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით, მისი უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, ხოლო სხვა შემთხვევაში – 6 თვე.⁷ თუ ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების

⁷ სართველოს პარლამენტის რეგლამენტის შესაბამისად, ცესკოს თავმჯდომარე აირჩევა ცესკოს წევრის არჩევისთვის რეგლამენტით დადგენილი წესით. წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე ისევ ვერ აირჩა, იმართება კიდევ ერთი კენჭისყრა. პარლამენტის მიერ ცესკოს წევრის არჩევისას ცესკოს წევრობის კანდიდატთაგან თითოეულს ცალკე ყვრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც კენჭისყრისას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. თუ ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი, ხოლო თუ მათ მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო

ვადის გასვლამდე ცესკოს ახალი თავმჯდომარე არ აირჩა, ცესკოს მოქმედი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა გრძელდება ცესკოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე. ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელიც არის უპარტიო, აქვს უმაღლესი განათლება, თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს, აქვს არანაკლებ 5 წლის შრომითი გამოცდილება და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ცესკოს თავმჯდომარის, მოადგილეებისა და მდივნის არჩევის წესი. ცესკოს თავმჯდომარის ერთი მოადგილე/ცესკოს მდივანი არჩეული უნდა იქნეს საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეულ ცესკოს წევრთაგან (კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს ცესკოს არანაკლებ 2 წევრს, ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ), ცესკოს თავმჯდომარის ერთი მოადგილე - პარტიების მიერ დანიშნულ ცესკოს წევრთაგან (რომლებიც საქართველოს პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობაში არ შედიან). აღნიშნული მოადგილის კანდიდატურის წარდგენა ხდება პარტიების მიერ დანიშნულ ცესკოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო აღნიშნული უმრავლესობის მხარდაჭერა, კანდიდატი გამოვლინდება პარტიების მიერ დანიშნულ ცესკოს იმ წევრთაგან წილისყრით, რომლებიც გამოთქვამენ ცესკოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის სურვილს.

ცესკოს თავმჯდომარის მოადგილედ/მდივნად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ცესკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს. თუ კანდიდატმა ვერ მიიღო აღნიშნული უმრავლესობის მხარდაჭერა, იმართება ხელახალი კენჭისყრა. ამ შემთხვევაში კანდიდატი არჩეულად ჩაითვლება, თუ იგი მიიღებს ცესკოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მხარდაჭერას. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ აირჩა ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი, მისი არჩევის პროცედურა ხელახლა დაიწყება, ხოლო აღნიშნული თანამდებობის პირის არჩევამდე მის მოვალეობას ცესკოს ის წევრი

გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ კენჭისყრის შედეგად ყველა ვაკანსია არ შეივსო, დარჩენილ კანდიდატთაგან თითოეულს, რომელსაც ბოლო კენჭისყრისას პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი, დაუყოვნებლივ ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხელახალი კენჭისყრისას მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. თუ ასეთ კანდიდატთა რაოდენობა ასარჩევ რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, არჩეულად ჩაითვლება მათ შორის უკეთესი შედეგის მქონე კანდიდატი, ხოლო თუ მათ მიერ მიღებულ ხმათა თანაბრობის გამო გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ამ კანდიდატებს დაუყოვნებლივ ეყრებათ კენჭი მათ შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. თუ ხელახალი კენჭისყრის შედეგად ვაკანსია ისევ შეუვსებელი დარჩა, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს 3 დღის ვადაში კონკურსში მონაწილე სხვა კანდიდატთაგან ცესკოს ასარჩევ წევრთა დარჩენილ რაოდენობაზე 2-ჯერ მეტ კანდიდატურას წარუდგენს. თუ ვაკანსია კვლავ შეუვსებელი დარჩა, არაუგვიანეს 3 დღისა დარჩენილ ვაკანსიაზე კონკურსი ცხადდება და კანდიდატურების წარდგენის პროცედურა თავიდან იწყება.

შეასრულებს, რომელმაც არჩევისას ყველაზე მეტი ხმა მიიღო, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით გამოვლენილი პირი.

ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი შედგება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლისგან და დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ შერჩეული საერთაშორისო ან/და ადგილობრივი ექსპერტებისგან. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფი ცესკოს წარუდგენს რეკომენდაციებს დავების განხილვის პროცესთან დაკავშირებით. ამ ჯგუფს ცესკოს დადგენილებით შეიძლება მიენიჭოს დამატებითი ფუნქციები, კერძოდ, კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე დაკვირვება. ცესკოს საკონსულტაციო ჯგუფის შემადგენლობას არჩევნების დანიშნვიდან 10 დღის ვადაში, განკარგულებით ამტკიცებს ცესკო. საკონსულტაციო ჯგუფი იქმნება საარჩევნო პერიოდით, არანაკლებ 9 და არაუმეტეს 15 წევრის შემადგენლობით.

უმაღლესი საარჩევნო კომისია (უსკო). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია. უსკო უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას (არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარების ორგანიზაციულ, სამართლებრივ და ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს უსკოს აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება უსკოს რეგლამენტით), აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და დაკომპლექტების წესი განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში** არჩევნები ამ ეტაპზე არ ტარდება, რის გამოც აფხაზეთის უმაღლესი საარჩევნო კომისია არ ფუნქციონირებს.

საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო. საოლქო საარჩევნო კომისიას სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით ქმნის ცესკო. საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვისათვის პასუხისმგებელი არიან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. ცესკო უფლებამოსილია განკარგულებით შექმნას ერთი საოლქო საარჩევნო კომისია ერთი მუნიციპალიტეტის საზღვრებში, ხოლო ათი საოლქო საარჩევნო კომისია – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. შესაბამისი მუნიციპალიტეტის საზღვრები არის საოლქო საარჩევნო კომისიის სამოქმედო ტერიტორია.

საოლქო საარჩევნო კომისია შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან. საოლქო საარჩევნო კომისიის 5 წევრს 5 წლის ვადით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით ირჩევს ცესკო. არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ნიშნავენ შესაბამისი პარტიები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის 3 წევრს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით ირჩევს ცესკო შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე დროის მონაკვეთით. (არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებს უფლებამოსილების ვადა უგრძელდებათ ცესკოს მიერ არჩევნების მეორე ტურის შედეგების შემოწმებული ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით). საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის თაობაზე პარტიის გადაწყვეტილება უნდა წარედგინოს ცესკოს არჩევნების დანიშნიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა და ხელმძღვანელ პირთა დანიშვნის/არჩევის წესი. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უგვიანეს 60 დღისა ან წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან არა უგვიანეს 3 დღისა ცესკო გამოსცემს განკარგულებას კონკურსის ჩატარების შესახებ. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ცესკო ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 10 დღისა (საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მის ადგილმონაცვლეს ცესკო ირჩევს 15 დღის ვადაში, ხოლო არჩევნების დანიშვნის შემდეგ – 7 დღის ვადაში). საოლქო საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, აქვს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი და რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს და მდივანს შესაბამისი ვაკანსიის წარმოშობის შემდეგ, კომისიის პირველივე სხდომაზე, წევრობის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, სახელობითი კენჭისყრით, ცესკოს მიერ 5 წლის ვადით დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა კანდიდატურების დასახელების უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს. ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

საუბნო საარჩევნო კომისია. კენჭისყრის ჩასატარებლად და ხმების დასათვლელად ყოველი საარჩევნო ოლქი იყოფა საარჩევნო უბნებად. საარჩევნო უბნებს ქმნის, მათ საზღვრებსა და ნომრებს ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია არაუგვიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა და 2 დღის ვადაში აქვეყნებს სათანადო ინფორმაციას საარჩევნო უბნების საზღვრების მითითებით. საარჩევნო უბანი იქმნება **არანაკლებ 20 და არაუმეტეს 1500** ამომრჩევლისთვის⁸. სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს ქმნის ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, არანაკლებ 50 და არაუმეტეს 3 000 ამომრჩევლისათვის.

საარჩევნო უბნის ფარგლებში არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვის მიზნით იქმნება საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიულ ორგანო – საუბნო საარჩევნო კომისია.

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება არაუმეტეს 17 წევრისგან. საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს კონკურსის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია⁹, ხოლო სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს ირჩევს ცესკო სრული შემადგენლობის უმრავლესობით. საუბნო საარჩევნო კომისიის დანარჩენ 9 წევრს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ნიშნავენ შესაბამისი პოლიტიკური გაერთიანებები. პარტიის გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ წარედგინება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიას. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება აირჩეს/დანიშნოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში

⁸ გამონაკლის შემთხვევებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა დისლოკაციის ადგილი საზღვარგარეთ, პენიტენციური დაწესებულება, საავადმყოფო და სხვა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულება, სათნოების სახლი, მიუსაფართა თავმჯდომარე, მშობლადული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი და სხვა სოციალური მიზნის მქონე დაწესებულება, რომელშიც 50-ზე მეტი ამომრჩეველია, საარჩევნო უბანი შეიძლება შეიქმნას კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა. დაწესებულება, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა 50-ს არ აღემატება, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით მიემარება მასთან არსებულ უახლოეს საარჩევნო უბანს. იმ საარჩევნო უბანზე, სადაც ხმას აძლევს საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ამომრჩევლები, ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს არ უნდა აღემატებოდეს.

⁹ საუბნო საარჩევნო კომისიის 8 წევრს ირჩევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სრული შემადგენლობის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ მას მხარს დაუჭერს, მათ შორის, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში ცესკოს მიერ 5 წლის ვადით არჩეული 3 წევრი მაინც. ამ პუნქტით განსაზღვრულ არჩევის პროცედურაში არ მონაწილეობს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, თუ ის არის შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების კანდიდატის ოჯახის წევრი (მეუღლე, პირდაპირი აღმავალი ან დამავალი შტოს ნათესავი, გერი, და, ძმა, მშობლის ან შვილის გერი, მეუღლის და, ძმა, მშობელი). დაუშვებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად იმ პირის არჩევა, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში რომელიმე დონის საარჩევნო კომისიის წევრად პოლიტიკური პარტიის მიერ იყო დანიშნული.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე. არჩევების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებას ახორციელებენ პირველი ტურისათვის საარჩევნო ოლქში შექმნილი შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიები, თუ ცესკო სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს. აღნიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა უფლებამოსილების ვადა ათვლება არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის დღიდან, საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის შედგენის დღის ჩათვლით.

საუბნო საარჩევნო კომისია თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას, კენჭისყრის დროს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვას, ამომრჩეველთა, წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით გარანტირებული უფლებების გამოყენებასა და დაცვას; ამომრჩეველთა განცხადებებისა და განაცხადების საფუძველზე ადგენს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას; ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში (რის თაობაზედაც დგება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი).

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. ახალშექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება საერთო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. გამონაკლის შემთხვევაში და სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება კომისიის შექმნიდან არაუგვიანეს მე-3 დღისა. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას იწვევს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. გამონაკლისია სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია, რომლის პირველ სხდომასაც იწვევს ცესკოს თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება საოლქო საარჩევნო კომისიის/ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა (არანაკლებ 9 წევრი). სხდომას საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევამდე ხელმძღვანელობს კომისიის უხუცესი წევრი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის წარმოშობის შემდეგ, საუბნო საარჩევნო კომისიის პირველივე სხდომაზე, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადით, სახელობითი კენჭისყრით, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისია, იმ პირობით, რომ კანდიდატურას მხარი დაუჭირა, მათ შორის, საოლქო საარჩევნო

კომისიის მიერ არჩეულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის არანაკლებ 2 წევრს. თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კომისიების წევრთა დანიშვნის წესი. პარტიას უფლება აქვს, დანიშნოს ცესკოს 1 წევრი, თუ პარტია ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული იყო საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით და მას საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მიეკუთვნა საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატი. თუ ამ პარტიების რაოდენობა 9-ზე მეტია, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც საქართველოს პარლამენტის არჩევნებში უფრო მეტი ხმა მიიღო. თუ პარტიებმა საქართველოს პარლამენტის არჩევნებში ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღეს, ცესკოს წევრის დანიშვნისას უპირატესობა ენიჭება იმ პარტიას, რომელმაც საარჩევნო რეგისტრაცია უფრო ადრე გაიარა. ამ წესის შესაბამისად ხდება ასევე პოლიტიკური პარტიების მიერ წევრების დანიშვნა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს თავის მიერ დანიშნული კომისიის წევრი, ამასთან მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები, კერძოდ: ცესკოს წევრის გამოწვევა დაუშვებელია არჩევნების დანიშვნის დღიდან მისი საბოლოო შედეგების შეჯამებამდე, პარტიას უფლება აქვს, აღნიშნული ვადის განმავლობაში ცესკოს ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში. პარტიას უფლება აქვს, გამოიწვიოს და დანიშნოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი მხოლოდ კენჭისყრის დღემდე 3 კვირით ადრე. პარტიას უფლება აქვს, კენჭისყრის დღემდე ბოლო 3 კვირის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრი დანიშნოს მხოლოდ დანიშნული წევრის გადადგომის ან გარდაცვალების შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეუძლებელია პირის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის საქმიანობის განხორციელება. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა აკრძალულია კენჭისყრის დღემდე ბოლო 20 დღის განმავლობაში, ასევე კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა ასევე აკრძალულია არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღემდე ბოლო 4 დღის განმავლობაში, კენჭისყრის დღეს და კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს. ამასთან, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის 17-მდე

შესავსებად საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია 1 დღის ვადაში გამოაცხადოს კონკურსი საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, კონკურსის გამოცხადებიდან 1 დღის ვადაში მიიღოს საკონკურსო საბუთები და ამ საბუთების წარდგენის ვადის ამოწურვიდან მომდევნო დღეს აირჩიოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (წევრები).

თავი 4. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები და მუშაობის წესი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებები პირობითად შეიძლება დაიყოს რამდენიმე კატეგორიად:

- არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- დამატებითი წესებისა და რეგულაციების დადგენასთან/დაზუსტებასთან დაკავშირებული კომპეტენციები;
- საქართველოს ორგანული კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ გათვალისწინებული კომპეტენციები.

არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებულ კომპეტენციებში მოიაზრება:

- არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები, როგორცაა ცესკოს მიერ ხელახალი და შუალედური არჩევნების, განმეორებითი კენჭისყრისა და არჩევნების მეორე ტურის დანიშვნა¹⁰; საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შედგენა; არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის დადგენა;
- საარჩევნო ინფრასტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები. აღნიშნული უფლებამოსილებების ფარგლებში ცესკო ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს (საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის ცესკოს დადგენილი წესით განკარგულებით განსაზღვრავს საოლქო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებას და სამოქმედო ტერიტორიებს). საოლქო საარჩევნო კომისიები განკარგულებით ქმნიან საარჩევნო უბნებს და აზუსტებენ მათ საზღვრებს;
- ამომრჩეველთა სიების ფორმირებასთან/გამოქვეყნებასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები. ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისათვის და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის

¹⁰ ცესკო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის მორიგი, ხელახალი და რიგგარეშე არჩევნების გამართვას.

ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ამომრჩეველთა ერთიანი სია საჯარო გაცნობისათვის გამოაქრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში. საარჩევნო პერიოდში საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ამონშებს ამომრჩეველთა სიებს, შემონშების შედეგებს განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია;

- საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები. ამ უფლებამოსილებების ფარგლებში ცესკოს რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს. ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებს და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს (ქალაქ თბილისის მერის არჩევნებისათვის) და მათ წარმომადგენლებს ცესკოში; პარტიულ სიებს და ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატებს; საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფებს, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებს, აგრეთვე პარტიულ სიებს და მერობის კანდიდატებს მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებისა და ქალაქ თბილისის მერის არჩევნებისა);
- საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის ფორმის დადგენასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები, რომლის ფარგლებში ცესკო ადგენს საარჩევნო/სარეფერენდუმო/საპლებისციტო ბიულეტენების ფორმას, ბიულეტენების ტექსტებს, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების სახეებს. საარჩევნო ოლქში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებისთვის საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია;
- კენჭისყრასთან, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამებასთან, საბოლოო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები. საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს კენჭისყრის შედეგებს საარჩევნო უბანში. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აჯამებს/ადგენს კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქში, ხოლო ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების თაობაზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველზე აჯამებს და ადგენს შესაბამისი არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს: საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს; ქალაქ თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით გამართული არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს; ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს; რეფერენდუმის/ პლებისციტის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, ასევე ადგენს

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს, რის თაობაზედაც ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

ზედამხედველობითი ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფარგლებში ცესკო წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას და პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს, უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/ საჩივრის საფუძველზე, შეამოწმოს ქვემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერება და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიიღოს სათანადო გადაწყვეტილებები. ანალოგიური უფლებამოსილებითაა აღჭურვილი საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც, ზედამხედველობას უწევს საუბნო საარჩევნო კომისიებს. თუ ქვემდგომი, საუბნო საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია ცესკოს წინაშე დასვას ამ კომისიისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. ასეთ შემთხვევაში, ცესკოს გადაწყვეტილებით კომისიას შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება და საუბნო საარჩევნო კომისიის ხელახლა შექმნამდე დროებით ჯგუფს დაეკისროს მისი უფლებამოსილების განხორციელება.

დამატებითი წესებისა და რეგულაციების დადგენასთან/დაზუსტებასთან დაკავშირებული კომპეტენციების ფარგლებში, საარჩევნო კოდექსით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, ცესკო გამოსცეს დადგენილებებს, მათ შორის, დადგენილებით განსაზღვრავს მხარდამჭერთა სიების შევსებისა და შემოწმების დამატებით წესს, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების დამატებით წესს, კენჭისყრის პროცედურებს, არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს, ასევე, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს არჩევნებში საარჩევნო სუბიექტების, დამკვირვებელი ორგანიზაციებისა და მათ მიერ დანიშნული დამკვირვებლების, მედიის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა მიერ ელექტრონული საშუალებებით განაცხადების წარდგენის, საარჩევნო რეგისტრაციის/ აკრედიტაციის ჩატარების, პარტიების/საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა მიერ ელექტრონული საშუალებებით კომისიის წევრთა და წარმომადგენელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის წესი და პირობები. საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს არჩევნების მეორე ტურის ჩატარებისათვის საჭირო დამატებითი ღონისძიებები და ვადები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცესკო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება ცესკოს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ, საარჩევნო კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გაუთვალისწინებელ საარჩევნო და სხვა პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზეც.

გარდა დადგენილებისა, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ცესკო თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში გამოსცემს განკარგულებებს (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი). ასე მაგალითად, განკარგულებით განსაზღვრავს საარჩევნო კოლეგიაში პოლიტიკური პარტიების მიერ დასასახლებელ წევრთა კვოტებს, ამტკიცებს საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით. განკარგულებით განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში ხმის მიცემის უფლების მქონე ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ინფორმირების პირობებსა და წესს; სამღვარგარეთ დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებულ ნაწილებში არჩევნების ჩატარების ვადებსა და წესს და სხვა საკითხებს.

ცესკო ასევე, უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში, დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები თუ შეუძლებელი გახდა საარჩევნო კოდექსით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ცესკო პარტიებზე გასცემს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პარტიების საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილ თანხას (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო).

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით და შესაბამისი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს ცესკო (საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება და მიმდინარეობა, სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა წრე და მათი უფლებრივი მდგომარეობა, საარჩევნო დოკუმენტაციის წარმოების წესი და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ეს იმ საკითხების არასრული ჩამონათვალია რაც საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას უკავშირდება და რეგულირდება შესაბამისი რეგლამენტით).

საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება, მიმდინარეობა და გადაწყვეტილებათა მიღების წესი. საარჩევნო კომისიის სხდომას იწვევს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან მოადგილის მოთხოვნით. სხდომებისთვის დღის წესრიგს ამზადებს კომისიის მდივანი.

ცესკო ვალდებულია სხდომის გამართვის წინა დღეს თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია მომავალი სხდომის, მისი ჩატარების დროისა და დღის წესრიგის პროექტის თაობაზე. ამ წესებიდან გამონაკლისები დასაშვებია საარჩევნო პერიოდში. ამ შემთხვევაში ცესკო ვალდებულია თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სხდომის ჩატარების დროისა და დღის წესრიგის პროექტის თაობაზე სხდომის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 საათისა.

ქვემოთ საარჩევნო კომისიაში სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე კომისიის მდივანი ვალდებულია საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას გამოაკრას განცხადება სხდომის ზუსტი დროისა და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით.

საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა და მასზე დასწრების უფლება აქვთ ზემოთ საარჩევნო კომისიის წევრებს, კომისიის წარმომადგენლებს, შესაბამისი და ზემოთ საარჩევნო კომისიების აპარატების თანამშრომლებს, შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, შესაბამის კომისიაში რეგისტრირებულ ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის თითო დამკვირვებელს, ცესკოში რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს თარჯიმანთან ერთად, კონკრეტული საკითხის/სა. კითხების განსახილველად მოწვეულ დაინტერესებულ მხარეებს, (რომლებიც დღის წესრიგით გათვალისწინებული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების-თანავე ტოვებენ სხდომას)¹¹.

საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირებს, საარჩევნო პროცესისათვის/კომისიის სხდომისთვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება, ცესკოს 2017 წლის 21 აგვისტოს N33/2017 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

საარჩევნო კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – მოადგილე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის წევრები სხდომაზე დასწრებას დასწრების ფურცელზე ხელმოწერით ადასტურებენ. კომისიის ყველა წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარის მიერ დადგენილი რიგითობის შესაბამისად, უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში. იგივე საკითხთან დაკავშირებით

¹¹ ცესკოს სხდომას, საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული პირების გარდა, ესწრებიან აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, საჭიროებისამებრ განყოფილებების უფროსები, სპეციალური და სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელები, ასევე კონკრეტული საკითხების განსახილველად, სხდომაზე საკითხის გამომტანი ერთეულის მიერ მოწვეული დაინტერესებული მხარეები, რომლებიც საკითხის შესახებ ცესკოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე ტოვებენ სხდომის დარბაზს.

მათ უფლება აქვთ დამატებით გამოვიდნენ სიტყვით 2 წუთის განმავლობაში სხდომის თავმჯდომარის ნებართვით.

კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები სხდომაზე სიტყვით გამოდიან კომისიის წევრების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარის თანხმობითა და მის მიერ განსაზღვრული დროით, რომელიც ერთჯერადად არ უნდა აღემატებოდეს 2 წუთს. იგივე საკითხთან დაკავშირებით მათ უფლება აქვთ, სხდომის თავმჯდომარის ნებართვით, დამატებით გამოვიდნენ სიტყვით 2 წუთის განმავლობაში.

სხდომის თავმჯდომარე კენჭისყრაზე საკითხს აყენებს წინადადებათა შემოსვლის რიგის მიხედვით. კომისიის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა (თუ კანონით უფრო მაღალი კვორუმი არ არის დადგენილი), მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა. კომისიის იმ წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც ერთვის სხდომის ოქმს. ამასთანავე, განსხვავებული აზრის მქონე წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მას არა აქვს უფლება, თავისი ქმედებით თუ უმოქმედობით ხელი შეუშალოს ამ გადაწყვეტილების აღსრულებას.

საარჩევნო კომისიის სხდომაზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა აისახება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმი ფორმდება სხდომიდან 1 დღის ვადაში. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობისას, საარჩევნო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება დამრღვევი პირის (მათ შორის, კომისიის წევრის) კომისიის სხდომიდან გაძევების შესახებ, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში. დამრღვევის საარჩევნო კომისიის სხდომიდან გაძევება გულისხმობს მის საარჩევნო კომისიის შენობიდან/კენჭისყრის შენობიდან გაძევებას¹². თუ საარჩევნო კომისიის სხდომიდან, კომისიის შენობიდან პირის გაძევების შესახებ გადაწყვეტილების კანონით დადგენილი წესით მიღების შემთხვევაში პირი

¹² საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რის თაობაზეც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი (თანამდებობის პირი) და დაუყოვნებლივ აგზავნის შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. დარღვევის დადასტურების შემთხვევაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის 500 ლარის ოდენობით დაჯარიმების შესახებ (საარჩევნო კოდექსი – მუხლი 91¹).

ნებაყოფლობით არ ასრულებს აღნიშნულ გადანყვეტილებას, კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიმართოს პოლიციას. პოლიცია ვალდებულია დაუყოვნებლივ აღასრულოს პირის გაძევების შესახებ გადანყვეტილება.

სამართლებრივი აქტები. საარჩევნო კომისია, კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში გამოსცემენ სამართლებრივ აქტებს. ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისა და მათი თანამდებობის პირების მიერ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადანყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა შესაბამისად საქართველოს, საარჩევნო ოლქისა და საარჩევნო უბნის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტებია:

- ცესკოს დადგენილება და განკარგულება, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება და განკარგულება, ცესკოს მდივნის განკარგულება, ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;
- საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის ბრძანება, კომისიის მდივნის განკარგულება, საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები;
- საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულება, კომისიის თავმჯდომარის განკარგულება, საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

ცესკოს დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ცესკოს დადგენილებას ხელს აწერენ ცესკოს შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და ცესკოს მდივანი. ცესკოს დადგენილება ძალაში შედის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებისთანავე, თუ ამავე დადგენილებით უფრო გვიანი ვადა არ იქნა განსაზღვრული. აკრძალულია ცესკოს დადგენილების მიღება კენჭისყრამდე ბოლო 4 დღის განმავლობაში.

საარჩევნო კომისიის, მისი თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის განკარგულებები, კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები. კომისიის განკარგულებას ხელს აწერენ კომისიის შესაბამისი სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი, ხოლო სხვა განკარგულებას ხელს აწერს მისი გამომცემი პირი. შემაჯამებელ ოქმებს ხელს აწერენ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება არის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც გამოიცემა შიდაუნებრივ, მათ შორის, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით.

საქმისწარმოების წესი. საარჩევნო კომისია საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, გაცემას და რეგისტრაციას ახორციელებს სამუშაო დღის 18 საათამდე, გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა. განცხადების/საჩივრის მიღებისას საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალსა და განმცხადებლის-თვის/მოძივნისთვის გადაცემულ ცნობაში აღინიშნება მისი მიღების თარიღი და დრო.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული და პირადი საიდუმლოებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა. საარჩევნო კომისია ვალდებულია საარჩევნო დოკუმენტაცია და არჩევნების შესახებ ინფორმაცია მათი მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გააცნოს ყველა დაინტერესებულ პირს. თუ აღნიშნული ინფორმაციის გაცემა მეტ დროს მოითხოვს, საჯარო ინფორმაციის გაცემა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით. საარჩევნო კომისიისგან რაიმე საბუთის მიღებას განმცხადებელი ადასტურებს სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ:

- საჩივართან დაკავშირებული გადანაცვტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა ჩაბარდეს ამ გადანაცვტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე;
- საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლები, დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ყველა დაინტერესებულ პირს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში;
- საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ფოტოასლები გამოაკრას საჯარო გაცნობისათვის. საუბნო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების და შესწორების ოქმის/ოქმების (არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლები, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით (არსებობის შემთხვევაში), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა გადასცეს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს. კენჭისყრის დღის მეორე დღიდან შემაჯამებელი ოქმის ასლი გაიცემა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ.

თავი 5. არჩევნებში ჩართული სხვა მხარეები

არჩევნებში ჩართულ მხარეებად მოიაზრება საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილე, რომელთა მონაწილეობა და საქმიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხს. ჩართული მხარეები არიან: საარჩევნო ადმინისტრაცია, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სუბიექტები,

მედია, საჯარო დაწესებულებები, ამომრჩევლები და სხვ. ჩართული მხარეების უფლებები და მოვალეობები კანონითაა განსაზღვრული.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები. არჩევნებზე დაკვირვებას ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციები ახორციელებენ. დამკვირვებელი ორგანიზაციები, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული მიუკერძოებელი და ნეიტრალური ინსტიტუტები, უზრუნველყოფენ არჩევნების მონიტორინგს, მოსახლეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას. არჩევნებისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ მომზადებულ შეფასებებზე. სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების აქტიური და ინტენსიური თანამშრომლობის შესაძლებლობა შესაბამის სტატუსთან და გამოცდილებასთან არის დაკავშირებული. არჩევნებზე დაკვირვების უფლება იმ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს აქვთ, რომლებიც საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად (დამკვირვებელთა რეგისტრაციის წესი მოცემულია საარჩევნო კოდექსის V თავში) გაივლიან რეგისტრაციას შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 1 წლისა რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტი, რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის, ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, გარდა:

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრისა;
- მუნიციპალიტეტის მერისა და მისი მოადგილისა;
- მოსამართლისა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;

- პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- საარჩევნო კომისიის წევრისა;
- სხვა დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლისა;
- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლისა.

საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელი, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებული ორგანიზაცია ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის სადამფუძნებლო დოკუმენტი/წესდება ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომლის საქმიანობაც ეფუძნება შემდეგ საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს:

- პოლიტიკური მიუკერძოებლობა;
- საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლისგან თავის შეკავება;
- საქართველოს კანონმდებლობის, სუვერენიტეტისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების პატივისცემა;
- საარჩევნო პროცესის მონაწილეებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობა და დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა;
- საერთაშორისო საარჩევნო დაკვირვების პრინციპების დეკლარაციით აღიარებული დებულებების დაცვა.

ერთ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 2 საერთაშორისო დამკვირვებელი (შესაძლოა ახლდეს თარჯიმანი).

საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას და იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე - უსკო (თუ ერთდროულად ტარდება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, დამკვირვებელი ორგანიზაცია, რომელიც რეგისტრირებულია ცესკოს მიერ, უსკოში დამატებით რეგისტრაციას არ საჭიროებს). ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა და უნდა წარუდგინოს ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქის/ოლქების დასახელება, რომელშიც/რომლებშიც ეს ორგანიზაცია

დაკვირვებას ახორციელებს. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი გაცემული უნდა იყოს საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში და მასში მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი/პირები. ორგანიზაციის რეგისტრაციის მომენტისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მონაცემების ნამდვილობისა და საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების გადამოწმების/დადასტურების მიზნით სააგენტო ცესკოს უზრუნველყოფს შესაბამისი ელექტრონული მონაცემების ბაზების ხელმისაწვდომობისა და გადამოწმების შესაძლებლობით.

საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ რეგისტრაციაში გატარების მიზნით არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-7 დღისა განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს და წარუდგინოს სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი. თუ დამკვირვებელი (დამკვირვებელთა ჯგუფი) სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელია, მან მხოლოდ განცხადება უნდა წარუდგინოს. ცესკო განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-4 დღისა, წყვეტს ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს.

საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს, დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადანწყვიტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ, კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა, ცესკოს მდივანს ცესკოს მიერ დადგენილი ფორმით უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მის მიერ წარდგენილ სიაში შეყვანილი დამკვირვებლები აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, აგრეთვე ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია (გვარის, სახელის, რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით) და თითოეული მათგანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ იმავე ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს ცესკოს მიერ დადგენილი

ფორმით უნდა წარუდგინოს საარჩევნო კომისიებში დამკვირვებლების რეგისტრაციის შესახებ განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს, რომ მის მიერ წარდგენილ სიაში შეყვანილი დამკვირვებლები აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, აგრეთვე საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების სია (გვარის, სახელის, რეგისტრაციის ადგილისა და საქართველოს მოქალაქის პირადი ნომრის მითითებით) და თითოეული მათგანის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ინფორმაცია დამკვირვებელთა შესახებ, მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები და ცესკოს განკარგულებით დამტკიცებული, საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ შევსებული ანკეტები. თუ დამკვირვებლებს თან ახლავთ თარჯიმანი, ცესკოში რეგისტრაციისათვის საერთაშორისო ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს მათი სიაც.

საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.

არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში, დამკვირვებელ ორგანიზაციებს უფლება აქვთ, სათანადო საარჩევნო კომისიების მდივნებს მეორე ტურის ჩატარების დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა წარუდგინონ დამკვირვებელთა ახალი ან დამატებითი სიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში ცესკოსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციებსა და მათ რეგისტრირებულ დამკვირვებლებს უგრძელდებათ უფლებამოსილების ვადა არჩევნების მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე პერიოდით.

რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საარჩევნო სუბიექტად ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია ვალდებულია შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საარჩევნო სუბიექტად/სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებულ სადამკვირვებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/ წარმომადგენლობაზე უფლება-მოსილების მქონე პირს შეუწყდა ან შეუწყდება უფლებამოსილება. ამ

დოკუმენტის წარუდგენლობა არის აღნიშნული ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი.

არჩევნების მონიტორინგის მეთოდები და მნიშვნელობა. არჩევნებზე დაკვირვება სხვადასხვა მნიშვნელოვანი ელემენტისაგან შედგება. მხოლოდ კენჭისყრის დღეს მონიტორინგის წარმოება სრულყოფილ დაკვირვებად მიჩნეული ვერ იქნება, ვინაიდან არჩევნები იწყება არჩევნების თარიღის გამოცხადებისთანავე (ე.წ. „კენჭისყრის დღემდე პერიოდი“) და მთავრდება საარჩევნო პროცედურების დასრულებიდან (კენჭისყრის დღიდან) რამდენიმე კვირის შემდეგ.

ადგილობრივმა და საერთაშორისო დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა არჩევნებზე დაკვირვება შეიძლება აწარმოონ გრძელვადიანი და მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის მეშვეობით. **გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისია** - მოიცავს დაკვირვებას წინასაარჩევნო პერიოდიდან კენჭისყრის შედეგების შეჯამების პერიოდის ჩათვლით. ამ პერიოდში დამკვირვებელთა ყურადღება გამახვილებულია საარჩევნო პროცესში ჩართული საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო ადმინისტრაციებისა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების საქმიანობასა და გადაწყვეტილებებზე. **მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისია** ორიენტირებულია კენჭისყრის დღის დაკვირვებაზე და იგი მოიცავს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნიდან - საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების შეჯამების ჩათვლით პერიოდს.

გრძელვადიანი და მოკლევადიანი მისიებით წარმოდგენილი დამკვირვებლების უფლებები და მოვალეობები კანონითაა განსაზღვრული. საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დამკვირვებელს **უფლება აქვს:** დაესწროს და დააკვირდეს საარჩევნო კომისიის სხდომებს, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან, დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას და სხვა. ცესკოში რეგისტრირებულ დამკვირვებელს უფლება აქვს, დაკვირვება განახორციელოს ყველა დონის ნებისმიერ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიაში და ის დამკვირვებელი, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ საარჩევნო უბანში, უფლებამოსილია, კენჭისყრის დღეს დაკვირვება განახორციელოს შესაბამისი ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ საარჩევნო უბანში.

უფლებებთან ერთად დამკვირვებლებს გარკვეული შეზღუდვებიც უწესდებათ, კერძოდ, დამკვირვებელს **უფლება არა აქვს:** ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებში და საქმიანობაში, გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების

თავისუფალ გამოვლენაზე, აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

საარჩევნო სუბიექტი. საარჩევნო სუბიექტი არის შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტია ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი და მისი უფლებამოსილება. საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს მხოლოდ იმ საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში, რომელშიც მას აქვს რეგისტრაცია საარჩევნო კოდექსის შესაბამისად. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნონ მხოლოდ ორ-ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში. საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში.

პარტია ცესკოში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებით მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარე 24 საათის განმავლობაში განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და გასცემს წარმომადგენლის მონშობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.

პარტია საოლქო საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებით მიმართავს ცესკოს მდივანს, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიაში წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ – შესაბამისი ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი 24 საათის განმავლობაში განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და გასცემს წარმომადგენლის მონშობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.

საოლქო და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ განცხადება უნდა წარედგინოს იმ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომლის თავმჯდომარეცაა გაატარა რეგისტრაციაში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი 24 საათის განმავლობაში

განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს და გასცემს წარმომადგენლის მონშობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში. აღნიშნულ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას უნდა ერთოდეს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის საქართველოს მოქალაქის პირადობის მონშობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი.

საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღის წინა დღისა და კენჭისყრის დღისა, დანიშნოს, გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შეუძლიათ კანონით დადგენილი წესით დანიშნონ ან/და შეცვალონ წარმომადგენლები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს უგრძელდებათ უფლებამოსილების ვადა მეორე ტურის შედეგების გასაჩივრების ვადების ამოწურვამდე.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად არ შეიძლება დაინიშნოს:

ამავე ან სხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი (ამასთან, არჩევნების მეორე ტურში საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად არ შეიძლება დაინიშნოს ამ საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების პირველ ტურში წარდგენილი კანდიდატი);

- სხვა საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი;
- საარჩევნო კომისიის წევრი;
- ადგილობრივი დამკვირვებელი;
- პრესის ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენელი.

ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წარმომადგენლები არ შეიძლება იმავდროულად დაინიშნონ სხვა საარჩევნო კომისიაში. საუბნო საარჩევნო კომისიაში დანიშნული წარმომადგენელი არ შეიძლება იმავდროულად დაინიშნოს ცესკოსა ან/და საოლქო საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებული პირის საარჩევნო სუბიექტად

რეგისტრაციის შემთხვევაში, უქმდება წარმომადგენლის რეგისტრაცია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის მხოლოდ 1 წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს, მოითხოვოს სიტყვით გამოსვლა, აზრის გამოთქმა, ამა თუ იმ საკითხზე გადამწყვეტილების მიღება.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი კენჭისყრის დღეს სარგებლობს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილებებით, მათ შორის, მას უფლება აქვს: კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან; დააკვირდეს კენჭისყრის დღეს საჩივრების რეგისტრაციის პროცესს; კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეკრძალება საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში ჩარევა, ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე გავლენის მოხდენა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ამომრჩეველისთვის აგიტაციის განევა, რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკისა და ნიშნის ტარება, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში სამკერდე ნიშნის გარეშე ყოფნა.

პრესისა და მასობრივი კომუნიკაციის სხვა საშუალებები. თანამედროვე ეპოქაში კომუნიკაციის ყველაზე გავრცელებულ საშუალებას მედია წარმოადგენს, საარჩევნო პერიოდში მისი როლი განსაკუთრებით იზრდება. ამ პერიოდის განმავლობაში მოსახლეობა ეცნობა ინფორმაციას საარჩევნო პროცესის შესახებ, მათ შორის, საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს, რომელიც მას ძირითადად მედიის საშუალებით მიეწოდება. ამდენად, მედია, როგორც საარჩევნო პროცესში ჩართული ერთ-ერთი მხარე, წარმოადგენს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ყველაზე გავრცელებულ წყაროს, რითაც ხელს უწყობს ამომრჩეველის ინფორმირებულობის გაზრდას და ამომრჩეველის მიერ გააზრებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას. მედიის როლი საარჩევნო პროცესში დეტალურად არის განერილი საარჩევნო კოდექსში, ასე მაგალითად: კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებამოსილებით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის მხოლოდ ის საშუალებები სარგებლობენ, რომელთაც გავლილი აქვთ აკრედიტაცია შესაბამის საარჩევნო კომისიაში. აღნიშნული დათქმა წარმოადგენს დემოკრატიული კანონმდებლობის ერთ-ერთ არსებით შემადგენელ ელემენტს, ვინაიდან მედია კენჭისყრის მომენტში გვევლინება არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის გამავრცელებელი, არამედ, ამავედროულად როგორც დამკვირვებელი. ნებისმიერი დარღვევის არსებობის შემთხვევაში მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჯაროონ და მიაწოდონ

ინფორმაცია მოსახლეობას. აღნიშნული ფუნქციების გარდა, მედია აქტიურად ერთვება არჩევნების გაშუქების პროცესშიც. ამასთან არჩევნების ობიექტურად გასაშუქებლად მედია საშუალებებს მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გააჩნიათ. მიუკერძოებლობა და, ამასთან ერთად სამართლიანობა დაცული იქნება, თუ პირმა ინფორმაცია ობიექტურად, თავისი შეხედულებებისა და გრძნობების გათვალისწინების გარეშე გააშუქა. თითოეული ვარაუდი, რომელიც შეიძლება ინფორმაციის გავრცელებისას პირის მიერ სათაურად ან საინტერესო ფაქტად იქნეს წარმოჩენილი, აუცილებლად უნდა იყოს გადამოწმებული და შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობილი. მაუწყებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ფაქტის ზუსტი და სამართლიანი გაშუქება ისე, რომ შესაძლებელი იყოს ერთმანეთისგან ფაქტისა და აზრის გამიჯვნა და აზრის ავტორის იდენტიფიცირება. მედია საშუალებამ (მაუწყებელმა) განსხვავებულად უნდა წარმოაჩინოს საკუთარი მოსაზრება და ფაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, არაობიექტური ინფორმაცია მაყურებელს შეცდომაში შეიყვანს (თუნდაც მედია საშუალებას ასეთი განზრახვა არ გააჩნდეს). წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციის ობიექტურად გაშუქება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისათვის. მაუწყებლებს ეკრძალებათ დისკრიმინაცია რაიმე ნიშნის მიხედვით. ეს აკრძალვა არ წარმოადგენს მედია საშუალების უფლებებში ჩარევას, კონსტიტუციით მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვას. კონსტიტუციით მედია საშუალება თავისუფალია საარჩევნო მასალის შერჩევაში, ის სახელმწიფოს არ უთანხმებს გასაშუქებელ საკითხებს, თუმცა კანონმდებლის მიერ დადგენილი ფარგლების გათვალისწინებით, მისი მოქმედების არეალი, სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, არის შემცირებული¹³.

ზემოთ აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე, მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას - გააშუქონ კენჭისყრის დღე, კენჭისყრის დღემდე პერიოდი და კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი. შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ: დაესწონ საარჩევნო კომისიების სხდომებს¹⁴; კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში; ასევე, შეუზღუდავად გადაადგილდნენ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად, კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად, დააკვირდნენ კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს კანონმდებლობითა და ცესკოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთან მედიის წარმომადგენლებს უფლება არ აქვთ: ჩაერიონ საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში; გავლენა მოახდინონ

¹³ ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე - „მედიასამართალი“. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014. გვ. 123

¹⁴ არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესი განისაზღვრა ცესკო 2017 წლის 8 აგვისტოს N27/2017 დადგენილებით.

ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე; აგიტაცია გაუწიონ ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ; ატარონ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი; კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია. რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ ცესკოს მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები. ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი. განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა. განცხადებას უნდა ერთოდეს წარმომადგენლების პირადობის მოწმობების ან პასპორტების ფოტოასლები. ორგანიზაციის მიმართვის შემთხვევაში განცხადებას უნდა ერთოდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულია საარჩევნო კომისიისათვის განცხადების წარდგენამდე ბოლო 10 დღის ვადაში. მასში მითითებული უნდა იყოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობის/ წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირი/პირები. ორგანიზაციის აკრედიტაციის მომენტისათვის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მონაცემების ნამდვილობის გადამოწმების/დადასტურების მიზნით სააგენტო ცესკოს უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემების ბაზების ხელმისაწვდომობისა და გადამოწმების შესაძლებლობით. ამონაწერი აკრედიტაციისათვის არ ესაჭიროებათ უცხოურ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს, საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივ მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოს.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციისთვის სავალდებულოა განცხადებასთან ერთად დანართის წარდგენა ელექტრონული ფორმით Excel ფორმატში (CD ან სხვა ელექტრონული მატარებლის სახით) და საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ფოტოასლები (ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიებში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციისათვის წარსადგენი განცხადების დანართის ელექტრონული ფორმის დადგენის შესახებ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის

14 ივლისის №298/2016 განკარგულება). პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენელი აკრედიტაციის მომენტი სათვით უნდა იყოს არანაკლებ 18 წლის, იგი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი /დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელი ან სხვა პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელი.

განცხადების წარდგენიდან 2 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მონშობას, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს. აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს).

აკრედიტებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის საარჩევნო სუბიექტად ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში, რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალება ვალდებულია შესაბამის საარჩევნო კომისიას წარუდგინოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ საარჩევნო სუბიექტად/სუბიექტის წარმომადგენლად რეგისტრირებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირს შეუწყდა ან შეუწყდება უფლებამოსილება. ამ დოკუმენტის წარუდგენლობა შესაბამისი პრესის/მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების აკრედიტაციის გაუქმების საფუძველია.

კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არაუმეტეს 2 წარმომადგენლისა.

არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში რეგისტრირებულ მედიაორგანიზაციებს უფლება აქვთ, შესაბამისი საარჩევნო კომისიების მდივნებს მეორე ტურის ჩატარების დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა, კანონით დადგენილი წესით წარუდგინონ დამატებითი სიები მედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციისათვის. ამასთან საარჩევნო კოდექსის შესაბამისად არჩევნების მეორე ტურის დანიშვნის შემთხვევაში ცესკოსა და შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში აკრედიტებულ მედიის ორგანიზაციების წარმომადგენლებს უგრძელდებათ აკრედიტაციის ვადა არჩევნების მეორე ტურის საბოლოო შედეგების გამოცხადების დღის ჩათვლით.

თავი 6. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ამომრჩეველთა რეგისტრაცია და ამომრჩეველთა სიების შედგენა საარჩევნო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ამომრჩეველის საარჩევნო უფლების განხორციელება. იმის მიხედვით, თუ ვის ეკისრება ამომრჩეველთა რეგისტრაციის ტვირთი, რეგისტრაცია შეიძლება იყოს საჯარო ან პირადი.

საჯარო ანუ სავალდებულო რეგისტრაციის დროს, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან დაადგინონ ყველა ამომრჩეველი და შეიყვანონ ისინი ამომრჩეველთა ერთიან სიაში. სავალდებულო რეგისტრაციას შეიძლება ჰქონდეს ორი სახესხვაობა: პერიოდული რეგისტრაცია სახელმწიფოს ინიციატივით (საარჩევნო კომისიის თანამშრომელი კარდაკარის პრინციპით აღრიცხავს ამომრჩეველებს ყოველი არჩევნების წინ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ) და მუდმივი რეგისტრაცია სახელმწიფოს ხელთ არსებული რესურსების საფუძველზე - ამომრჩეველთა სიები დგება სახელმწიფოს მიერ მუდმივად განახლებადი სიების ან სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა საფუძველზე.

პირადი ანუ ნებაყოფლობითი რეგისტრაცია გულისხმობს რეგისტრაციას ამომრჩეველთა ინიციატივით. იგი ასევე შეიძლება იყოს ორი სახის: პერიოდული რეგისტრაცია (მოქალაქეები ყოველი არჩევნების წინ ან რამდენიმე წელიწადში ერთხელ მიდიან სპეციალურ სარეგისტრაციო ცენტრებში და გადიან რეგისტრაციას) და მუდმივი რეგისტრაცია (ამომრჩეველები მიდიან სპეციალურ სარეგისტრაციო ცენტრში, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობს, და გადიან რეგისტრაციას).

საქართველოში საჯარო ანუ სავალდებულო რეგისტრაცია გამოიყენება. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სხვა შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე¹⁵ დგება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია - ამომრჩეველთა ერთიანი სია, რომელშიც შეიტანება ამომრჩეველის მონაცემები: გვარი, სახელი; დაბადების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი); მისამართი; ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი; ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი; ფოტოსურათი; სქესი.

¹⁵ მენიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და ამავე სამინისტროს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, საქართველოს დაზვერვის სამსახური და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახური, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მისი კომპიუტერული დამუშავებისა და საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებაზე, რომლითაც ამომრჩეველს ეძლევა შესაძლებლობა გადაამოწმოს მისი და მისი ოჯახის წევრთა შესახებ ინფორმაცია. ამომრჩეველთა ერთიანი სია არის მუდმივად განახლებადი. ცესკოს მიერ ამომრჩეველთა ერთიანი სიის და ამ სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლების მიზნით პასუხისმგებელი დაწესებულებები წელიწადში ოთხჯერ, ყოველი წლის 1 თებერვალს, 1 მაისს, 15 ივლისს და 1 ნოემბერს – საარჩევნო უფლების მქონე პირთა შესახებ, ასევე საარჩევნო უფლების არმქონე პირთა შესახებ განახლებულ ან ახალ მონაცემებს გადასცემენ ცესკოს.

ცესკოს უფლება აქვს, ამომრჩეველთა ერთიანი სიის და ამ სიის მონაცემთა ელექტრონული ბაზის განახლების მიზნით, საჭიროებისამებრ, გამოითხოვოს და მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში მიიღოს მონაცემები პასუხისმგებელი დაწესებულებებიდან საარჩევნო უფლების მქონე ან/და საარჩევნო უფლების არმქონე პირთა შესახებ.

ერთიანი სია იყოფა საარჩევნო უბნების მიხედვით. თითოეულ საუბნო საარჩევნო კომისიას პირველი შეკრების დღეს გადაეცემა ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ვერსია (კედლის სია), რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. არჩევნებში ჩართულ მხარეებს, კანონით დადგენილი წესის დაცვით, უფლება აქვთ გადაამოწმონ ამომრჩეველთა სიები და მოითხოვონ მასში ცვლილებების შეტანა. საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა გადაეცემა დაზუსტებული სიების საბოლოო, საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებული ვერსიები (კედლის სია), ხოლო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა – საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები (სამაგიდო სია). ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებული ვერსია (ფოტოსურათების გარეშე) დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას. სამაგიდო სია კედლის სიისგან განსხვავებით შეიცავს ამომრჩევლის პირად ნომერს და ფოტოსურათს, რის გამოც მისი საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა დაუშვებელია.

ამომრჩეველთა სიების მონაცემთა გადამონმების და მონაცემთა სისწორის კონტროლის მექანიზმი. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციას (არასაარჩევნო პერიოდში – ბოლო საერთო არჩევნებისას რეგისტრირებულ დამკვირვებელ ორგანიზაციას) და ამომრჩეველს უფლება აქვთ, გაეცნონ ცესკოში, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს

უფლება აქვს, გაეცნოს მხოლოდ შესაბამისი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებულ ვერსიას. ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-18 დღისა, ხოლო არასაარჩევნო პერიოდში – ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა.

ამომრჩეველთა შესახებ მონაცემების გაცნობა და ასლის გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ფოტოსურათებიანი ვერსიის გაცემა დასაშვებია მხოლოდ ელექტრონული სახით. უფლებამოსილმა პირმა სიის მისაღებად საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს სათანადო მოცულობის მქონე ინფორმაციის ელექტრომატარებელი.

ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ უფლებამოსილი პირის განცხადებას, მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში (საარჩევნო პერიოდში – არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-16 დღისა), განიხილავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანის შესახებ, 2 დღის ვადაში გადაეცემა ცესკოს (საარჩევნო პერიოდში ასევე შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას).

ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ, საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება, მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღემდე ბოლო 12 დღის განმავლობაში აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა (გარდა საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა¹⁶), ამასთან, არჩევნების დღემდე მე-15-დან მე-12 დღემდე ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სპეციალური და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიები. კონკრეტული შემთხვევებისთვის დგება ამომრჩეველთა სპეციალური და გადასატანი ყუთის სიები. შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ამომრჩეველთა სპეციალურ

¹⁶ საარჩევნო კოდექსის - მუხლი 31, პუნქტი 12.

სიას რომელიც მოწმდება ამავე კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით და გადასცემს იმ საუბნო საარჩევნო კომისიას, რომლის სამოქმედო ტერიტორიასაც შესაბამება სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლების ფაქტობრივი ადგილსამყოფელი. საუბნო საარჩევნო კომისიას სპეციალური სიის საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებულ ვერსიები გადაეცემა დაუყოვნებლივ, ხოლო კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა – საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილ ვერსიებს. ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში (შესაძლებელია ფოტოსურათით ან ფოტოსურათის გარეშე).

საოლქო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყავს:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საოლქო საარჩევნო კომისიას ეს პირები სიაში შეჰყავს წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბანში, კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-5 დღისა);
- ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან განერილი ამ დაწესებულებიდან (ამ პირთა სიას სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა);
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პათიმრობაში იმყოფებიან (საოლქო საარჩევნო კომისიას ამ პირთა სიას გადასცემს პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელი კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა);
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს ადმინისტრაციულ პათიმრობაში იმყოფებიან (საოლქო საარჩევნო კომისიას ამ პირთა სიას გადასცემს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელი კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა);
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და სპეციალური წოდების მქონე პირები, რომელთა სამსახურის პირობები ან ჯანმრთელობის მდგომარეობა არჩევნების დღეს მოითხოვს მათ ყოფნას რეგისტრაციის ადგილისაგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც სხვა საარჩევნო ოლქს მიეკუთვნება (საოლქო საარჩევნო კომისიას ამ პირთა სიას გადასცემენ შესაბამისი სამხედრო დანაყოფების/ნაწილების მეთაურები ან შესაბამისი

დანესებულებების/დანაყოფების ხელმძღვანელები კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 25-ე დღისა, ხოლო სამხედრო სამსახურში განვების შედეგების გათვალისწინებით - კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-6 დღისა. სპეციალურ სიაში ასევე შეიტანება ამ კატეგორიის ამომრჩეველის შესაბამისი დისლოკაციის ადგილზე სამსახურის დაწყების და დასრულების თარიღები).¹⁷

სხვა სახელმწიფოში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიების სპეციალური სიაში შეიყვანება კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველები, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, ამომრჩეველები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზღვარგარეთ და არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, აგრეთვე ამომრჩეველები, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე და არ არიან რეგისტრირებული საზღვარგარეთ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საქართველოს საკონსულო დანესებულებაში (ამ პირთა, გარდა საზღვარგარეთ რეგისტრირებული პირებისა, სიას ადგენს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-20 დღისა გადასცემს ცესკოს).

სპეციალური სიების შედგენის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისია იმ ამომრჩეველთა მონაცემებს, რომლებიც შეყვანილები არიან სხვა უბნის სპეციალურ სიებში, გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სპეციალურ სიაში შეყვანილი ან სხვა უბნის სპეციალური სიაში გადაყვანილი ამომრჩეველის გვარის გასწვრივ ერთიანი სიის (სამაგიდო და ასევე კედლის ეგზემპლარებში) გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“ აკეთებს აღნიშვნას: „კომისიის წევრია“, „პატიმრობაშია“, „საავადმყოფოშია“, „სამხედრო სამსახურშია“,

თუ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო კომისიას მიმართავს ამომრჩეველი, რომელმაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-18 დღისა ვერ მოასწრო მიემართა კომისიისთვის სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით (ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, გამოეწერა სტაციონარული სამკურნალო დანესებულებიდან, გათავისუფლდა პენიტენციური დანესებულებიდან), განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (საზღვრის გადაკვეთის შესახებ ჩანაწერი

¹⁷ საარჩევნო კოდექსის“ 200¹ მუხლის თანახმად განისაზღვრა დროებითი წესი, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველებს მიეცათ შესაძლებლობა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ ადაპტირებულ საარჩევნო უბანზე, რისთვისაც მას კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს მე-6 დღისა უნდა მიემართა შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიისათვის. აღნიშნული ამომრჩეველი საოლქო საარჩევნო კომისიას შეჰყავდა სპეციალურ სიაში.

პასპორტში, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, ცნობა პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ) წარდგენის შემთხვევაში მას რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო კომისია. ამომრჩევლის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ. უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. თუ ასეთი ამომრჩეველი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით საარჩევნო ადმინისტრაციას მიმართავს კენჭისყრის დღეს, მას რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია და ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს.

ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის აქტიური საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველყოფის დამოკიდებულია ამომრჩევლის ადგილსამყოფელის ცვლილებაზე.¹⁸ მაგალითად: მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისას ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლები მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ ისინი ადგილსამყოფელს იცვლიან ერთი და იმავე ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში (გარდა საარჩევნო კოდექსით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა¹⁹).

გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას. გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩეველი პირადი განაცხადის/განცხადების საფუძველზე შეჰყავთ თუ:

- იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას;
- შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა. ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების 3 პროცენტს. აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ ამომრჩეველთა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია სხდომაზე დამსწრეთა ორი მესამედით.

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას უნდა მიმართოს კენჭისყრის დღემდე 2

¹⁸ საარჩევნო კოდექსის - მუხლი 32, პუნქტი 5.

¹⁹ საარჩევნო კოდექსის - მუხლი 32, პუნქტი 5¹, 5², 5³, 5⁴, 6

დღით ადრე მაინც. კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 2 დღისა. ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ მას შემდეგ, რაც საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრაციაში გაატარებს და ხელმოწერით დაადასტურებს ამომრჩევლის წერილობით განცხადებას (ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი) ან სატელეფონო ზეპირ განცხადებას (ამ შემთხვევაში მითითება ამომრჩევლის პირადი ნომერი, სატელეფონო შეტყობინების შემოსვლის ზუსტი დრო და შესაბამისი ტელეფონის ნომერი).

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შესაყვანი ამომრჩევლების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საარჩევნო უბანში თვალსაჩინო ადგილზე.

საუბნო საარჩევნო კომისიას, გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში, სპეციალური სიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეყავს:

- ამომრჩეველი რომელიც სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი;
- ამომრჩეველი რომელიც იმყოფება პატიმრობაში;
- ამომრჩეველი რომელიც იმყოფება ადმინისტრაციულ პატიმრობაში;
- ამომრჩეველი რომელიც მსახურობს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში ან სასაზღვრო პოლიციის ქვედანაყოფში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული;
- ამომრჩეველი მსახურობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში და სამსახურის პირობების გამო სამუშაო ადგილის დატოვება არ შეუძლია;
- ამომრჩეველი რომელიც არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები და სპეციალური წოდების მქონე პირი და კენჭისყრის პერიოდში განსაკუთრებული სამსახურობრივი პირობების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ტოვებს სამუშაო ადგილს.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეიტანება ამომრჩევლის შესახებ იგივე მონაცემები, რომლებიც არის ამომრჩეველთა ერთიან სიაში, გარდა მისი

ფოტოსურათისა, და დამატებით აღინიშნება მისი რიგითი ნომერი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩეველის შეყვანის შემთხვევაში ამომრჩეველთა ერთიან და სპეციალურ სიებში მისი გვარის გასწვრივ, გრაფაში „ფაქტობრივი მდგომარეობა“ კეთდება ჩანაწერი „გადასატანი ყუთი“, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.

ამომრჩეველთა სიების ფორმირება არჩევნების მეორე ტურისთვის.

არჩევნების მეორე ტურში მონაწილე ამომრჩეველები ხმას აძლევენ პირველ ტურში არსებული ამომრჩეველთა სიების მიხედვით, რომლებშიც ცვლილებები შეიტანება მხოლოდ შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

- სააგენტოს მიერ ცესკოსათვის მიწოდებული საქართველოს იმ მოქალაქეთა შესახებ მონაცემების შესაბამისად, რომლებსაც პირველი ტურის შემდეგ შეუსრულდათ ან მეორე ტურის ჩატარების დღეს შეუსრულდებათ 18 წელი, აგრეთვე იმავე პერიოდში გარდაცვლილ პირთა შესახებ ინფორმაციის საფუძველზე;
- არჩევნების მეორე ტურისათვის გამოიყენება სპეციალური სიები, რომლებიც მეორე ტურის ჩატარების დღისათვის აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს; ამასთან, არჩევნების მეორე ტურის ჩატარების დღემდე არაუგვიანეს მე-3 დღისა საოლქო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების სპეციალურ სიას, შესაბამისი წესით ხმის მიცემის უფლების მქონე საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესახებ მონაცემების გათვალისწინებით.

არჩევნების მეორე ტურის ჩატარების დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მიერ დამონშებული ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების (ერთიანი და სპეციალური სიების) საბოლოო ვერსიის (საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსია და საჯარო ვერსია) 2 ეგზემპლარი გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიას. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნილები ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოაკრას საუბნო საარჩევნო კომისიის (კენჭისყრის) შენობაში თვალსაჩინო ადგილას;

არჩევნების მეორე ტურის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი უფლებამოსილია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 2 დღისა მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიას გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის მოთხოვნით. მეორე ტურის ჩატარების დღემდე არაუგვიანეს მე-2 დღისა საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას.

თავი 7. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)

წინასაარჩევნო კამპანია ესაა კანონმდებლობით დადგენილ დროის შუალედში განხორციელებული კოორდინირებული, მიზანმიმართული საჯარო ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია კანდიდატის მხარდამჭერთა მობილიზება არჩევნებში მისი გამარჯვების უზრუნველსაყოფად. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები კანონით დადგენილი წესით. წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებსა და საარჩევნო სუბიექტებს აქვთ უფლება, არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩაატარონ სხვადასხვა ღონისძიება. წინასაარჩევნო კამპანია შეიძლება განხორციელდეს ისეთი მექანიზმების გამოყენებით, როგორებიცაა: ბეჭდვითი სააგიტაციო მასალის გამოცემა/გავრცელება; მასობრივი ღონისძიებების გამართვა (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები); სატელევიზიო რეკლამისა და სააგიტაციო მასალის გავრცელება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და სხვა.

წინასაარჩევნო აგიტაცია წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და გულისხმობს ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, მათ შორის:

- წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა;
- საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება;
- მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა;
- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით, წინასაარჩევნო აგიტაციის განწესი და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა:

- მოსამართლისა;
- გენერალური აუდიტორისა;
- საარჩევნო კომისიის წევრისა;²⁰
- საქართველოს სახალხო დამცველისა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა;
- საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა;

²⁰ ანალოგიური შეზღუდვა მოქმედებს სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად: ლიტვის რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობა კრძალავს საარჩევნო კომისიის წევრების მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის განხორციელებას ან/და მასში რაიმე ფორმით მონაწილეობას, აგრეთვე კომისიის წევრთა მიერ ამომრჩევლებზე რაიმე სახის ზეგავლენის მოხდენას.

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დამცვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლებისა (გარდა უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, რელიგიური ორგანიზაციებისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თანამშრომლებისა), სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლებისა, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორისა, აღმზრდელ-პედაგოგისა, აღმზრდელისა, მასწავლებლისა, იქ დასაქმებული სხვა პირისა – სამუშაო საათების განმავლობაში ან როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს;
- საჯარო მოსამსახურეებისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებებს (ეს შეზღუდვა არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე²¹).

მსოფლიო ქვეყნების საარჩევნო პრაქტიკიდან გამომდინარე წინასარჩევნო აგიტაცია არჩევნების დღეს არ დაიშვება და, როგორც წესი, არჩევნებამდე 24 საათით ადრე წყდება. საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე ტელევიზიისა და რადიოს ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ან/და უფასო წინასაარჩევნო რეკლამის, საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა, აგრეთვე საარჩევნო მიზნებისათვის ავტომატიზებული სატელეფონო ზარების განხორციელება და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია, აგრეთვე დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება, ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.

²¹ პოლიტიკური თანამდებობის პირი – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.6; 49.1.გ).

ბეტდვითი სააგიტაციო მასალის გამოცემა/გავრცელება. პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, დაამზადოს წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, პლაკატები, ფოტო-მასალები და სხვა. ბეტდვითი სააგიტაციო მასალის ეგზემპლარები, სააგიტაციო მასალის გამოშვების თარიღიდან არაუგვიანეს **მე-5 დღისა** უნდა წარედგინოს იმ საარჩევნო კომისიას, რომელშიც საარჩევნო სუბიექტმა გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია. ბეტდვით სააგიტაციო მასალაზე აღნიშნული უნდა იყოს: დამამზადებელი და დამკვეთი ორგანიზაციების სახელწოდებები, მისამართები, ინფორმაცია მასალის ტირაჟის, რიგითი ნომრის და გამოშვების თარიღის შესახებ.

სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსით დადგენილი აკრძალვების გათვალისწინებით. აღნიშნულის თანახმადაც აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გავრცელება:

- საკულტო ნაგებობებზე;
- კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე (მასალა ჩამოსხნას/ დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება).
- კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე;
- სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;
- საგზაო ნიშნებზე.

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ზემოთ აღნიშნული აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ კონკრეტული შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზეც აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება. მათ ასევე ევალებათ, განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი იმ ზომის უნდა იყოს, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი თანაბარი პირობებით იყოს უზრუნველყოფილი. სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ორგანოები აქვეყნებენ არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

დაუშვებელია საარჩევნო პლაკატების ჩამოსხნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის გაკრული. საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოსხნა;

წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა²².

მასობრივი ღონისძიებები. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებათა უსაფრთხოება.

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია), და გადასცენ იგი საოლქო საარჩევნო კომისიას. მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ცესკოს ვებგვერდზე. საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხა გაასაჯაროს მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში, უზრუნველყოს ამ შენობა-ნაგებობების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საარჩევნო სუბიექტისათვის და მათთან შეთანხმებით შეადგინოს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგი (თუ ღონისძიებები ერთმანეთს დაემთხვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდნენ, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება). საოლქო საარჩევნო კომისიამ, შენობა-ნაგებობის გამოყენების მოთხოვნის თაობაზე, საარჩევნო სუბიექტს შესაბამის მიმართვაზე წერილობით, დასაბუთებულად უნდა უპასუხოს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე თანხმობად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარება აკრძალულია ისეთი დაწესებულებების შენობებში, როგორიცაა:

- სასამართლოები;
- სამხედრო ნაწილები;
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები.

საარჩევნო პროგრამა. პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტსა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ, გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით. საარჩევნო პროგრამა არ უნდა შეიცავდეს:

- ომისა და ძალადობის პროპაგანდას;
- არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ მოწოდებას;

²² ლიეტუვის რესპუბლიკის საარჩევნო კანონმდებლობით გარე პოლიტიკური რეკლამის კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოხსნის პასუხისმგებლობა ეკისრება პირს, რომელმაც იგი გამოაქვეყნა.

– საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.

პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტისა და მათ მხარდამჭერების პირების მიერ ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა არის წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარების წესების დარღვევა.

ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების აკრძალვა. წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების საკითხს. ადმინისტრაციულ რესურსების და სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებზე კონტროლის მექანიზმების არამართლზომიერად გამოყენება ანუ საარჩევნო მიზნებისთვის რომელიმე სუბიექტის (პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის) სასარგებლოდ ამ რესურსების გამოყენება, კონკრეტულ საარჩევნო სუბიექტს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში კონკურენტებთან მიმართებით. შედეგად, ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერი გამოყენება, ერთის მხრივ, საფრთხეს უქმნის არჩევნების სანდოობას, მეორეს მხრივ, ეჭვქვეშ აყენებს პოლიტიკურად ნეიტრალური საჯარო სამსახურის არსებობას.

ადმინისტრაციულ რესურსად საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით განიხილება ადამიანური რესურსი, ფინანსური რესურსი, ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც საჭიროა საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის, მიუხედავად იმისა, აღნიშნული რესურსები დაწესებულების საკუთრებაა, თუ სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული (მაგალითად, იჯარით გადაცემული შენობა-ნაგებობა)²³. საარჩევნო კოდექსი ადგენს უმნიშვნელოვანეს რეგულაციებს, იმისათვის რომ განხორციელდეს ერთის მხრივ, საარჩევნო პროცესებში ადმინისტრაციული რესურსის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და, მეორეს მხრივ, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მოხდეს დროული რეაგირება.

საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც კრძალავს ადამიანური რესურსის, მატერიალური და არამატერიალური რესურსების არამართლზომიერად გამოყენებას:

²³ „ადმინისტრაციული რესურსები და თავისუფალი არჩევნები“ გზამკვლევი პოლიტიკოსებისა და საჯარო მოსამსახურეებისთვის, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების კონგრესი, სტრასბურგი, 2018 წელი.

1. სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ დაკავებული შენობების საარჩევნო მიზნებისთვის ერთი სუბიექტის სასარგებლოდ გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა სუბიექტებს არ მიეცემა, ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

შენიშვნა: აღნიშნული დათქმა ასევე ეხება სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოთა იმ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც პირებს გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

2. იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში.

3. იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში.

შენიშვნა: საარჩევნო მიზნებისთვის სამსახურეობრივი ავტომანქანის გამოყენება არ ეზღუდებათ იმ პირებს, რომელთა დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური: საქართველოს პრემიერ-მინისტრი; ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები.

ამასთან, საქართველოს მთავრობის გადანაცვრებით პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს ან მოეხსნას: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს მთავრობის წევრს; საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურეობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

4. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის

მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების თანამშრომლების, სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების სამსახურებრივი ნიშნით შეკრება.

შენიშვნა: სამსახურებრივი ნიშნით შეკრება გულისხმობს, წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირის მიერ (ორგანიზატორი), საჯარო მოსამსახურეების, დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების ორგანიზებულებად შეკრებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის წინასაარჩევნო ღონისძიებაზე დასწრების/მონაწილეობის მიზნით, მათ სამსახურებრივ შენობაში ან შენობის გარეთ, რასაც აღნიშნული დაწესებულების/დაწესებულებების თანამშრომლები ესწრებიან მათი სამსახურებრივი ნიშნიდან გამომდინარე.

საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც კრძალავს თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენებას (მოიცავს ასევე საარჩევნო მიზნებისთვის ადამიანური რესურსის არამართლზომიერად გამოყენების საკითხებს):

1. პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას;

შენიშვნა: ტერმინში „სხვაგვარად დამოკიდებული პირი“ იგულისხმება ისეთი პირი, რომელიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულია შესაბამის თანამდებობის პირზე.

2. პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და არასამუშაო საათებში სამსახურებრივი უფლებამოსილებების/ფუნქციების განხორციელებისას;

შენიშვნა: შეზღუდვა არ ვრცელდება ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყოფილი დროის გამოყენების შემთხვევაზე, აგრეთვე შემდეგ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე: საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პარლამენტის წევრი; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები; ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და მთავრობათა ხელმძღვანელები; მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს –

საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანო - მერი; სახელმწიფო რწმუნებული.

- პირს, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, აკრძალუბა სახელმწიფო ხელისუფლების ან მუნიციპალიტეტის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;
- თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, აკრძალულია მუნიციპალიტეტის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე პერიოდში.

შენიშვნა: მოცემული დათქმა არ ეხება აღნიშნული ხელმძღვანელი თანამდებობის პირების უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებს.

საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც კრძალავს ფინანსური რესურსის არამართლზომიერად გამოყენებას:

- არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

შეიშვნა: აღნიშნული დათქმა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც პროექტები/ პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით.

აღნიშნული დათქმა ასევე არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ორგანოთა მიერ კენჭისყრის შენობის მოწყობის ან/და სარემონტო სამუშაოების დაფინანსებაზე.

- არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, აკრძალულია შეღავათების დაწესება, ასევე სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) დაწესება ან/და მათი ოდენობების ზრდა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

შეიშვნა: აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება ისეთი შეღავათების, სოციალური გასაცემლების დაწესებაზე ან/და მათი ოდენობების ზრდაზე,

რომელთა დაწესება ან/და ოდენობების ზრდა კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე.

აღნიშნული შეზღუდვა ასევე არ ვრცელდება შეღავათების, სოციალური გასაცემლების დაწესებაზე ან/და მათი ოდენობების ზრდაზე, რაც უკავშირდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგებს.

3. არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან მუნიციპალიტეტის ორგანოს ეკრძალება მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო ვიდეორგოლის განთავსება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას შესაბამისი უწყების მიერ შესრულებული ან დაგეგმილი სამუშაოს შესახებ.
4. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია სახელმწიფო ბიუჯეტის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო- ან აუდიომასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც ასახულია საარჩევნო სუბიექტი, ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, ან/და რომელიც შეიცავს საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას. აკრძალულია ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება.
5. ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივ გამოყენებად ჩაითვლება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/ პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა.

საარჩევნო პროცესში ადმინისტრაციული რესურსისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის არამართლზომიერად გამოყენების პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება. საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, არაუგვიანეს არჩევნების წლის 1 ივლისისა (საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებისას ან ხელახალი არჩევნებისას – არჩევნების დანიშნვიდან 3 დღის ვადაში), საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება უწყებათაშორისი კომისია. უწყებათაშორისი კომისია საქმიანობას წყვეტს ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან.

უწყებათაშორისი კომისია იხილავს საკითხებს, რომელიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უწყებათაშორისი კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები), ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია რეკომენდაციით მიმართოს ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს,

ადმინისტრაციულ ორგანოს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.

კანონის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღების, კანონით აკრძალულ დაწესებულებებში საარჩევნო კამპანიის ჩატარების (და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ), წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას კანონით საარჩევნო კოდექსი- მუხლი 79; მუხლი 81; მუხლი 88) დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები.

თავი 8. წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფა²⁴

პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას ან ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ თუ საპლებისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ. ამდენად, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა საარჩევნო სუბიექტს ხელს უწყობს ამომრჩევლის აზრის ფორმირებაში.

საარჩევნო კოდექსი ერთ-ერთი ძირითადი საკანონმდებლო აქტია, რომელიც ადგენს მედიასაშუალებებში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესებს.

მედიის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის გამოქვების ზოგადი რეგულიაციების თანახმად, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია/რადიო ვალდებულია ცესკოს და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, ვებგვერდზე გამოქვეყნების მიზნით, კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-60 დღიდან (5 კალენდარული დღის ვადაში) გადასცეს ინფორმაცია ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად საეთერო დროის ტარიფების შესახებ. ეს ტარიფები ძალაში შედის კენჭისყრამდე 50-ე დღიდან. შესაბამისად სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელი, ავტორიზებული მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის

მოცემულ თავში მოცემული რეგულაციები ეფუძნება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონს, საარჩევნო კოდექსის 50-ე და 186-ე მუხლებს.

აჭარის ტელევიზია/რადიო ვალდებულია კენჭისყრამდე 50-ე დღიდან დაიწყოს რეკლამის განთავსება შემდეგი პირობების დაცვით: მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო; ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; საეთერო დროის ტარიფი და განუვლი მომსახურება. ამასთან, საარჩევნო სუბიექტებისათვის საეთერო დროზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად დადგენილია, რომ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15%-ს და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი; ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს (აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციები მედიასაშუალებების მიერ რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის თავიდან აცილების უზრუნველყოფის მექანიზმს წარმოადგენს).

გარდა ფასიანი საეთერო დროის გამოყოფისა, კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს სამაუწყებლო მედიასაშუალებების მიერ უფასო საეთერო დროის გამოყოფის ვალდებულებასაც. წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით უფასო საეთერო დროის გამოყოფა მედიაზე ხელმისაწვდომობისა და ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის მნიშვნელოვან რესურსს ქმნის. უფასო საეთერო დრო საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით თანაბრად ეძლევათ იმ პარტიებს, რომლებმაც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი შესაბამისი საარჩევნო ბარიერი გადალახეს.

წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამისათვის უფასო საეთერო დროის გამოყოფა²⁵ სავალდებულოა სამოგადოებრივი მაუწყებლისთვის და

²⁵ უფასო სარეკლამო დროის გამოყოფის ვალდებულება შუალედური არჩევნების დროს ვრცელდება მხოლოდ ადგილობრივ მაუწყებელზე.

„საარჩევნო კოდექსის“ 76¹ მუხლის 22-ე პუნქტის შესაბამისად, იმ საარჩევნო ოლქში (ოლქებში), სადაც არჩევნების მეორე ტური ტარდება, უფასო საეთერო დრო ნაწილდება მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებს შორის იმ პროპორციით, რომლითაც არიან წარმოდგენილი ეს საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო ოლქში (ოლქებში) მეორე ტურში მონაწილეობისათვის. 2020 წელს „საარჩევნო კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების ფარგლებში საქართველოს პარლამენტში წარდგენილ განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ უფასო საეთერო დრო მეორე ტურში შესაბამისი პროპორციით გადანაწილდება მეორე ტურში მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტზე, მიუხედავად იმისა, პირველი ტურში სარგებლობდა თუ არა კონკრეტული სუბიექტი კვალიფიციური სუბიექტის სტატუსით (მათ შორის, დამოუკიდებელი კანდიდატებიც). აღნიშნულის გათვალისწინებით, საეთერო დრო უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით, შესაბამისი პროპორციულობით, ეკუთვნით მეორე ტურში გადასულ როგორც კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისთვის/რადიოსთვის, სათემო მაუწყებლისთვის და აგრეთვე, საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებლისთვის, ხოლო სხვა მაუწყებლებს უფასო საეთერო დროის გამოყოფის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვათ კანონით პირდაპირ გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევებში, ასე მაგალითად: 2020 წლის არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო კოდექსის რედაქციის თანახმად, მაუწყებელი ვალდებული იყო არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში წინასაარჩევნო რეკლამა უსასყიდლოდ განეთავსებინა, თუ მისი მომსახურების ზონაში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას იგი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას განათავსებდა („მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში შესული ცვლილებების შედეგად 30-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მოქმედი რედაქცია აღარ შეიცავს მე-12 პუნქტით გათვალისწინებულ რეგულაციას).

სათერო დროის თანაბრად განაწილების, წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის ვალდებულებები ვრცელდება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ მაუწყებლებზე და მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით. საარჩევნო კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად: საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია/რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებულია მისი მომსახურების ზონაში საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ საათში 5 წუთი გამოყოს წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განათავსებლად და ყოველ 3 საათში თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული უფლებამოსილი პარტიის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოყენებული დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის; რაც შეეხება საერთო ეროვნულ საეთერო მაუწყებელს, ეს უკანასკნელი ვალდებულია საერთო არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არჩევნების დღემდე

გარდა ამისა, მეორე ტურში უფასო საეთერო დრო განსხვავებით პირველი ტურისაგან, მეორე ტურში გადასულ საარჩევნო სუბიექტებს ეკუთვნით იმ პროპორციით, რომლითაც არიან წარმოდგენილი ეს საარჩევნო სუბიექტები შესაბამის საარჩევნო ოლქში (ოლქებში), რაც იმას ნიშნავს, რომ მაუწყებლებმა, უფასო წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამის განათავსებლად საარჩევნო კოდექსის შესაბამისად გამოსაყოფი დრო მეორე ტურში გადასულ საარჩევნო სუბიექტებს შორის უნდა გადაანაწილონ იმ პროპორციით, რა რაოდენობის კანდიდატთაც არის წარმოდგენილი შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი მეორე ტურში (ამონარიდი საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებლებისთვის მიწერილი წერილიდან (2020 წლის 16 ნოემბრის N გ-20-04/3825)).

50-ე დღიდან თავის ეთერში ყოველ 3 საათში 7,5 წუთი გამოყოს წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 186-ე მუხლის²⁶ თანახმად მაუწყებელს ეკრძალება შესაბამისი საარჩევნო სუბიექტისათვის ფასიანი რეკლამის განთავსებისათვის გადახდილი საფასურის შესაბამისზე მეტი საეთერო დროის დათმობა ან უფასო რეკლამის განთავსებისას კანონით განსაზღვრულზე მეტი დროის დათმობა. აღნიშნული ქმედება აკრძალულ შემონიშნულებად ჩაითვლება.

იმისთვის, რომ პოლიტიკური რეკლამის განთავსების საშუალება კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტების გარდა ასევე ჰქონდეთ სხვა პოლიტიკურ პარტიებსაც, რომლებიც არ სარგებლობენ ამ სტატუსით, მოქმედი კანონმდებლობით საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას/რადიოს ეკისრება ვალდებულება, წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით გამოყონ დრო, რომელიც თანაბრად განაწილდება აღნიშნულ სუბიექტებს შორის.

საკულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობა მაუწყებელს ანიჭებს უფლება-მოსილებას კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დადგენილი წესით ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით (დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციოლოგიური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება). რაც შეეხება ადგილობრივ მაუწყებელს, იგი ვალდებულია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელმაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მიიღო ხმების არანაკლებ 25%-ისა. ამასთან, ადგილობრივი მაუწყებელი უფლებამოსილია კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელმაც შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარებულ ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოს არჩევნებში

²⁶ მუხლი 186. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღიდან საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენამდე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფის დროებითი წესი.

მიიღო ხმების არანაკლებ 10 პროცენტისა, ასევე პოლიტიკური პარტია/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელიც, შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანონით დადგენილი წესით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ ზედიზედ 2 კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 25 პროცენტის მხარდაჭერით.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების ვალდებულება მხოლოდ სამაუწყებლო მედიით არ შემოიფარგლება. საარჩევნო კოდექსი ასევე ადგენს გამეთის, როგორც ბეჭდური მედიის ვალდებულებებს წინასაარჩევნო პერიოდში. ამ მხრივ, კანონმდებლობა ბეჭდურ მედიას ორ ძირითად სახედ ჰყოფს გამეთებად, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან და გამეთებად, რომლებიც არ ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

პირველ შემთხვევაში, მკაცრად არის განსაზღვრული გამეთის ის ფართობი, რაც უნდა დაეთმოს საარჩევნო სუბიექტს წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის. გამეთში წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის ფართობი მისი ტირაჟის პროპორციულია. მაგალითად: იმ შემთხვევაში, თუ გამეთი გამოდის კვირაში ერთხელ, მაშინ თითოეული საარჩევნო სუბიექტისადმი წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების ვალდებულება გამეთს ყოველკვირეულად, გამოცემის პროპორციულად გააჩნია. რაც შეეხება გამეთს, რომელიც ყოველდღიურად გამოდის - ფართობის დათმობა ტირაჟის პროპორციულად უნდა განხორციელდეს. ამასთან, გამეთი, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ასეთი ვალდებულებებით არ არის შემზღუდული²⁷.

სამაუწყებლო მედიასაშუალებებსა და ბეჭდურ მედიაში წინასაარჩევნო (პოლიტიკური) რეკლამის განთავსებასისა დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები: პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. ასეთ რეკლამას უნდა ჰქონდეს სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა; გამეთში სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“; კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდის ფარგლებში არ დაუშვას პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი

²⁷ ს. ჯორბენაძე, უ. ბახტაძე, ზ. მაჭარაძე - „მედიასამართალი“. დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014. გვ. 124

დროის შუალედისა; დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შეშლვით რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას; პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 10%-ს. ამასთანავე, რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 50%-ს.

ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენამდე პერიოდში მოქმედებს დროებითი წესი, რომლის თანახმად, არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის დახარჯული თანხის არანაკლებ 10%-ისა გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები.

წინასაარჩევნო დებატების გაშუქება²⁸. წინასაარჩევნო დებატების ცნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის. წინასაარჩევნო დებატები ზოგადად წარმოადგენს წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ და ამ კამპანიის პროცესში დაგეგმილ სამაუწყებლო გადაცემას, სადაც მონაწილეებს ღებულობს ორი ან მეტი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი და რა დროსაც აზრთა საჯარო ურთიერთგაცვლისა ან/და კითხვა-პასუხის ფორმატში საარჩევნო სუბიექტები გამოხატავენ აზრს სამოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე, ასევე საკუთარი და კონკურენტი საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო პროგრამაზე.

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადანყვეტს, წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით (პარტია რომელიც იღებს დაფინანსებას სახელმწიფო

²⁸ „წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები“ (მეორე რედაქცია - დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში - 25. 07. 2017)

ბიუჯეტიდან ან საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ასეთად არის აღიარებული სამაუწყებლო მედიასაშუალებების მიერ). „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. საერთო მაუწყებელმა, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია წინასაარჩევნო დებატები გადასცეს საუკეთესო დროსა და სურდოთარგმანით. დაუშვებელია წინასაარჩევნო დებატების პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია შეწყდეს რეკლამით ან ტელეშოუინგით. ამასთან, იკრძალება წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამასა ან ტელეშოპინგში.

წინასაარჩევნო დებატების განთავსების ეთიკური სტანდარტი. იმის გათვალისწინებით, რომ წინასაარჩევნო დებატები, საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული და მისი განხორციელების ორგანული კომპონენტია, მისი გადაცემისას საჭიროა არა მხოლოდ არადისკრიმინაციულობის, არამედ ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დაცვა, როგორიცაა არჩევნების გაშუქებისათვის დადგენილი მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპები. არადისკრიმინაციულობა წინასაარჩევნო დებატებში უზრუნველყოფილია, თუ წინასაარჩევნო დებატებში ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს თანაბარი დრო და ერთგვაროვანი პირობები აქვს შეთავაზებული. დებატების არადისკრიმინაციულად ჩატარებაში იგულისხმება ყველა მხარის მიწვევა ტელედებატებში მონაწილეობის მიღებისთვის. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, თავად თქვას უარი დებატებში მონაწილეობაზე, თუმცა ამ მიზეზის გამო ტელემაუწყებელმა კონკრეტული სუბიექტის (სუბიექტის წარმომადგენლის) მიწვევისგან თავი არ უნდა შეიკავოს.

მედიამონიტორინგი. საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და სამაუწყებლო დროის სწორად გამოყენების მიზნით, **საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია** უზრუნველყოფს მაუწყებლის მიერ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ნორმათა დაცვის მონიტორინგს²⁹ და ახდენს შესაბამის რეაგირებას სამართალდარღვევის ფაქტებზე.

²⁹ მედიამონიტორინგთან დაკავშირებული რეგულაციები იხ. „წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები“ (მეორე რედაქცია - დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წინასაარჩევნო კამპანიის მედია მონიტორინგის მხარდაჭერის ფარგლებში - 25. 07. 2017)

თავი 9. არჩევნები და ფინანსები

არჩევნების მომზადება და მისი ჯეროვანი ჩატარება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის მნიშვნელოვანია ფინანსური სახსრები. საჭიროა, საარჩევნო ადმინისტრაცია და პოლიტიკური გაერთიანებები ფინანსურად უზრუნველყოფილნი იყვნენ, რათა, ერთი მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახერხოს არჩევნების ორგანიზება და საარჩევნო ღონისძიებების გამართვა, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურმა გაერთიანებებმა შეძლონ კონკურენტუნარიანი წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა და პარტიული სისტემის განვითარება.

საქართველოში არჩევნების დაფინანსების საკითხები ძირითადად მოცემულია საარჩევნო კოდექსის VII თავში, რომელიც არეგულირებს, როგორც არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსების საკითხებს, ასევე ცალკე საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვის საკითხებს. საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებაზე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ხოლო პოლიტიკური პარტიები შერეული წესით, კერძო ფინანსებითა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით ფინანსდებიან.

განსხვავებულია პოლიტიკური პარტიის მიერ საკუთარ ფინანსებთან წვდომის და მისი განკარგვის მექანიზმები საარჩევნო და არასაარჩევნო პერიოდში. იმ შემთხვევაში თუ პოლიტიკური პარტია საარჩევნო სუბიექტიცაა მის მიმართ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული კონკრეტული სამართლებრივი რეგულაციები მოქმედებს. იგივე ვრცელდება საინიციატივო ჯგუფებზეც, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე კანდიდატების დასახელების უფლება გააჩნიათ.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების დაფინანსება. საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, არჩევნების, რეფერენდუმის მოსამზადებლად და ჩასატარებლად საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გაწეული ხარჯი და მისი საქმიანობა უფლებამოსილების განხორციელების ვადაში ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცესკო საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით ყოველწლიურად საქართველოს პარლამენტს წარუდგენს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება. საარჩევნო კოდექსი ასევე ითვალისწინებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის (ცესკოს) მხრიდან, გრანტის მიღების შესაძლებლობასაც, კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირისაგან.

გრანტი გამოიყენება ცესკოსა და უფლებამოსილ პირს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება. საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური პარტიების ფინანსებთან დაკავშირებით კანონმდებლობა ხშირად იცვლება და დამოკიდებულია, როგორც სამართლებრივ ისე პოლიტიკურ რეალობაზე. უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებები 2020-2021 წლებში განხორციელდა და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიდგომები მკვეთრად შეიცვალა. რეგულაციების ნაწილი უკვე შევიდა ძალაში, ხოლო ნაწილი ძალაში შევა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ცვლილებების შედეგად საარჩევნო კოდექსი მეტად ორიენტირებული პოლიტიკურ პარტიებზე გახდა, რადგან საარჩევნო ბლოკების ცნება 2024 წლის არჩევნებისთვის აღარ იარსებებს, ხოლო საინიციატივო ჯგუფებს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოთა არჩევნებში შეეძლება მონაწილეობის მიღება.

სარჩევნო პერიოდში, საარჩევნო სუბიექტი საკუთარ ფინანსურ საქმიანობას მხოლოდ საარჩევნო ფონდის მეშვეობით ახორციელებს, თუმცა ფონდში ფინანსური სახსრების შეგროვება კანონით განსაზღვრული გზით შეუძლიათ. მათ შორის, საარჩევნო ფონდში შესაძლებელია სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის გადატანაც, რაც პოლიტიკურ პარტიებს აძლევთ შესაძლებლობას გამოყენონ სახელმწიფოს ფინანსები წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების მიზნებისთვისაც.

სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის გადაცემული თანხების საშემოსავლო წილი საკმაოდ მაღალია. 2019 წელს პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული შემოსავლების 59% სახელმწიფო დაფინანსებაზე მოდიოდა.³⁰ იმავე საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთნენ ისეთი პოლიტიკური პარტიებიც, რომელთა შემოსავლის უდიდეს ნაწილს, ხშირ შემთხვევაში 80%-ზე მეტს, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაცემული დაფინანსება წარმოადგენდა.³¹

საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო ფონდი. საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანია ფინანსდება პოლიტიკური პარტიის საარჩევნო ფონდიდან, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის - მის მიერ გახსნილი საარჩევნო ფონდიდან (აღნიშნული ფონდის სახსრები გამოიყენება დამოუკიდებელი კანდიდატის კამპანიის დასაფინანსებლად). საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი კანდიდატი სარგებლობს მისი წარმდგენი სუბიექტის ფონდით. საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს

³⁰ https://transparency.ge/sites/default/files/politikuri_partiebis_dapinanseba_2019_cels.pdf გვ.15

³¹ იქვე, გვ.18-19.

ინფორმაცია იმ საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც დაფინანსდება საარჩევნო კამპანია.³²

კამპანიის ხარჯებად ითვლება საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიისათვის განკუთვნილი და შესაბამის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (ასახული საბაზრო ფასებით), გარდა კანონით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა. დაუშვებელია საარჩევნო სუბიექტის მიერ არჩევნების დროს, შესაბამისი ფონდის სახსრების გარდა, სხვა სახსრების გამოყენება.

მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რა საშუალებებით იქნება პარტიის ქონება ანუ ის სახსრები, რომლებიც შესაძლოა წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას იქნეს გამოყენებული. „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით პარტიულ ქონებას ქმნი:

- საწევრო შენატანები;
- შემოწირულებები;
- კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა;
- სიმბოლიკის დამზადებითა და გავრცელებით, ლექციების, გამოფენებისა და სხვა საჯარო ღონისძიებების მოწყობით, აგრეთვე საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე საგამომცემლო და სხვა საქმიანობიდან მიღებული წლიური შემოსავალი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მინიმალური საბაზო დაფინანსების ორმაგ ოდენობას.

ასევე, პარტიას უფლება აქვს, აიღოს კრედიტი მხოლოდ საქართველოს კომერციული ბანკისაგან საერთო რაოდენობით არაუმეტეს ერთი მილიონი ლარისა კალენდარული წლის განმავლობაში.³³

საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს წარუდგინოს ინფორმაცია საბანკო ანგარიშის შესახებ, რომლიდანაც მოხდება საარჩევნო კამპანიის დაფინანსება. ფონდის შესახებ წარდგენილი ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს საარჩევნო კამპანიის ფონდის მართვაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო მონაცემებს.

საწევრო შენატანები/შემოწირულებები. პარტიისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ქონებრივი და ფინანსური საკითხები მოწესრიგებულია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის III თავით, რომელშიც მოცემულია, როგორც ის თუ როგორ ქმნიან კანონით გათვალისწინებული სუბიექტები საკუთარ ქონებას, ასევე ისიც თუ როგორი შემოწირულობების მიღებაა აკრძალული, რა ოდენობას არ უნდა გადააჭარბოს საწევრო შენატანის წლიურმა ოდენობამ, შემოწირულობების

³² საარჩევნო კოდექსის მუხლი 54.

³³ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მუხლი 25.

ერთჯერადი და ჯამური ოდენობა, ვის არ აქვს უფლება განახორციელოს შემოწირულობები და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნული მჭიდროდაა დაკავშირებული საარჩევნო ფონდთან, რადგან სწორედ ეს ფინანსური სახსრები წარმოადგენენ სამომავლოდ წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების ერთ-ერთ წყაროს.

მსოფლიოს მასშტაბით მიღებული პრაქტიკაა პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ შემოწირულობების ოდენობის ლიმიტირება. საქართველოში მოქალაქის მიერ პოლიტიკური პარტიისთვის შეწირული თანხა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის 120 000 ლარიანი ზღვარია დადგენილი.³⁴ მსგავსი რეგულაციები არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: დიდი ბრიტანეთი, ხორვატია, მალტა, იაპონია და ა.შ. ქვეყნების ნაწილში მხოლოდ ფიზიკური პირების შემოწირულობების ოდენობებია ლიმიტირებული, ნაწილში კი მხოლოდ იურიდიული პირების.³⁵ ამასთან, საქართველოში დადგენილია პარტიის მიერ წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების საერთო ოდენობის ზედა ზღვარი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1%-ს.³⁶ მსგავსი კანონისმიერი დათქმები მრავალ ქვეყანაშია, რომელთაგან ზოგიერთში პარტიამ არ უნდა დახარჯოს კონკრეტულ თანხაზე მეტი. მაგალითად ახალ ზელანდიაში განსაზღვრულია ზედა ჭერი 1 169 000 ახალ ზელანდიური დოლარი, იტალიაში რეგისტრირებული ამომრჩევლის რაოდენობის ნამრავლი ერთი ევროზე, სლოვაკეთში 3 მლ. ევრო და ა.შ.³⁷

რაც შეეხება პარტიის თითოეული წევრის მიერ განხორციელებულ სანევრო შენატანების წლიური ოდენობას, ეს უკანასკნელი არ უნდა აღემატებოდეს 1 200 ლარს.

პარტიის მიერ სანევრო შენატანები, აგრეთვე მოქალაქისაგან შემოწირულობების სახით ფულადი სახსრები მიიღება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. შემოწირულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში არსებული, შემომწირველის ან სანევრო შენატანის განმახორციელებელი პირის კუთვნილი ანგარიშიდან.

კანონით დადგენილ შემთხვევებში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა. სახელმწიფო საარჩევნო ხარჯების ნაწილში მნიშვნელოვნად ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს. პოლიტიკური პარტიები, როგორც საარჩევნო სუბიექტები მრავალ ასპექტში სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული უფასო სერვისებით, ფინანსური შეღავათებითა და პირდაპირი დაფინანსებით.

³⁴ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მუხლი 27.

³⁵ <https://www.idea.int/data-tools/question-view/542>

³⁶ საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ მუხლი 25¹.

³⁷ <https://www.idea.int/data-tools/question-view/561>

სახელმწიფო საკუთარი ფინანსური პასუხისმგებლობის პაკეტის შემუშავებისას ძირითადად ითვალისწინებს წინა არჩევნების შედეგებს და სწორედ პარტიების მიერ მიღებული შედეგებიდან გამომდინარე განსაზღვრავს გადასაცემი ფინანსური სახსრების მოცულობას. საკანონმდებლო რეფორმების შედეგად უფლებების მოპოვების ასპექტში გადამწყვეტ როლს საპარლამენტო არჩევნები თამაშობს, თუმცა გასულ წლებში მხედველობაში მიიღებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებიც. განსხვავებულია საინიციატივო ჯგუფების შემთხვევა, რადგან მათი სამართლებრივი მდგომარეობა პოლიტიკური პარტიისგან განსხვავებით არ ითვალისწინებს წინა არჩევნებზე მიღწეულ შედეგებს, შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებულ ფინანსურ ხელშეწყობაზე ხელმისაწვდომობა ასეთ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლები აქვთ.

არჩევნების შედეგების გათვალისწინება ამა თუ იმ უფლებების მოპოვების განსაზღვრად გამოცდილი პრაქტიკაა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მუშაობს. ერთი შეხედვით სამართლიანი იქნებოდა არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისთვის ან ქვეყანაში რეგისტრირებული ყველა პოლიტიკური პარტიისთვის სახელმწიფოს საჯარო ფინანსებზე, ბიუჯეტის სახსრებზე ჰქონოდათ წვდომა და ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი პრაქტიკაც არის, თუმცა მსგავსი მიდგომა აჩენს რისკს, რომ მოქალაქეების გარკვეულმა ჯგუფებმა მხოლოდ იმიტომ შექმნან პოლიტიკური პარტიები, რომ გარკვეული ფინანსური სარგებელი მიიღონ. სახელმწიფოს ბიუჯეტი კი საჯარო სიკეთეა, რომლის გაფლანგვის რისკიც ზემოაღნიშნულ შემთხვევაში გაიზრდება. დაფინანსების განსაზღვრად შესაბამისი კრიტერიუმების შემოტანა მნიშვნელოვანია. მსოფლიო პრაქტიკა ხშირად უკავშირებს პარტიის მხრიდან საჯარო ფინანსებზე წვდომას და არჩევნებში მოპოვებული მხარდაჭერის მოცულობას ერთმანეთს.³⁸ საქართველოში დაფინანსების უფლება და შემდგომში მისი მოცულობა დაკავშირებულია სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობასთან, იგივე კრიტერიუმებით მოქმედებენ კანადაში, ავსტრალიაში, ლატვიაში, დანიაში და ა.შ. მსოფლიოში პოპულარულია დაფინანსებაზე უფლების მოპოვების განსაზღვრად მიღებული მანდატების რაოდენობის კრიტერიუმად გამოყენება.³⁹ საერთაშორისო პრაქტიკა ცნობს სახელმწიფოს მხრიდან, როგორც მუდმივ ისე ერთჯერადად საარჩევნო პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო დაფინანსებებს. საქართველო გერმანიის, პოლონეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ბრაზილიის, მექსიკისა და სხვა ქვეყნების მსგავსად პოლიტიკურ პარტიებს სთავაზობს, როგორც მუდმივ სახელმწიფო დაფინანსებას ისე

³⁸ Magnus Ohman, Samule Jones, Elin Falguera and etc. Funding of Political Parties and Election Campaigns, Sweden, 2014, 23.

³⁹ <https://www.idea.int/data-tools/question-view/549>

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ერთჯერადად დახარჯული თანხისა და მათ შორის სატელევიზიო რეკლამაზე განუვლი ხარჯების ანაზღაურებას.⁴⁰

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად საქართველოში საარჩევნო სუბიექტები დამატებით სარგებლობენ ირიბი დაფინანსების მექანიზმებითაც.⁴¹ ირიბი დაფინანსება ძირითადად გამოიხატება უფასო სარეკლამო დროში, დებატებში მონაწილეობის შესაძლებლობებში, სარეკლამო მასალების განსათავსებლად საჭირო სივრცეების გამოყოფაში და ა.შ.⁴²

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკურ პარტიებზე ყოველწლიურად გადასაცემი თანხა, მათი ფინანსური მხარდაჭერისა და პარტიული სისტემის განვითარებისთვის. პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლით არის გათვალისწინებული მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული და საბაზისო დაფინანსების სახეა. მას მრავალ ქვეყანაში იყენებენ, მაგალითისთვის გერმანია, შვედეთი, ისრაელი, ესპანეთი, საფრანგეთი და ა.შ.⁴³ პირდაპირი დაფინანსების ეს სახე საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში რთული ფორმულით გამოითვლებოდა⁴⁴, თუმცა 2020 წელს გახორციელებული საკანონმდებლო რეფორმების ფარგლებში ის საგრძნობლად გამარტივდა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხას იღებს პარტია, რომელმაც საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1% მაინც მიიღო. პარტია ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს თანხას საქართველოს პარლამენტის ბოლო არჩევნებში პირველი 50 000 ნამდვილი ხმის ფარგლებში მიღებული თითოეული ხმისთვის 15 ლარის, ხოლო თითოეული შემდგომი მიღებული ნამდვილი ხმისთვის – 5 ლარის ოდენობით. შესაბამისად, საქართველოში შეიცვალა დაფინანსების წარმოშობის საფუძველი და დაუკავშირდა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებს. ასევე, დაიწია დაფინანსებაზე უფლების მოპოვების ბარიერმაც და დადგინდა 1%. მაგალითად გერმანიაში პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ პარტიამ ბუნდესტაგის ან ევროპის პარლამენტის არჩევნებში მოაგროვა 0,5% მაინც, ან დააგროვა 1% მაინც ბოლო მიწების არჩევნებზე (ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები). საფრანგეთში, პარტიებს წარმოშობათ პირდაპირ საბიუჯეტო დაფინანსებაზე წვდომა თუ ისინი საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის 577 ამომრჩეველთა ოლქიდან 50-ში მაინც მოაგროვებენ ნამდვილი ხმების 1% ან მეტს. ესპანეთში, დაფინანსების საკითხი საპარლამენტო

⁴⁰ <https://www.idea.int/data-tools/question-view/548>

⁴¹ <https://www.idea.int/data-tools/question-view/555>

⁴² იქვე.

⁴³ <https://www.idea.int/data-tools/question-view/548>

⁴⁴ პარტიის მიერ მისაღები საბიუჯეტო დაფინანსება გაანგარიშდებოდა შემდეგი ფორმულით:
 $Z = B + (M * 600 * 12) + (L * 100 * 12) + (V * 1,5) + (W * 1) + (H)$

არჩევნებთანაა დაკავშირებული და გამოითვლება კომბინაციაში მოპოვებული მანდატებისა და მიღებული ხმების რაოდენობით.⁴⁵

ასევე, კანონმდებლობაში გაიწერა დაფინანსების ამ სახის მიზნობრიობა და აშკარად ის ემსახურება პარტიების ფინანსური მხარდაჭერასა და პარტიული სისტემის განვითარებას. ამ ხერხით მოგროვილი ფინანსური აქტივების აკუმულირება პარტიას, სუბიექტად დარეგისტრირების შემდეგ, საარჩევნო ფონდშიც შეუძლია.

გენდერული ბალანსის დაცვის საფუძველზე მიღებული დაფინანსება. პარტია, რომელიც 2028 წლამდე ჩატარებული პარლამენტის არჩევნების საფუძველზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 30-ე მუხლით დადგენილი წესით იღებს საბიუჯეტო დაფინანსებას, ასევე აქვს შესაძლებლობა მიიღოს დანამატი სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მისაღები თანხის 30%-ის შესაბამისი ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ მის მიერ პარლამენტის ბოლო არჩევნებზე წარდგენილ პარტიულ საიში ყოველ სამეულში ერთი კანდიდატი განსხვავებული სქესის წარმომადგენელი იქნება. ეს დანამატი მიზნობრივია და გამოყენებული უნდა იქნეს პარტიის სტრუქტურული ერთეულის – ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის. კანონმდებლობაში შესულმა ცვლილებებმა გენდერული ბალანსის დაცვის საფუძველზე მიღებულ დაფინანსებას, განსხვავებით წინა რედაქციებისგან მიზნობრიობა მიანიჭა და მისი გამოყენება უნდა მოხდეს პარტიის სტრუქტურული ერთეულის – ქალთა ორგანიზაციის საქმიანობისთვის. მსგავსი დაფინანსებაც სახელმწიფოს ბიუჯეტიდან პირდაპირი გზით გაცემული ფინანსური მხარდაჭერა პოლიტიკური პარტიისთვის.

საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად გამოყოფილი დაფინანსება. საქართველოში მრავალი წლის განმავლობაში გამოყენებოდა საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა საარჩევნო კამპანიის ფონდის დაფინანსებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მუხლის შინაარსიდან გამომდინარე საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებდა პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან მეტს, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მიიღებდა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 10%-ს ან მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებდა არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას განეული ხარჯების დასაფარავად. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების საერთო არჩევნებში მიიღებდა არჩევნებში მონაწილე

⁴⁵ Piccio, Daniela Romée. 'Party Regulation in Europe: Country Reports', Working Paper Series on the Legal Regulation of Political Parties, No. 18, 2012.

ამომრჩეველთა ხმების 3%-ს ან მეტს (ხმათა ეს რაოდენობა გამოიანგარიშდებოდა მთელ ქვეყანაში პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიღებული ხმების მიხედვით), საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებდა არაუმეტეს 500 000 ლარს საკრებულოს/მერის არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარად. აღნიშნული საარჩევნო სუბიექტები ასეთ დაფინანსებას იღებდნენ საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების თაობაზე წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ანგარიშის წარდგენის შემდეგ. 2020 წლის საკანონმდებლო რეფორმის შედეგად მოცემული რეგულაცია გარდამავალ დებულებებში აღმოჩნდა (189-ე მუხლი), დაუკავშირდა მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში მიიღებს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5%-ს ან 5%-ზე მეტს, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად მიიღებს არაუმეტეს 1 000 000 ლარს არჩევნების ორივე ტურში საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების დასაფარავად. აღნიშნული საარჩევნო სუბიექტი ასეთ დაფინანსებას მიიღებს საარჩევნო კამპანიის დროს გაწეული ხარჯების თაობაზე წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ამ კანონის საქართველოს პარლამენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე მოქმედი 57-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის წარდგენის შემდეგ“. სახელმწიფო დაფინანსების ამ სახის მომავალი ბუნდოვანია, რადგან საარჩევნო კოდექსში აღნიშნული საკითხთან შემხებლობაში მყოფი მუხლი ამოღებულია.

უფასო საეთერო/სარეკლამო დრო და ბეჭდური მედია. მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს საარჩევნო სუბიექტებისთვის უფასო საეთერო და სარეკლამო დროების გამოყოფას, რაც მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა და წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების საინფორმაციო უზრუნველყოფას გულისხმობს. საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლი არეგულირებს საეთერო დროის საკითხს, როგორც ტელევიზიაში ისე რადიო მაუწყებელში. მუხლში ასევე დარეგულირებულია წინასაარჩევნო დებატებთან დაკავშირებული საკითხებიც. ირიბი დაფინანსების ამ ფორმაზე ყველაზე ხშირად ვრცელდება პროპორციული ხელმისაწვდომის პრინციპი. საარჩევნო სუბიექტებს უნაწილდებათ საეთერო დრო რაიმე სუბიექტური მაჩვენებლით, მაგალითად: წინა არჩევნების შედეგების, პარლამენტში დაკავებული ადგილების, წამოყენებული კანდიდატურების რაოდენობის, დასაკავებული ადგილების რაოდენობის ან საერთო გამოკითხვების მაჩვენებლების მიხედვით. საქართველოშიც საეთერო დროის გაანგარიშების პროცესში გამოიყენება უკანასკნელი არჩევნების შედეგები, ასევე არსებობს გამოკითხვების მეთოდით სარეკლამო და საეთერო დროის მინიჭების მექანიზმიც. გერმანიის მაგალითს თუ ავიღებთ, კანდიდატებს კანონით ეკრძალებათ საეთერო დროის შეძენა, მათთვის

არსებობს მხოლოდ უფასო, კანონით დადგენილი წესით გაანგარიშებული, საეთერო დრო ტელევიზიასა და რადიოში.⁴⁶ საინტერესო პრაქტიკა ჰქონდა ბრაზილიას, როდესაც 2002 წელს ტელევიზიებს მოუწიათ ფედერალურ და ლოკალურ დონეზე 19 000 კანდიდატის გაშუქება. ტელევიზიები დღეში დაახლოებით 2 საათს ხარჯავდნენ კანდიდატების საარჩევნო პროგრამების გასაშუქებლად. ბრაზილიაში კანდიდატებს შორის საეთერო დრო პროპორციულადაა დაყოფილი, კონგრესში დეპუტატთა რაოდენობის მიხედვით, რაც საქართველოსგან განსხვავებული პრაქტიკაა.⁴⁷

საარჩევნო კოდექსი ასევე ითვალისწინებს ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული გამეთების ვალდებულებას არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შუამდებამდე წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყონ გამეთის ფართობი საარჩევნო სუბიექტებისთვის.⁴⁸

თავი 10. კენჭისყრის დრო და ადგილი

საარჩევნო დოკუმენტაციისა და საარჩევნო ინვენტარის მიღება. საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრისთვის მზადების და მისი ჩატარების მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიისგან იღებს:

- **საარჩევნო დოკუმენტაციას** (ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას (კედლის სია და სამაგიდო სია); ამომრჩეველთა სპეციალურ სიას, ასეთის არსებობის შემთხვევაში (კედლის სია და სამაგიდო სია); გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (კედლის სია და სამაგიდო სია) ბლანკებს; ამომრჩეველთა ბარათებს; საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს; სპეციალურ კონვერტებს; კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს (ე. წ. ზონარგაყრილი წიგნი); საკონტროლო ფურცლებს; კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და შესწორების ოქმების ფორმებს; კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმს/ოქმებს);
- **საარჩევნო ინვენტარს** (ძირითად და გადასატან გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებს; საარჩევნო ყუთების ლუქებს; კენჭისყრის კაბინებს (საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნას შშმ პირებისთვის ადაპტირებული კენჭისყრის კაბინა); მარკირების სითხეს და მარკირების შესამოწმებელ სპეციალურ ხელსაწყოს (ულტრაიისფერი ფარანი); საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედს; რეგისტრატორების სპეციალურ ბეჭდებს და რეგისტრატორების სპეციალურ სახაზავებს (რეგისტრატორების რაოდენობის შესაბამისად); ასლგადამღებ მანქანას; სამელნე ბალიშებს; გამადიდებელ

⁴⁶ Why America's Political Candidates Need Free Airtime, Kari Garcia, 296.

⁴⁷ იქვე, 298.

⁴⁸ საარჩევნო კოდექსი მუხლი 50.

ლინზას მცირემხედველი ამომრჩევლებისთვის და სპეციალური ჩარჩოს უსინათლო ამომრჩევლებისთვის);⁴⁹

- **სხვა საარჩევნო მასალას** (კანდიდატთა სიებს ან/და პარტიულ სიებს; საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას; ამონარიდს კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი; საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს).

საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე, ან კომისიის თავმჯდომარის განკარგულების საფუძველზე – თავმჯდომარის მოადგილე, არის საოლქო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებისთვის პასუხისმგებელი პირი, ხოლო საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პასუხისმგებლები არიან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი. საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენებს, სპეციალურ კონვერტებსა და საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილ სიებს კენჭისყრამდე არაუგვიანეს 12 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისთვის საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადაცემისას ორ ცალად დგება მიღება ჩაბარების აქტი, რომელშიც აღინიშნება:

- მათი გამცემი და მიმღები კომისიების დასახელებები;
- სპეციალური კონვერტების რაოდენობა;
- ბიულეტენთა სახეობა;
- ბიულეტენთა ბლოკნოტების რაოდენობა (მათი ნომრებისა და ბიულეტენების ნომრების მითითებით);
- მათი გამცემი და მიმღები პირების ვინაობა.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე მიმღები და გამცემი პირები ამოწმებენ საარჩევნო ბიულეტენების რეკვიზიტების სისწორეს და საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობის შესაბამისობას მიღება-ჩაბარების აქტში შეტანილ მონაცემებთან. ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები კვლავ ილუქება, რასაც მხარეები ხელმოწერით ადასტურებენ.

მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები. აქტის ერთი ცალი რჩება საოლქო საარჩევნო კომისიაში, მეორე გადაეცემა საუბნო საარჩევნო კომისიას. მიღება-ჩაბარების აქტს საუბნო

⁴⁹ 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისათვის, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №55/2021 დადგენილების თანახმად, იმ საარჩევნო უბნებში, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატებოდა 300 ამომრჩეველს, საუბნო საარჩევნო კომისიას ვეჯალებოდა ხმის დათვლის პროცესის აუდიო-ვიდეოფიქსაციის განხორციელება საარჩევნო ყუთის/ყუთების გახსნის მომენტიდან საარჩევნო ბიულეტენების დასტების დალუქვის მომენტის ჩათვლით. ამ მიზნით კომისიებს გადაეცათ ვიდეოფიქსაციის კამერები.

საარჩევნო კომისიის მდივანი რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის შემოსული დოკუმენტაციის ნაწილში. მიღება-ჩაბარების აქტი საჯარო ინფორმაციაა.

კენჭისყრის შენობის მონყობა. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის პროცედურების ჩასატარებლად, კანონით დადგენილი წესების დაცვით, კენჭისყრამდე არაუგვიანეს ერთი დღისა მოაწყონ კენჭისყრის შენობა. საუბნო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწყოს:

- ამომრჩეველთა სარეგისტრაციო მაგიდები;
- ყოველი 500 ამომრჩევლისთვის არანაკლებ ერთი კენჭისყრის კაბინა (ბიულეტენის შესავსებად განთავსებული უნდა იყოს კალმისტარი);
- მაგიდა სპეციალური კონვერტებისთვის (უნდა იდგეს საარჩევნო ყუთთან ახლოს);
- აწყობილი, დაულუქავი საარჩევნო ყუთები.

კენჭისყრის შენობაში გამჭვირვალე საარჩევნო ყუთი თვალსაჩინო ადგილას ისე უნდა იყოს მოთავსებული, რომ ამომრჩეველი დაუბრკოლებლად მივიდეს მასთან და სპეციალური კონვერტის ჩაგდების შემდეგ დაუყოვნებლივ დატოვოს საარჩევნო უბანი.

კენჭისყრის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- ამომრჩეველთა სპეციალური სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ვერსია (კედლის სია);
- კანდიდატთა სიები ან/და პარტიული სიები;
- ცესკოს მიერ დადგენილი საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია საარჩევნო ბიულეტენი ბათილი;
- კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმი/ოქმები.

თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, განცხადება ამის შესახებ უნდა გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას კენჭისყრის შენობაში და ფარული კენჭისყრის კაბინებში.

თავი 11. საარჩევნო უბნის გახსნა, კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე, თუ ამ დროისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიენიჭება საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ვალდებული არიან, კენჭისყრის დღის განმავლობაში ატარონ მათთვის განკუთვნილი სპეციალური ფორმები. აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა ზემდგომი საარჩევნო კომისიის მიერ განხილული იქნება, როგორც დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება აქვთ:

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს;
- ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს/წარმომადგენლებს;
- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელს (ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის არაუმეტეს 1 წარმომადგენელს);
- რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის არაუმეტეს 1 დამკვირვებელს);
- რეგისტრირებული საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებლებს (ერთი და იმავე საერთაშორისო ორგანიზაციის არაუმეტეს 2 დამკვირვებელს (მათ შესაძლოა ახლდეთ თარჯიმანი);
- მედიის აკრედიტებულ წარმომადგენლებს (ერთი და იმავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების არაუმეტეს 2 წარმომადგენელს).

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი.

დამკვირვებელი, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი კენჭისყრის დღეს სარგებლობს საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილებებით, მათ შორის, მას უფლება აქვს კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს შეენაცვლოს მისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს. დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს, მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენელს უფლება არ აქვს ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებში და საქმიანობაში, გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე, აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.

ფოტო- და ვიდეოგადაღებას რეგულაციები კენჭისყრის დღეს. კენჭისყრის დღეს, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა

პირებს შეუძლიათ აწარმოონ ფოტო და ვიდეოგადაღება კომისიის თავმჯდომარის მიერ გამოყოფილი სპეციალური ადგილიდან, საიდანაც ჩანს საარჩევნო პროცესი⁵⁰.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან ინტერვიუს ჩაწერა დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ. კომისიის წევრების მიერ ინტერვიუების მიცემა უნდა განხორციელდეს კენჭისყრის პროცესში მისთვის განკუთვნილი მოვალეობების შესრულების შეფერხების გარეშე.

ერთიდაიგივე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას უფლება აქვს ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ფოტო და ვიდეოგადაღება აწარმოოს ერთხელ არაუმეტეს 10 წუთისა, ხოლო, თუ აღნიშნულ წარმომადგენელს აქვს სურვილი ფოტო-ვიდეოგადაღება აწარმოოს 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ ის ვალდებულია დაიკავოს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილი.

კენჭისყრის შენობაში დაუშვებელია ნებისმიერი ფორმით ისეთი ინფორმაციისა თუ მასალის ფოტო და ვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით საჯარო ინფორმაციას არ განეკუთვნება, მათ შორის, ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსია.

საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები.
საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე ტარდება შემდეგი პროცედურები:

I საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იხსნება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბნის გახსნისთანავე კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს. კომისიის მდივანი ვალდებულია კომისიის თავმჯდომარესთან ერთად აღრიცხოს კენჭისყრის დღის ყველა საარჩევნო პროცედურა და მიუთითოს მათი ჩატარების დრო.

კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის პირველ გვერდზე კომისიის მდივანს შეაქვს საარჩევნო უბნის გახსნისას კენჭისყრის შენობაში მყოფი კომისიის ყველა წევრის სახელი და გვარი (მათი ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტების მითითებით), ასევე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა სხვა პირის სახელი და გვარი (მათი წარმდგენი ორგანიზაციის ან საარჩევნო სუბიექტის მითითებით) და ხელმოწერით ამოწმებინებს მათ.

⁵⁰ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილება "ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ"

კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-2, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მე-10 და მომდევნო გვერდებზე კომისიის მდივანს შეაქვს საარჩევნო უბნის გახსნის შემდგომ კენჭისყრის შენობაში გამოცხადებული კომისიის წევრის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე სხვა პირების მონაცემები, მათი საარჩევნო უბანში შემოსვლის დროის მითითებით და ხელმოწერით ამოწმებიან მათ.



II

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს დალუქული პაკეტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია კომისიის სპეციალური ბეჭედი და ხსნის მას. ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე ხსნის რეგისტრატორის ბეჭდების დალუქულ პაკეტს (ბეჭდების ნომრებს კომისიის მდივანი უთითებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში).

III

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების გასანაწილებლად. წილისყრაში არ მონაწილეობს კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

- გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის 2 წევრი;
- ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრი;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
- საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის ჩატარებამდე უნდა შეადაროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა და გასანაწილებელი ფუნქციების რაოდენობა. 2021 წელს საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კომისიის თავმჯდომარე, პირველი რიგში, ატარებს წილისყრას ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების გამოსავლენად (ამ წილისყრაში არ მონაწილეობენ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრები). ამ მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცელზე ერთი და იმავე სანერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას – „რეგისტრატორი“;
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- წილისყრის ფურცლებს იმგვარად კეცავს, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის ნაკითხვა, და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების გამოსავლენად წილისყრა არ ტარდება:

- თუ ამ პროცესში მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობა შეესაბამება წილისყრით გამოსავლენი რეგისტრატორების რაოდენობას. კომისიის წევრებს ავტომატურად მიენიჭებათ რეგისტრატორის ფუნქცია;
- თუ ამ პროცესში მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობა ნაკლებია წილისყრით გამოსავლენი რეგისტრატორების რაოდენობაზე. კომისიის წევრებს ავტომატურად მიენიჭებათ რეგისტრატორის ფუნქცია და კომისიის თავმჯდომარე რეგისტრატორის ფუნქციის შესრულებას დამატებით ავალებს კომისიის სხვა წევრს/წევრებს.

ამ პროცედურის შემდგომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები კომისიის 2 წევრის გამოსავლენად (აუცილებლობის შემთხვევაში):

- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- 2 ფურცელზე ერთი და იმავე სანერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას – „გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლები“;
- წილისყრის ფურცლებს ამოწმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- წილისყრის ფურცლებს იმგვარად კეცავს, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის ნაკითხვა, და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.



თუ წილისყრით გამოვლენილი გადასატანი ყუთის წამლები კომისიის წევრი უარს განაცხადებს მისთვის მინიჭებული ფუნქციის შესრულებაზე, იგი კარგავს კომისიის წევრთა სხვა ფუნქციების (ნაკადის მომწესრიგებელი, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი) გასანაწილებლად ჩასატარებელ მორიგ წილისყრაში მონაწილეობის მიღების უფლებას. აღნიშნული კომისიის წევრისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრთა გამოვლენის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გასანაწილებლად. ამ მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცელზე ერთი და იმავე სანერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას – „ნაკადის მომწესრიგებელი“, „საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი“;
- წილისყრის ფურცლებს ამონმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- წილისყრის ფურცლებს იმგვარად კეცავს, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა, და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის კომისიის სხვა წევრისთვის დროებით გადაცემა შეიძლება მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.⁵¹

თუ კომისიის რომელიმე წევრი კომისიაში წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ გამოცხადდა, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წევრებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი შრომის ანაზღაურების საკითხს – საოლქო საარჩევნო კომისია.

IV

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ამომრჩეველთა სიების მიხედვით, აგრეთვე მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობებს.

V

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამონშებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს.



VI

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს გადასცემს მასალებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორ კომისიის წევრებს გადასცემს:

- ყველა სახის საარჩევნო ბიულეტენის თითო ბლოკნოტს;
- ანბანის მიხედვით დანაწილებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას; ის ერთ-ერთ ამომრჩეველთა რეგისტრატორს აგრეთვე გადასცემს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წილისყრით გამოვლენილი ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭედს (ბეჭდების ნომრები იწერება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე);
- მარკირების სითხეს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს გადასცემს მარკირების შესამონშებელ ულტრაიისფერ ფარანს.

⁵¹ ამომრჩეველთა რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით) და შედეგები აცნობოს თავმჯდომარეს. მონაცემებს შორის ტოლობის არარსებობის შემთხვევაში ამომრჩეველთა რეგისტრატორმა უნდა დაწეროს ასხნა-განმარტება, რომელიც დაერთდება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადასცემს ძირითად საარჩევნო ყუთს და სპეციალურ კონვერტებს.

VII

ივსება საკონტროლო ფურცელი.

კომისიის წევრებისთვის მასალების გადაცემის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი ავსებენ საკონტროლო ფურცლებს (გარდა პირველი ამომრჩევლის შესახებ მონაცემებისა). საკონტროლო ფურცელს ხელს აწერს საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი.

პირველი ამომრჩეველი მოსვლისას გადის რეგისტრაციას და იღებს საარჩევნო ბიულეტენებს. კომისიის მდივანს მის შესახებ მონაცემები შეაქვს საკონტროლო ფურცელში, რომელსაც ხელს აწერს ამომრჩეველი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საკონტროლო ფურცლის ერთ ეგზემპლარს აგდებს ძირითად საარჩევნო ყუთში, მეორე ეგზემპლარს – გადასატან საარჩევნო ყუთში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო მესამე ეგზემპლარს ინახავს საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შემდგომი შედარების მიზნით. საკონტროლო ფურცლის მონაცემები შეიტანება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

თავი 12. კენჭისყრის პროცესი

კენჭისყრის ჩატარება. კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღის 08:00 საათიდან 20:00 საათამდე. ხმის მიცემის პროცედურა ტარდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

I

კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელთან გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი:

– არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსულ ამომრჩეველთა ნაკადს;

- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აქვს თუ არა ამომრჩეველს მარკირება (თუ მარკირების შესამოწმებელმა სპეციალურმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა, ხოლო მისი ვინაობა მიეთითება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა ნიგნში);



- ამოწმებს, რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან; თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს კენჭისყრის ოთახში მორიგი ამომრჩევლის შესვლას;
- მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში შეტანილი მისი გვარის პირველი ასო.

II

ამომრჩეველი ამომრჩეველთა რეგისტრატორთან გადის რეგისტრაციას.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:

- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი;
- ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და ამომრჩეველთა სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობას;
- ამოწმებს წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში და ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების და ამომრჩევლის სახის ერთმანეთთან შესაბამისობას;

თუ ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შემოწმებისას დადასტურდა, რომ წარდგენილ დოკუმენტში/დოკუმენტებში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემები (გარდა ფოტოსურათისა) შეესაბამება ამომრჩეველთა სიაში არსებულ მონაცემებს, მაგრამ ამომრჩეველთა რეგისტრატორმა ამ ამომრჩევლის სახე და წარდგენილ დოკუმენტში/

დოკუმენტებში ან ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათი ერთმანეთთან შეუსაბამოდ მიიჩნია, იგი მიმართავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც ქვემოთ განსაზღვრული შესაბამისი პროცედურის შესრულების შემდეგ ამომრჩეველს მისცემს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას.

თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დაადასტურებს აღნიშნულ შეუსაბამობას, საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში საამისოდ განკუთვნილ გვერდზე აკეთებს ჩანაწერს, რომელშიც აღნიშნავს შეუსაბამობის ფაქტს, ამომრჩევლის სახელს, გვარს და ამომრჩეველთა სიაში მის რიგით ნომერს. ეს ჩანაწერი დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.


თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არ დაადასტურებს აღნიშნულ შეუსაბამობას, ამომრჩეველთა რეგისტრატორს უფლება აქვს, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში საამისოდ განკუთვნილ გვერდზე ჩანეროს თავისი განსაკუთრებული აზრი.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნს დაურთავს ამომრჩევლის მიერ წარდგენილი დოკუმენტის ფოტოასლს, რომელსაც დაამოწმებს ხელმოწერით.

- ამომრჩეველთა სიაში ამომრჩევლის შესახებ მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში ახორციელებს მის მარკირებას (მარკირების პროცედურის გავლაზე უარის თქმის შემთხვევაში ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და მას საარჩევნო ბიულეტენი/ბიულეტენები არ გადაეცემა);




- ხელს აწერს ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში, რის შემდეგაც



ამომრეველი ხელმოწერით ადასტურებს საარჩევნო ბიულეტენის/ ბიულეტენების მიღებას;

- საარჩევნო ბიულეტენის/ბიულეტენების გაცემისას ხელს აწერს მის/მათ უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და საარჩევნო ბიულეტენს/ ბიულეტენებს ამონებს ამომრეველთა რეგისტრატორის ბეჭდით.



III

ამომრეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს. საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება.

თუ ამომრეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ ამომრეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მათ ეს უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს.

კომისიის თავმჯდომარის დავალებით ამომრეველთა რეგისტრატორი ვალდებულია ამომრეველს შეუცვალოს გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი /სპეციალური კონვერტი ახლით. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრეველის თანდასწრებით ჩამოაჭრის კუთხეს, დააწერს „გაფუჭებულია“ და ხელს მოაწერს. კომისიის თავმჯდომარე გაფუჭებულ ბიულეტენს ცალკე ინახავს.

IV

ამომრეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველის მითითებით იღებს სპეციალურ კონვერტს და ათავსებს მასში საარჩევნო ბიულეტენს/ბიულეტენებს.

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი სპეციალური კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და უთითებს ამომრჩეველს, სპეციალური კონვერტი მოათავსოს საარჩევნო ყუთში.

V ამომრჩეველი სპეციალურ კონვერტს აგდებს საარჩევნო ყუთში.



საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩეველის მისვლა არ შეიძლება. დამკვირვებელს, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს, დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაშვებას.

VI სპეციალური კონვერტის საარჩევნო ყუთში ჩაშვების შემდეგ ამომრჩეველი ტოვებს საარჩევნო უბანს.

კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვისთვის პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისთვის.

საუბნო საარჩევნო კომისიას უფლება აქვს, კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში წესრიგის დამრღვევი გააძევოს იმ შენობიდან, სადაც კომისიაა განთავსებული. დამრღვევის გაძევების შემთხვევაში დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა. თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და დარღვევის აღკვეთამდე კენჭისყრის შენობაში/მის მიმდებარე ტერიტორიაზე

იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

გამონაკლის შემთხვევაში, კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაგრამ არა საკუთრივ კენჭისყრის შენობაში, პოლიციის მუშაკები შეიძლება იმყოფებოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნისა და თანხმობის გარეშე, თუ ეს სრულიად აუცილებელია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისათვის ან დაცვისათვის. ასეთი აუცილებლობის აღმოფხვრისთანავე პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიას.

კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა.⁵² საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია ამომრჩეველთა აქტივობის განსაზღვრის მიზნით, კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12:00 საათსა და 17:00 საათზე, გადაითვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა. კომისიის მდივანი ვალდებულია ამ რაოდენობის ამსახველი რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათზე და სრულდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დასრულების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდება ჭრილი. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20 საათისა.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, სურვილისამებრ, უფლება აქვთ, დააკვირდნენ გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცედურას. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემისას ავტომატურად გამოყენების შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია ავტომატურად გამოყოს ადგილი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეტავალყურისთვის.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებს გადასცემს:

⁵² რეკომენდებულია, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00, და 17:00 საათზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელის შეუწყლად, გადაითვალოს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების და მის მიერ გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობები (საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება (მასში ასახული მონაცემების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში გათვალისწინების მიზნით).

- დაღუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას;
- სპეციალურ კონვერტებს;
- ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის დასალუქი ლუქი.



გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებმა კომისიის წევრებმა კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. კომისიის თავმჯდომარემ ასეთ საარჩევნო ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დაანეროს „გაფუჭებულია“ და ხელმოწერის შემდეგ ცალკე შეინახოს.

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში შეაქვს გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები კომისიის წევრებისთვის გადაცემული ბიულეტენებისა და სპეციალურ კონვერტების რაოდენობა, ასევე გადასატანი საარჩევნო ყუთის საარჩევნო უბნიდან წაღებისა და დაბრუნების დრო, ასევე გამოუყენებელი ბიულეტენებისა და გადასატანი ყუთის სიაში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა.

თავი 13. საარჩევნო უბნის დახურვა, კენჭისყრის შედეგების შეჯამება

საარჩევნო უბნის დახურვა. კენჭისყრის პროცედურა სრულდება და კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩეველებს

შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უთითებს რიგში მდგომი ამომრჩეველების რაოდენობას. როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, კენჭისყრა დასრულებულად ცხადდება, რის შემდეგაც საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს.⁵³

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

კენჭისყრის შენობის დაკეტვის შემდეგ, კენჭისყრის შენობაში შესვლისა და კენჭისყრის შენობის დატოვების უფლება აქვთ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს.

საარჩევნო უბნის მონყოფა ხმების დათვლის პროცედურისთვის. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მიდის თითოეულ ამომრჩეველთა რეგისტრატორთან, რომლებიც კომისიის თავმჯდომარის მითითებით (კენჭისყრის დასრულებამდე ამომრჩეველთა რეგისტრატორების მიერ დაწერილ ახსნა-განმარტებებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით) ითვლიან:

- გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას;
- ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას ყველა სახის სიაში.

თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, ამომრჩეველთა რეგისტრატორმა უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება (მიზეზის მითითებით), მასში ასახული მონაცემების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში გათვალისწინების მიზნით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავიანთი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არაუმეტეს ორ

⁵³ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა. კენჭისყრის დასრულების შემდეგ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს, ამომრჩეველთა სიას, გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს (ბიულეტენებს დალუქვამდე ჩამოჭრება კუთხე).

მეთვალყურეს. თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდებიან, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს კომისიის თავმჯდომარე.

მთვლელების გამოსავლენად წილისყრა შემდეგი წესის დაცვით მიმდინარეობს. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- წილისყრის მონაწილე კომისიის წევრთა რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის ფურცლებს;
- ფურცლებზე ერთი და იმავე სანერი საშუალებით წერს ფუნქციის დასახელებას – „პირველი მთვლელი“, „მეორე მთვლელი“, „მესამე მთვლელი“;
- წილისყრის ფურცლებს ამონმებს კომისიის სპეციალური ბეჭდით;
- წილისყრის ფურცლებს იმგვარად კეცავს, რომ შეუძლებელი იყოს ტექსტის წაკითხვა, და ათავსებს მაგიდაზე.

წილისყრის მონაწილე კომისიის წევრები სათითაოდ იღებენ წილისყრის ფურცლებს. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს წილისყრის შედეგები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბანზე მყოფი საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისაგან წილისყრით გამოავლენს არაუმეტეს 2 წარმომადგენელს, რომლებიც კომისიის წევრთაგან წილისყრით გამოვლენილ მთვლელებთან ერთად მონაწილეობენ ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში (წილისყრაში არ მონაწილეობენ იმ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომელთა მიერ დანიშნული კომისიის წევრებიც არიან წილისყრით გამოვლენილი მთვლელები).



არჩევნების მეორე ტურის გამართვის შემთხვევაში, მთვლელებთან ერთად ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში მონაწილეობის მიღების მიზნით, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა შორის წილისყრა არ იმართება და არჩევნების მეორე ტურში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს ავტომატურად ენიჭებათ აღნიშნულ

პროცედურაში მონაწილეობის უფლება. აღნიშნულის გათვალისწინებით, მთვლელების გამოვლენის მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიაში გამართულ წილისყრაში არ მონაწილეობს იმ პოლიტიკური პარტიის მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი, რომლის წარმომადგენელსაც ავტომატურად მიენიჭა მთვლელებთან ერთად ნამდვილი ან/და ბათილი საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში მონაწილეობის უფლება.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დათვლის პროცედურისთვის ამზადებენ საარჩევნო უბანს:

- მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს;
- კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა;
- კომისიის მდივანი ადგილს იკავებს კომისიის თავმჯდომარის გვერდით და ავსებს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენი პირები ადგილს იკავებენ მაგიდისგან (მთვლელებისგან) ორი მეტრის დაშორებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია, გადასატანი საარჩევნო ყუთის სია;
- გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი.

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები. მთვლელები თანამიმდევრულად ითვლიან კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას:

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის მიხედვით;
- ამომრჩეველთა სპეციალური სიის მიხედვით;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის მიხედვით.




საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს შედეგები დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების სადემონსტრაციო ოქმში/ოქმებში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს ჩამოაჭრის კუთხეს; გამოუყენებელ და გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს ცალ-ცალკე პაკეტებად კრავს.

ამომრჩეველთა სიების, გაფუჭებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ცალ-ცალკე ლუქავს:

- ამომრჩეველთა ერთიან სიას;
- ამომრჩეველთა სპეციალურ სიას;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას.
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს;
- გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს.

მთვლელები თითოეულ პაკეტს აწერენ საარჩევნო უბნის დასახელებას და ნომერს, აგრეთვე საარჩევნო დოკუმენტაციის სახეს. პაკეტს ხელს აწერენ მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.



აღნიშნული პროცედურების დასრულებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აღრიცხავს იმ შემთხვევების რაოდენობას, რომლებიც ეხება ამომრჩევლის სახისა და წარდგენილ დოკუმენტში /დოკუმენტებში/ამომრჩეველთა სიაში არსებული ფოტოსურათების ერთმანეთთან შეუსაბამობას, აგრეთვე კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნისთვის დართული დოკუმენტების რაოდენობას (მონაცემები შეაქვს ჩანაწერთა წიგნში).

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი აღნიშნულ დოკუმენტებს ლუქავს შემდეგი წესის დაცვით: დალუქულ პაკეტზე უთითებს საარჩევნო უბნის დასახელებას, ნომერს, დოკუმენტების სახეს და აწერს ხელს.

გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნა. საუბნო საარჩევნო კომისია თავდაპირველად ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს⁵⁴. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთის ლუქის

⁵⁴ საარჩევნო კოდექსის 203² მუხლისა და ცესკოს 2021 წლის N55/2021 დადგენილების შესაბამისად, 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, კენჭისყრის დღეს იმ საარჩევნო უბნებში სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატებოდა 300 ამომრჩეველს (გარდა გამოწვევის შემთხვევებისა) განხორციელდა ხმის დათვლის პროცესის აუდიო-ვიდეოფიქსაცია. საარჩევნო ყუთების გახსნიდან საარჩევნო ბიულეტენების დალუქვის პროცესის ჩათვლით პერიოდში.

მთლიანობას. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა.

წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

მთვლელები გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს ათავსებენ მაგიდაზე, რის შემდეგაც:

- ამონებენ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას;
- გადასატან საარჩევნო ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს.



თუ დარღვევა არ გამოვლინდა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს, დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან ყუთში.

თუ გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკრება პაკეტად და დაენერება „ბათილია“. დოკუმენტაცია საარჩევნო უბანში კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამონებს საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას. თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია კანონის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში საარჩევნო ყუთი ილუქება და საუბნო საარჩევნო კომისიის

განკარგულებასთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

მთვლელები:

- ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ სპეციალურ კონვერტებს და საარჩევნო ბიულეტენებს ათავსებენ მაგიდაზე;
- ამონმებენ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და ძირითად საარჩევნო ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს უდარებენ კომისიაში შედარების მიზნით შენახულ საკონტროლო ფურცელს.

თუ ძირითად საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან საკონტროლო ფურცლებს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება და დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთის გახსნა. გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იხსნება მას შემდეგ, რაც გაიხსნება ძირითადი საარჩევნო უბნის გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთები. თუ საარჩევნო ყუთის/ყუთების გახსნისას ხარვეზი არ გამოვლინდება, მთვლელები ერთმანეთში ურევნენ ძირითადი, გადასატანი და გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას.

ხმის დათვლის პროცედურა. მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს. მათ გვერდით დგებიან დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე და წილისყრით გამოვლენილი საარჩევნო სუბიექტების ორი წარმომადგენელი.

პირველი მთვლელი⁵⁵:

- სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენს;
- აცხადებს, ვისთვისაა მიცემული ხმა;
- საარჩევნო ბიულეტენებს სახეობების/საარჩევნო სუბიექტების მიხედვით გადასცემს მთვლელებს;
- სპეციალურ კონვერტს დებს ცალკე.

მთვლელები ცალ-ცალკე აწყობენ:

⁵⁵ 2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებისთვის, ცესკოს 2021 წლის 55/2021 დადგენილების შესაბამისად, საარჩევნო უბანში, სადაც ხორციელდებოდა ხმის დათვლის პროცესის ფიქსაცია, პირველი მთვლელი უზრუნველყოფდა ვიდეოგადამცემი მოწყობილობის მიერ საარჩევნო ბიულეტენის წინა გვერდის ფიქსაციას.

- თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმების შესაბამის საარჩევნო ბიულეტენებს;
- ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს;
- საეჭვოდ მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებს.



დადგენილი ნიმუშის საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა, თუ:

- სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
- სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი ერთი და იმავე სახეობის საარჩევნო ბიულეტენი (ასეთი ბიულეტენებს უკანა მხარეს ეწერება ბათილად ცნობის შესაბამისი საფუძველი - „მეტი ბიულეტენი“);
- საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე (ასეთი ბიულეტენის უკანა მხარეს ეწერება ბათილად ცნობის შესაბამისი საფუძველი - „კონვერტის გარეშე“);
- საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის ამომრჩეველთა რეგისტრატორის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა;
- საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის (ასეთი ბიულეტენები ცალკე პაკეტად იკვრება. მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. ეს მონაცემები კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში არ შეიტანება).

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისია განიხილავს და კენჭისყრით წყვეტს საეჭვოდ მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს.



ნამდვილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი საარჩევნო ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს – ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში.

საარჩევნო ბიულეტენების დათვლა. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს, დაითვალონ:

- ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენები;
- თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმები.

საარჩევნო სუბიექტისთვის კუთვნილი ყოველი 10 საარჩევნო ბიულეტენი იკვრება ლითონის შემკერით და ყოველ შემკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ეწერება შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას. კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად, მონაცემების სისწორეს.


საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა. საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს, ცალ-ცალკე პაკეტებად დალუქონ:

- ბათილი საარჩევნო ბიულეტენები (მათ ეწერება „ბათილია“);
- საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების დასტა.

პაკეტებს უნდა დაწეროს საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები და დასახელება, საარჩევნო ბიულეტენების სახე (ნამდვილი ან ბათილი ბიულეტენები) და რაოდენობა. თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი საარჩევნო ბიულეტენების პაკეტზე ასევე უნდა მიეთითოს სუბიექტის მონაცემები

(დასახელება, სახელი და გვარი). დალუქულ პაკეტებს ხელს აწერენ მოვლელები და კომისიის თავმჯდომარე.

თითოეულ პაკეტს მოვლელები აწერენ საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრებს, საარჩევნო ბიულეტენების სახეობასა და რაოდენობას. პაკეტს დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მოვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.



კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვის შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს/ოქმებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ბეჭდური ფორმით ასახულია შემდეგი ინფორმაცია:

- არჩევნების დასახელება და კენჭისყრის თარიღი;
- საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება;
- საარჩევნო უბნის ნომერი;
- გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბნის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მიმაგრებულია ძირითად საარჩევნო უბანზე;
- N1 გრაფაში - ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- N2 გრაფაში - მიღებულ საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- საარჩევნო სუბიექტების დასახელება (რიგითი ნომრების მითითებით);
- ოქმის შედგენის წელი და თვე.

ხმის დათვლის პროცესის დასრულების შემდეგ, კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს კენჭისყრის შედეგების შესაბამის შემაჯამებელ ოქმს და შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- N3 გრაფაში - სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- N4 გრაფაში - არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ყველა სახის (ერთიანი, /სპეციალური/გადასატანი საარჩევნო ყუთის სია) ამომრჩეველთა სიებში 12 საათსა და 17 საათზე;

- N5 გრაფაში - არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ხელმოწერების ჯამი ყველა სახის სიაში, ამომრჩეველთა რეგისტრატორების ახსნა-განმარტებებში ასახული მონაცემების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში));
- N6 გრაფაში - ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა.

იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი მონაცემების გრაფაში დარჩება ცარიელი უკრა/უკრები, კომისიის მდივანმა ცარიელ უკრაში/უკრებში შეიტანო სიმბოლო „X“.

4 არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ხელმოწერების ჯამი ყველა სახის სიაში)				
	X	1	4	8
ერთეული				
ათეული				
ასეული				
ათასეული				

- რეგისტრატორების ბეჭდებისა და კომისიის ბეჭდის ნომრები.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რითაც დასტურდება მათი ყოფნა საარჩევნო უბანში. თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი (კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში სპეციალურად განკუთვნილ გრაფაში აღინიშნება მონაცემი, რომელსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი, რასაც ადასტურებს ხელმოწერით). განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს კომისიის წევრის ხელმოწერისათვის განკუთვნილ სათანადო გრაფაში. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში ასევე უნდა აღინიშნოს მისი შედგენის თარიღი და დრო (საათი და წუთი). კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი მოწმდება საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალური ბეჭდით. კომისიის მდივანი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმს რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში.

აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. თუ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის N3, N4, N5, N6 გრაფებში, ასევე კანდიდატებისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობის გრაფებში მონაცემების შეტანისას შეცდომა იქნა დაშვებული, შეცდომის გამოსასწორებლად

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი „შესწორებულია“ და დგება შესწორების ოქმი.



კომისიის მდივანი შესწორების ოქმს ადგენს კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რომელშიც შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება;
- საარჩევნო უბნის ნომერი;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესაბამისი გრაფის ნომერი, რომელშიც შედის შესწორება; რიცხვი რომელიც უნდა გასწორდეს ამ გრაფაში და ის რიცხვი, რომელიც უნდა ეწეროს მის ნაცვლად;
- კანდიდატის სახელი და გვარი, რომლის გასწვრივ მონაცემებში შედის შესწორება; რიცხვი რომელიც უნდა გასწორდეს ამ გრაფაში და ის რიცხვი, რომელიც უნდა ეწეროს მის ნაცვლად.

საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს შესწორების ოქმს. შესწორების ოქმს დაესმება საარჩევნო კომისიის ბეჭედი. კომისიის მდივანი შესწორების ოქმს რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. შესწორების ოქმი დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს. შესწორების ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

აკრძალულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შესწორების ოქმის შედგენა საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდის დალუქვისა და მასზე კომისიის ყველა წევრის მიერ ხელის მოწერის შემდეგ.


თუ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა რეგისტრატორების ბეჭდების ნომრების, კომისიის ბეჭდის ნომრის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის თარიღის/დროის შეტანისას, ან არ მოხდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმება კომისიის სპეციალური ბეჭდით და ასეთი ფორმით გაიცა მისი ფოტოასლი, კომისიის მდივანმა უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ასლები გამოაკრას საჯარო გაცნობისათვის.

საუბნო საარჩევნო კომისია ოქმის ფოტოასლს (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აბრებით), მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადასცემს პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს ან პარტიის მიერ დანიშნულ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ფოტოასლი უნდა დამოწმდეს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა). ოქმის ფოტოასლის მიღებას ზემოაღნიშნული პირები ჩანაწერთა წიგნში ხელმოწერებით ადასტურებენ. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმებული ფოტოასლის გაუცემლობა გამოიწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის დღის მეორე დღიდან საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლების გაცემას უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისია. საოლქო საარჩევნო კომისია ასევე უფლებამოსილია, მოთხოვნიდან 2 დღის ვადაში გასცეს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან/შესწორების ოქმთან დაკავშირებული კომისიის წევრთა ახსნა-განმარტებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფოტოასლები.

ყველა პროცედურის დასრულების შემდეგ იხურება საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი. კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი და იგი მოწმდება კომისიის სპეციალური ბეჭდით.



საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს:

- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს განცხადებებთან/საჩივრებთან ერთად;
- საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალურ ბეჭედს (ბეჭდის დალუქულ პაკეტს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი).

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები და სარეგისტრაციო ჟურნალი არ ილუქება.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირები საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემენ საარჩევნო ინვენტარს და საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირები საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემენ საარჩევნო ინვენტარს და საარჩევნო დოკუმენტაციის ყუთს/ტომარას, რომელშიც მოთავსებულია დალუქული საარჩევნო დოკუმენტაცია. ამასთან დაკავშირებით დგება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ საარჩევნო დოკუმენტაციის გამცემი და მიმღები პირები, რის შემდეგაც თითოეულს გადაეცემა აქტის თითო ეგზემპლარი.

თავი 14. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა

საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმება/ხელახლა დათვლა. საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა, ვალდებულია საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე არსებული საარჩევნო უბნებიდან შემთხვევითი შერჩევით კომისიის სხდომაზე გამოავლინოს 5 საარჩევნო უბანი, გახსნას ამ საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიებისგან მიღებული პაკეტები და ხელახლა დათვალოს საარჩევნო ბიულეტენები. საარჩევნო უბნების გამოვლენის მიზნით შესაბამისი პროცედურები ტარდება საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში, საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.

კენჭისყრის შედეგები შეიძლება ხელახლა დათვლილი იქნეს საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შერჩეულ სხვა შენობაში.

საოლქო საარჩევნო კომისიამ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის შესახებ უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ საარჩევნო ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და, მათი სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება შესაბამისი საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე. კენჭისყრის

შედეგების ხელახლა დათვლის პროცესზე დასწრების უფლება აქვთ შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიების ყველა წევრს. ამასთან, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის პროცესს.

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია უზრუნველყოს ხმის დათვლის პროცესის აუდიო-ვიდეოფიქსაცია. ვიდეოგადამღები მოწყობილობა უნდა განთავსდეს იმდამგვარად, რომ სრულად ჩანდეს ხმის დათვლის პროცესი და საარჩევნო ბიულეტენების განთავსების ადგილი.

ხელახლა დათვლის შედეგად მიღებული შედეგები საოლქო კომისიის მდივანს შეაქვს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში. კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის შემდეგ შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია ილუქება შესაბამისი მთვლელების მიერ. კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის მონაცემები მტკიცდება საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.⁵⁶

საოლქო საარჩევნო კომისია ასევე ვალდებულია გახსნას შესაბამისი საარჩევნო დოკუმენტაცია და ხელახლა დათვალოს კენჭისყრის შედეგები იმ შემთხვევაში, როდესაც საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ისე, რომ მას არ ახლავს შესწორების ოქმი, გადასწორებულია საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ან/და ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენტა რაოდენობა. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით პირველად ითვლება ის მონაცემები, რომელიც მონაცემიც გადასწორებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შემდგომ სხვა მონაცემებიც.

სარჩევნო კომისია განცხადების/საჩივრის საფუძველზე (თუ განცხადება/საჩივარი შეტანილია საოლქო საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში), აგრეთვე საკუთარი ინიციატივით უფლებამოსილია გადაამოწმოს საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის სისწორე.

საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შედგენილ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში მონაცემების შესწორება დასაშვებია საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიისგან მიღებული დალუქული პაკეტების გახსნის, კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ

⁵⁶ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 26 ივლისის №40/2021 დადგენილება.

გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილებას საოლქო საარჩევნო კომისია იღებს სხდომაზე დამსწრეთა არანაკლებ 2/3-ით.

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა აჯამებს რეფერენდუმის, საქართველოს პარლამენტის არჩევნების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და მერის არჩევნების შედეგებს, ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და მერის არჩევნების შედეგებს და საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების თითოეული სახის შემაჯამებელ ოქმს, რომლებსაც არაუგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს ცესკოს.

საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომლიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი მოწმდება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით. თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება, და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი. განსხვავებული აზრის გამოთქმის შემთხვევაშიც საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს კომისიის წევრის ხელმოწერისათვის განკუთვნილ სათანადო გრაფაში.

საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი იურიდიული ძალის მქონეა, თუ მას ხელი მოაწერა საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა უმრავლესობამ.

საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი (საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაეცემა პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებსა და დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს. ოქმის ფოტოასლი უნდა დამოწმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა). ოქმის ფოტოასლის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამოწმებული ფოტოასლის გაუცემლობა გამოიწვევს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის და

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩევნების შედეგების შეჯამება/დადგენა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-25 დღისა თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების, ქალაქ თბილისის მერისა და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნების შედეგებს, რის თაობაზედაც ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ ცესკოს თავმჯდომარე და ცესკოს მდივანი. ოქმი ცესკოში ინახება, ხოლო ოქმის დამოწმებული ფოტოასლები საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ორგანოებსა და ყველა დაინტერესებულ პირს გადაეცემა.

ცესკო საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შემოსვლის პარალელურად უზრუნველყოფს ამ ოქმების მონაცემთა ცესკოს ვებგვერდზე განთავსებას. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე.

აკრძალულია ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შეჯამება საერთო სასამართლოებში არსებული შესაბამისი საარჩევნო დავების დასრულებამდე და ამ სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სრულად გათვალისწინების გარეშე. განცხადების/საჩივრის ან/და ცესკოს წევრის განსხვავებული აზრის არსებობის შემთხვევაში ცესკოს შეუძლია არჩევნების შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე შეაჯამოს. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს და გადასცემს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას 2 დღის ვადაში აქვეყნებს.

თავი 15. საარჩევნო დავები

საარჩევნო დავა არის არჩევნებში ჩართული მხარის მიერ უფლების მოპოვების ან დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით ინიცირებული საჩივარი. უდიდესი ძალისხმევით მიუხედავად, დავა შეიძლება საარჩევნო პროცესის ნებისმიერ ეტაპზე წარმოიშვას, რამდენადაც იგი საარჩევნო პროცესის ბუნებრივი ნაწილია⁵⁷.

⁵⁷ მოცემული თავის შესავალ ნაწილში გამოყენებულია "BRIDGE" - ის (Building Resources in Democracy, Governance and Elections - დემოკრატიის, მმართველობის და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარება) სასწავლო რესურსები (Copyright BRIDGE Project 2007 და Electoral Dispute Resolution)

საარჩევნო დავების თავიდან ასაცილებლად და გადასატრელად არსებობს რამდენიმე ეფექტიანი მექანიზმი:

- დავების პრევენცია;
- დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი;
- დავების გადაჭრის ფორმალური მექანიზმი.

პრევენცია ნიშნავს წინასწარი ზომების მიღებას რაიმე არასასურველი მოვლენის თავიდან ასაცილებლად⁵⁸. საარჩევნო დავების პრევენციის - საარჩევნო დავის წარმოშობის რისკის შესამცირებლად მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს:

- დავის წარმოშობის შესაძლო მიზეზები (დავა შეიძლება წარმოიშვას ხარვეზის ქონე საარჩევნო კანონმდებლობის, ადამიანური შეცდომის ან საარჩევნო პროცედურის განზრახ დარღვევის გამო);
- დავის წარმოშობის შესაძლო პერიოდი (დავა შესაძლებელია წარმოიშვას წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების პერიოდში ან არჩევნების შემდგომ პერიოდში);
- დავაში ჩართული შესაძლო მხარეები (დავაში ჩართულ მხარეებად ძირითადად პოლიტიკური პარტიები, კანდიდატები და დამკვირვებელი ორგანიზაციები გვევლინებიან).⁵⁹

საარჩევნო დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმი გულისხმობს დავის მოგვარებას სასამართლოს გარეშე, არაფორმალური მეთოდების გამოყენებით. მაგალითად, დავა მოგვარებულად მიიჩნევა, თუ მოდავე მხარე შეწყვეტს დავას ან დაეთანხმება დავას (დავის მოგვარებისთვის საკმარისია მოდავე მხარის მიერ გამოხატული ცალმხრივი ნება). დავა მოგვარებულად მიიჩნევა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მხარეები კომპრომისს მიაღწევენ (დავის მოგვარებისთვის აუცილებელია მოდავე მხარეების მიერ გამოხატული ორმხრივი ნება). დავის გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის საუკეთესო მაგალითია მოდავე მხარეების მიერ საკითხის გადასაწყვეტად პროცესში მესამე მხარის ჩართვა, ამ შემთხვევაში მხარეები არბიტრს ან მედიატორს მიმართავენ (შუამდგომლობა, მედიაცია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მოდავე მხარეებს საკითხის ისე გადაწყვეტაში, რომელიც ორივე მხარისთვის მისაღები იქნება).

დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის არსებობის მიზანი არ არის მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმების ჩანაცვლება. დავის გადაჭრის ალტერნატიულ მექანიზმს მოდავე მხარეები მაშინ მიმართავენ, როდესაც

⁵⁸ ცესკოს მიერ დამტკიცებულ იქნა „არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმა“. დოკუმენტის მიხედვით, ცესკო იღებს ვალდებულებას მისი პასუხისმგებლობის და კომპეტენციის ფარგლებში არსებული საკითხების გათვალისწინებით, მართოს ქვეყანაში დემოკრატიული არჩევნების სანდოობა იმ მიდგომების და მეთოდების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმაში. აღნიშნული დოკუმენტი ისეთ ძირითად პრიორიტეტებს მოიცავს, როგორიცაა საარჩევნო დავები, ხმების დათვლა, არჩევნების უსაფრთხოება და ა.შ.

⁵⁹ საარჩევნო დავებში ჩართული მხარეების მიერ განზრახ გამოწვეული საარჩევნო დარღვევების პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმია ქვეყნის კოდექსის შემოღება.

სანდოობის დეფიციტია ან სადავო სიტუაცია დროულ რეაგირებას საჭიროებს. მოდავე მხარეებს დავების გადაჭრის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების შემთხვევაშიც კი აქვთ საშუალება, საჭიროებიდან გამომდინარე, მათი გადაჭრის ფორმალური მექანიზმები გამოიყენონ.

საარჩევნო დავის გადაჭრის ფორმალური მექანიზმი გულისხმობს დავის საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლო და საერთაშორისო ორგანოების მეშვეობით გადაჭრას.

საარჩევნო დავების გადასაჭრელად ქვეყნები სხვადასხვა საკანონმდებლო და პოლიტიკური ტრადიციებით გაჯერებულ მრავალფეროვან მიდგომებსა და მექანიზმებს მიმართავენ. არსებობს საარჩევნო დავების მოგვარების რამდენიმე ყველაზე გავრცელებული მოდელი. ეს მოდელებია:

- საარჩევნო ადმინისტრაცია;
- საარჩევნო დავების განმხილველი კომისია;
- საარჩევნო ადმინისტრაცია სასამართლოს უფლებამოსილებით – საარჩევნო ტრიბუნალი.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, თუ მოსარჩელეს არ აქვს გამოყენებული საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა (მხოლოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში ერთჯერადი გასაჩივრების შემდეგ არის შესაძლებელი პირმა მიმართოს სასამართლოს). ამასთანავე, საარჩევნო კოდექსი განსაზღვრავს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება პირდაპირ რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საჩივრდება, მაგალითად: ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებში/ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმა, დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმა.

საარჩევნო დავების მოგვარების ასეთ ორსაფეხურიან მექანიზმს თავისი დადებითი მხარე აქვს – ის, ერთი მხრივ, ხელს უწყობს სასამართლოების განტვირთვას, მეორე მხრივ, საარჩევნო ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას გადახედოს საკითხს და, საჭიროების შემთხვევაში, ხარვეზები სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც გამოასწოროს.


საარჩევნო ადმინისტრაცია საარჩევნო დავების განხილვისას ხელმძღვანელობს საარჩევნო კოდექსით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის N8/2012 დადგენილებით დამტკიცებული საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/ საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქციით

(შემდგომში - ინსტრუქცია), შესაბამისი საარჩევნო კომისიის რეგლამენტი და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.

ამასთან, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №94/2021 განკარგულებით დადგენილია ცესკოში და საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის ელექტრონული ფორმით შეტანის წესი.

სარჩევნო კომისიაში საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძვლად შეიძლება დაედოს განცხადება/ საჩივარი ან საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით საკითხის შესწავლის შესახებ (იხ. ქვემოთ მოცემული სქემა).

სქემა N1



ვიდრე საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ზოგად წესებსა და ვადებს შევეხებით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ საარჩევნო ადმინისტრაციაში კენჭისყრის დღის პროცედურებთან დაკავშირებული განცხადებების/საჩივრების შეტანისა და განხილვის სპეციფიკა.

კენჭისყრის დღის განცხადები/საჩივრები პირობითად ორ კატეგორიად იყოფა:

- განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურების დარღვევის შესახებ, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან ყუთის გახსნამდე;
- ხმის დათვლასთან და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე.

კენჭისყრის განცხადებების/საჩივრების წარდგენაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი, ან არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელი.

კენჭისყრის დღის განცხადების/საჩივრის წარდგენა და რეგისტრაცია. საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივარი შეტანილად ითვლება კომისიაში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადებას/ საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს კომისიის მდივანი, შემდეგი წესის დაცვით:

- სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განმცხადებლის ვინაობას;
- განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები ხელს აწერენ ჩანაწერის გასწვრივ;
- განცხადების/საჩივრის მიღების დადასტურების მიზნით, განმცხადებელს გადასცემს წერილობით ცნობას საკუთარი ხელმოწერით. კომისიის მდივანი განცხადების/საჩივრის რეგისტრაციისას ვალდებულია დარწმუნდეს, რომ განცხადება/საჩივარი შეიცავს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ ყველა საჭირო რეკვიზიტს.

თუ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირმა დააფიქსირა (აღმოაჩინა) დარღვევა საჩივრის რეგისტრაციისას, ამ საჩივრის რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი, თუ განცხადება/საჩივარი არ შეიცავს:

- განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღსა და დროს;
- განმცხადებლის/მომჩივნის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს;
- საარჩევნო უბნის ნომერს;
- მოწმის არსებობის შემთხვევაში – მის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს.

ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია განცხადების/საჩივრის წარმდგენს განუსაზღვროს ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, რომ წარმდგენმა სუბიექტმა შეძლოს მითითებული ხარვეზის გამოსწორება. ხარვეზის შევსების გონივრული ვადა დგინდება საარჩევნო კომისიის მდივნისა და განცხადება/საჩივრის წარმდგენი პირის შეთანხმების საფუძველზე. ხარვეზის შევსების ვადის თაობაზე მხარეთა შეთანხმებლობის შემთხვევაში, ვადას ერთპიროვნულად ადგენს საარჩევნო კომისიის მდივანი. სარეგისტრაციო ჟურნალში ხარვეზის ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერენ განცხადების/საჩივრის წარმდგენი და საარჩევნო კომისიის მდივანი.

განცხადების/საჩივრის წარმდგენს დადგენილ ვადაში უფლება აქვს გამოასწოროს ხარვეზი ანალოგიური განცხადების/საჩივრის წარდგენის გზით,

რომელშიც აღმოფხვრილი იქნება ხარვეზის დადგენის საფუძვლები ან/და წარადგინოს განცხადება, სადაც მიეთითება ის მონაცემები, რომელთა გამოც დაუდგინდა ხარვეზი. ხარვეზის შევსების შემთხვევაში, საარჩევნო კომისიის მდივანი, სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული განცხადების/საჩივრის გასწვრივ აკეთებს ჩანაწერს „შევსებულია“, ხარვეზის შევსების ზუსტი დროისა და თარიღის მითითებით. ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერს განცხადება/საჩივრის წარმდგენი და საარჩევნო კომისიის მდივანი. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობა განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია. აღსანიშნავია, რომ ხარვეზის დადგენა არ ხდება საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრებასთან დაკავშირებულ განცხადებაზე/საჩივარზე, ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება/საჩივარი შეიცავს განუხილველად დატოვების ქვემოთ მოცემულ საფუძვლებს:

- დარღვეულია მისი შეტანის წესი და ვადა;
- განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიას გადაეცა კანონით მოთხოვნილი ვადების დარღვევით;
- განცხადებაში/საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო.

განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოები, კერძოდ, თუ:

- არსებობს საარჩევნო კომისიის ან ზემდგომი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;
- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
- ზემდგომ საარჩევნო კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე განცხადება/საჩივართან დაკავშირებით.

განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვება. განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძვლების არსებობის შემთხვევაში საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

რეაგირება განცხადებებზე/საჩივრებზე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/კომისია ვალდებულია კენჭისყრის დღის განცხადებაზე/საჩივარზე დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება და აღმოფხვრას არსებული დარღვევა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ან მდივანი ვალდებულია

სარეგისტრაციო ჟურნალში და ჩანაწერთა წიგნში მოცემული საჩივრის გასწვრივ მიუთითოს, თუ როგორ აღმოფხვრა/მოგვარდა/გადაწყდა აღნიშნული პრობლემა, ასევე, თუ რა შემთხვევაში ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ან რა შემთხვევაში არ იქნა განხილული განცხადება/საჩივარი. დარღვევის აღმოფხვრის შემთხვევაში ჩანაწერთა წიგნში კეთდება სათანადო ჩანაწერი „დარღვევა აღმოფხვრილია“ და მიეთითება ზუსტი დრო.

იმ შემთხვევაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ/კომისიამ არ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა მოახდინოს რეაგირება განცხადებაზე/საჩივარზე, დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელს/ საარჩევნო სუბიექტის სხვა წარმომადგენელს უფლება აქვს საარჩევნო უბნის გახსნიდან (07:00 საათიდან) საარჩევნო ყუთის გახსნამდე გამოვლენილი დარღვევები დაუყოვნებლივ გაასაჩივროს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში (საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად).

იმ შემთხვევაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ/კომისიამ არ აღმოფხვრა დარღვევა ან სხვაგვარი ფორმით უარი განაცხადა მოახდინოს რეაგირება განცხადებაზე/ საჩივარზე, რომელიც ეხება ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევებს, დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ან იმავე სადამკვირვებლო ორგანიზაციის სხვა დამკვირვებელს/საარჩევნო სუბიექტის სხვა წარმომადგენელს უფლება აქვს საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედება 2 დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

საოლქო საარჩევნო კომისია განცხადებას/საჩივარს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან 4 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების/საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საკუთარი ინიციატივით მოპოვებული მასალების სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში. მხარეს უფლება აქვს, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში. ამასთან, მხარეს, რომელიც ესწრება საარჩევნო კომისიის სხდომას, სხდომის დაწყების წინ, მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გადაეცეს მისი საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული მოკვლევის მასალების ფოტოასალები. საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის

გადადების საფუძველს. განცხადების/საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს განცხადება/საჩივარზე (უკან გაითხოვოს განცხადება/საჩივარი). უარი განცხადება/საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით, საოლქო საარჩევნო კომისია წერილობით უარს დაურთავს განცხადებას/საჩივარს. ზეპირი მოსმენის დროს განმცხადებელი/მომჩივანი უფლებამოსილია განცხადება/საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც, რაც აისახება საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმში. განცხადების/საჩივრის უკან გამოთხოვის (უარი განცხადება/საჩივარზე) შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისია არ გამოსცემს განკარგულებას განცხადების/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

განცხადებები/საჩივრები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე (გარდა კენჭისყრის დღისა), გასაჩივრების წესი და ვადები. საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს 4 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების გამო საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცესკოში გასაჩივრების შემთხვევაში განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება.

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები საარჩევნო კოდექსის⁶⁰ 78-ე მუხლით განსაზღვრული პირების მიერ, მათი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში⁶⁰, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს

⁶⁰ საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შემდეგ გამოწვევებით: ა) საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამოწმრეველთა მონაცემებში/სივრცეში ცვლილებების შეტანაზე უარის თქმის შესახებ; ბ) საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ცესკოს/ცესკოს ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება (მათ შორის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენა) საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული პირების მიერ, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლო საჩივარს იხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საარჩევნო პერიოდში/სარეფერენდუმო პერიოდში ცესკოს ან/და მისი სატენდერო კომისიების გადაწყვეტილებები მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, რომელიც საჩივარს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. ცესკოს ან/და მისი სატენდერო კომისიების ქმედებებთან/ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მიღებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებები მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს იხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს 2 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელიც სარჩელს იხილავს მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში საჩივრის განხილვის წესი და პირობები. საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირთა მიერ საარჩევნო კომისიაში შეტანილი განცხადება/საჩივარი განუხილველი რჩება. ამასთან, საარჩევნო კომისიაში არ ხდება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გამო (გარდა კენჭისყრის დღის განცხადების/საჩივრისა) წარდგენილი განცხადებისთვის/საჩივრისთვის ხარვეზის დადგენა. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას განცხადება/საჩივარი ხარვეზის დაუდგენლად რჩება განუხილველი.

საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

განცხადების/საჩივრის განხილვაზე მხარეების დაბარება. საარჩევნო კომისია (ცესკო, უსკო, საოლქო საარჩევნო კომისია) ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არაუგვიანეს 3 საათისა. თუ საჩივრის ავტორია:

- საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას;
- საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ სუბიექტის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს;
- საარჩევნო კომისიის წევრი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ პირადად მას ეცნობება.

საჩივრის განხილვისათვის მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ისე ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.

მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარება დასტურდება:

- მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დაკავშირებით;
- ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით.

მხარე დაბარებულად ჩაითვლება, თუ შეუძლებელია მასთან საჩივარში მითითებული ტექნიკური საშუალებებით დაკავშირება (მობილური ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის გამო და სხვ.). მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აქტს ადგენს ცესკოს შესაბამისი დეპარტამენტის თანამშრომელი და მას ხელს აწერენ აქტის შემდგენი პირი და სამსახურის უფროსი. საოლქო საარჩევნო კომისიაში აქტს, კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი და მას ხელს აწერენ აქტის შემდგენი და კომისიის თავმჯდომარე.

მხარეს უფლება აქვს საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობა ანარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით ან ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით. წარმომადგენელი ვალდებულია საარჩევნო კომისიაში წარადგინოს კანონით

დადგენილი წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი:

- მოქალაქეების წარმომადგენლობა დასტურდება მათ მიერ გაცემული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტით;
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლობა დასტურდება წარმომადგენლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით;
- პარტიის, დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება მისი ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემული მინდობილობით;
- ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება მარწმუნებლის მიერ დადგენილი წესით მასზე გაცემული დოკუმენტით (მინდობილობა).

თუ წარმომადგენელი არ წარადგენს შესაბამისი წესით დამოწმებულ წარმომადგენლობის დამადასტურებელ საბუთს, მას არ მიეცემა განცხადების/საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება და გადაწყვეტილება მიიღება მისი პოზიციის გაუთვალისწინებლად.

მხარეს, რომელიც მონაწილეობს საჩივრის განხილვაში, მისი მოთხოვნის შემთხვევაში საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილება (გარდა კომისიის სხდომის ოქმისა) უნდა ჩაბარდეს ამ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღის 12 საათამდე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენის ვადების გათვალისწინებით. საჩივრის განხილვის დროს მხარის საარჩევნო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი დოკუმენტის მისთვის ჩაბარების თარიღი არ არის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის ვადის ათვლის საფუძველი. საარჩევნო კომისია ვალდებულია მიღებულ გადაწყვეტილებაში მხარეს მიუთითოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და ადგილი (დანესებულების დასახელება და მისამართი), სადაც შეიძლება მისი გასაჩივრება.

სასამართლოში სარჩელის განხილვის წესი და პირობები. სასამართლოში სარჩელი/საჩივარი შეტანილად ითვლება სასამართლოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას. სასამართლოში სარჩელის/საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს სარჩელის/საჩივრის მიღების შესახებ. საარჩევნო კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ საარჩევნო დავებზე ამავე მუხლით განსაზღვრული პირების გარდა სხვა პირის მიერ სასამართლოში შეტანილი სარჩელი განუხილველი რჩება.

სასამართლო დავას განიხილავს მხარეთა დასწრებით. მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების გამოკვლევის საფუძველზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4, მე-17 და მე-19 მუხლების დებულებათა

გათვალისწინებით.⁶¹ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას/ცესკოს გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებს მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეთ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის გაფორმება. საარჩევნო კოდექსის 79-ე⁶², 81-ე⁶³ და 86-ე–92-ე⁶⁴ მუხლებითა და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 174² მუხლით⁶⁵ გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ ცესკოს თავმჯდომარე, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები), საარჩევნო კოდექსის 194-ე მუხლის⁶⁶ პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენს ცესკოს თავმჯდომარე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დასაბუთებული მიმართვისა და მიწოდებული მასალების საფუძველზე.

პირს, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს შესაბამისი სამართალდარღვევა, უფლება აქვს მიმართოს შესაბამის კომისიას განცხადებით/საჩივრით ზემოთ აღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.

უფლებამოსილი ორგანო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შედგენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში, ხოლო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის/გადაწყვეტილების მიღების ვადა არ უნდა აღემატებოდეს

⁶¹ მუხლი 4. შევიდრებითობა და საქმის გარემოებების გამოკვლევა სასამართლოს მიერ; მუხლი 17. მტკიცების ტვირთი; მუხლი 19. მტკიცებულებების შეგროვება სასამართლოს მიერ.

⁶² მუხლი 79. წინასაარჩევნო ავტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით

⁶³ მუხლი 81. საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისათვის აკრძალულ დანესებულებებში

⁶⁴ „მუხლი 86. საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის მასალების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა; მუხლი 87. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემოწმებულ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება; მუხლი 88. წინასაარჩევნო ავტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა; მუხლი 89. არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემოწმებული ოქმის ასლის გაუყვებლობა; 90. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა; მუხლი 91. დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა; მუხლი 91¹. საარჩევნო კომისიის ფუნქციებისა და საქმიანობაში ჩარევა; მუხლი 92. დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა.

⁶⁵ მუხლი 174². შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

⁶⁶ მუხლი 194. საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში არჩეული პარლამენტის მიერ სრული უფლებამოსილების შეძენის დღემდე პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით განთავსებისას პასუხისმგებლობის მარეგულირებელი დროებითი ნუსი.

სასამართლოსათვის შესაბამისი ოქმის წარდგენიდან 10 დღეს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174² მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი განიხილება 3 დღის ვადაში (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 262-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო საარჩევნო კოდექსის 194-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმის შედგენის თაობაზე ცესკოს თავმჯდომარის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადად განისაზღვრება შესაბამისი დასაბუთებული მიმართვის მიღებიდან 2 დღე, სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის ფაქტის დადგენის/შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების ვადა კი არ უნდა აღემატებოდეს სასამართლოში ოქმის წარდგენიდან 2 დღეს.

სასამართლოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს 30 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ამასთან, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ უფლებამოსილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლების მქონე პირის მიერ ან ცესკოს თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უარის თქმის შესახებ მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო საქმის განხილვის შედეგად იღებს დადგენილებას ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების თაობაზე ან უარს ამბობს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

თავი 16. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები

თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფოს მეთაური არის პრეზიდენტი. სიტყვა "პრეზიდენტი" წარმოდგება ლათინური praesidens-დან, რომელიც "წინ მჯდომს" ნიშნავს. სახელმწიფო მეთაურის აღსანიშნავად, სიტყვის "პრეზიდენტი" გამოყენება XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო. პირველად პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების საკითხი აშშ-ის კონსტიტუციის შემუშავების დროს, 1787 წელს იქნა განხილული. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საპრეზიდენტო რესპუბლიკის სახით მსოფლიოს მისცა მმართველობის სტაბილური სისტემის ნიმუში, რომელიც მიმზიდველი აღმოჩნდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, როგორც ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის, ისე ევროპის "ძველი" ქვეყნებისთვისაც. აშშ-ის ნიმუშის მიხედვით პრეზიდენტის ინსტიტუტი XIX საუკუნის პირველ ნახევარში გადაიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებმა. ევროპაში კი პირველი საპრეზიდენტო რესპუბლიკები 1848 წელს შვეიცარიასა და

საფრანგეთში შეიქმნა. პრეზიდენტის, როგორც სახელმწიფოს ან სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის ძალაუფლების ხარისხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია და წარმოდგენილი, ზოგიერთ ქვეყანაში მას დიდ ძალაუფლება აქვს მინიჭებული, ზოგიერთში კი ნომინალური.

საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტი 1991 წლის 14 აპრილს იქნა შემოღებულ და იმავე წლის 26 მაისს ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის პირველი არჩევნები. პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია. 1991-1992 წლების დეკემბერ - იანვრის ცნობილი მოვლენების (სამოქალაქო ომი) შედეგად, ზვიად გამსახურდიას საქართველოს დატოვება მოუხდა, ხოლო მისმა მოწინააღმდეგეებმა პრეზიდენტის ინსტიტუტი გაუქმებულად გამოაცხადეს. პრეზიდენტის ინსტიტუტი მიჩნეული იქნა საქართველოსთვის შეუფერებლად და ქვეყნის "მოვლენათა არადემოკრატიული განვითარების" ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. 1992 წლის 11 ოქტომბერს საქართველოში გაიმართა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. პარლამენტის თავმჯდომარედ და იმავდროულად, სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე ედუარდ შევარდნაძე იქნა არჩეული (საქართველო ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც პარლამენტის თავმჯდომარე საყოველთაო სახალხო კენჭისყრის გზით აირჩიეს). 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულმა კონსტიტუციამ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში კვლავ დააბრუნა პრეზიდენტის ინსტიტუტი.

პრეზიდენტის არჩევნები. სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია როგორც პრეზიდენტის უფლებამოსილებანი, ისე მისი არჩევის წესი. მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებულია პრეზიდენტის არჩევის ოთხი გზა:

- პრეზიდენტს ირჩევენ ამომრჩევლები საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების გზით;
- პრეზიდენტს ირჩევენ პარლამენტი;
- პრეზიდენტს ირჩევენ ამომრჩეველთა კოლეგია (კოლეგიის წევრ ამრჩევებს ხალხი მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის მიზნით ირჩევს);
- პრეზიდენტს ირჩევენ სპეციალური ორგანო (პრეზიდენტის სპეციალური ორგანოს მიერ არჩევა გულისხმობს იმას, რომ პრეზიდენტი აირჩევა არა ხალხის მიერ არჩეული ამრჩევების, არამედ სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებისაგან შემდგარი სპეციალური ორგანოს (ფართო საარჩევნო კოლეგიის, ფორუმის, კრების) მიერ)).

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით დებატების გარეშე ღია კენჭისყრით ირჩევენ საარჩევნო კოლეგია. ერთი და იგივე პირი საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტის მორიგი არჩევნები იმართება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში. მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პარლამენტი არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე. თუ პრეზიდენტის არჩევნების თარიღი ემთხვევა პარლამენტის არჩევნების

თარიღს ან წინა თვეს, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვიდან 45 დღის განმავლობაში. თუ პრეზიდენტის არჩევის თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, პრეზიდენტის არჩევნები იმართება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან 45 დღის ვადაში.

პრეზიდენტის არჩევნების გამართვას უზრუნველყოფს პარლამენტი ცესკოს მეშვეობით. პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება პარლამენტისა და ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდებზე არაუგვიანეს არჩევნების დანიშვნის დღის მომდევნო დღისა.

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 40 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელს მაინც. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრს. საარჩევნო კოლეგიის ერთ წევრს შეუძლია მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთი კანდიდატის წარდგენას. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის მიზნით საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30-მა წევრმა საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობიდან პრეზიდენტობის კანდიდატის წარმდგენი ყველა წევრი. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს პრეზიდენტობის კანდიდატის:

- სახელი, გვარი;
- დაბადების თარიღი;
- პროფესია;
- თანამდებობა (საქმიანობა);
- სამუშაო ადგილი;
- რეგისტრაციის ადგილი;
- პარტიულობა;
- საქართველოში ცხოვრების ვადა;
- წარმდგენი საარჩევნო კოლეგიის წევრებისა და მათი წარმომადგენლის სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, თანამდებობა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და სხვა რეკვიზიტები (არსებობის შემთხვევაში).

განცხადებას უნდა ერთოდეს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა და 3 ფოტოსურათი, კანდიდატის ხელწერილი, რომ იგი იმავდროულად არ არის სხვა სახელმწიფოს მოქალაქე (თუ პრეზიდენტობის კანდიდატი იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა, განცხადებას უნდა დაერთოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ პრეზიდენტობის კანდიდატმა

მიმართა სხვა, შესაბამისი სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოს ამ სახელმწიფოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ).

პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში ატარებს ცესკო განკარგულებით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-20 დღისა. კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ცესკოს განკარგულება მიღებიდან 3 დღის ვადაში წარედგინება პარლამენტს. ცესკოს თავმჯდომარე პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში აძლევს შესაბამის მონუმბას. თუ საარჩევნო კოლეგიის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არასრულია ან არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარის მიერ დადგინდება ხარვეზი განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა და საარჩევნო კოლეგიის წარმომადგენელს ეძლევა 3 დღე ხარვეზის აღმოსაფხვრელად. თუ ხარვეზი დადგენილ ვადაში არ აღმოფხვრება, პრეზიდენტობის კანდიდატს და მის წარმომადგენელს ცესკოს განკარგულებით უარი ეთქმება რეგისტრაციაზე. ცესკო პრეზიდენტობის კანდიდატს რეგისტრაციაში არ გაატარებს, თუ დარღვეულია კანონით დადგენილი მოთხოვნები და წესები.

პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ/რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ცესკოს განკარგულება შეიძლება გაასაჩივროს/ გაასაჩივრონ მხოლოდ შესაბამისმა საარჩევნო კოლეგიის წევრმა/ წევრებმა ან/და პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილმა პირმა საარჩევნო კოლექსის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით.

პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციიდან არაუგვიანეს მე-6 დღისა პარლამენტი და ცესკო თავიანთ ოფიციალურ ვებგვერდებზე აქვეყნებენ ცნობას პრეზიდენტობის კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ, მისი სახელის, გვარის, დაბადების წლის, თანამდებობის (საქმიანობის) და სამუშაო ადგილის მითითებით.

პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-3 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა (პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურში მონაწილე პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება არა აქვს, მოხსნას თავისი კანდიდატურა). ამისთვის მან წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

პრეზიდენტობის კანდიდატის სარგებლობს გარანტიებით: არ შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატის სამსახურიდან დათხოვნა ანდა სხვა სამუშაოზე ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა მისი თანხმობის გარეშე; არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება პრეზიდენტობის კანდიდატის დაკავება, დაპატიმრება ან გაჩხრეკა, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე ცესკო თანხმობას არ მისცემს. გამონაკლისია დანაშაულებზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა

ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული პრეზიდენტობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. თანხმობის მიცემის შესახებ ცესკოს განკარგულებას კენჭი ეყრება საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

საარჩევნო კოლეგია. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში შედის 300 წევრი. საარჩევნო კოლეგიაში შედიან:

- საქართველოს პარლამენტის ყველა წევრი;
- აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრი;
- მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების – საკრებულოების წევრები.

პოლიტიკური პარტიები მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების შემადგენლობიდან საარჩევნო კოლეგიის წევრებს ასახელებენ მათთვის განკუთვნილი კვოტების შესაბამისად. კვოტები განისაზღვრება პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვითა და ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების პროპორციის მიხედვით.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად, კვოტები განისაზღვრება შემდეგი ფორმულის მიხედვით: $P = A * B / C$, სადაც:

- P არის უფლებამოსილი პოლიტიკური პარტიისათვის განსაზღვრული კვოტის ოდენობა, რომელიც მიღებული მთელი რიცხვია;
- A არის იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ოდენობა, რომელმაც ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული არჩევნების შედეგების შესაბამისად, ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღო;
- B არის საარჩევნო კოლეგიის სრულ შემადგენლობას გამოკლებული საქართველოს პარლამენტის ყველა წევრისა და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრის ჯამი;
- C არის ბოლო მუნიციპალიტეტის ორგანოთა პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე იმ პარტიების ნამდვილი ხმების რაოდენობათა ჯამი, რომლებმაც ქვეყნის მასშტაბით ამომრჩეველთა ხმების 1 პროცენტი მაინც მიიღეს.

თუ უფლებამოსილი პარტიების მიერ დადგენილი წესით მისაღებ კვოტათა ჯამი B -ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში გადაუნაწილებელი კვოტები მიეკუთვნებათ

უფლებამოსილ პარტიებს მათი საარჩევნო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით.

პარტიამ მისთვის განკუთვნილი კვოტის შესაბამისად საარჩევნო კოლეგიის წევრები უნდა წარადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ თბილისის და სახელმწიფო რწმუნებულის სამოქმედო ტერიტორიაზე არჩეული საკრებულოებიდან, პროპორციული გეოგრაფიული წარმომადგენლობის პრინციპის დაცვით.

პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის დღიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკო განკარგულებით ამტკიცებს პრეზიდენტის არჩევის ღონისძიებათა განხორციელების გრაფიკს (ვადებს) და კვოტებს არჩევნების დანიშვნის დღისთვის არსებული მდგომარეობით.

საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობას განკარგულებით ამტკიცებს ცესკო არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა. საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობის დასამტკიცებლად:

- საქართველოს პარლამენტი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები ვალდებული არიან არჩევნების დანიშვნის დღიდან 7 დღის ვადაში ცესკოს წარუდგინონ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების ყველა წევრის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;
- უფლებამოსილი პარტიები ვალდებული არიან, ცესკოს მიერ განსაზღვრული კვოტების შესაბამისად, არჩევნების დანიშვნის დღიდან 10 დღის ვადაში წარმოადგინონ საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი და იმ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს დასახელება, რომლის წევრიცაა აღნიშნული პირი, აგრეთვე წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა. საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი პირი საარჩევნო კოლეგიის წევრად არ ჩაითვლება, თუ იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს კონსტიტუციითა და საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, რის შესახებაც პარტიას 2 დღის ვადაში ეცნობება ხარვეზის მითითებით და ეძლევა 3 დღის ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად; უფლებამოსილ პარტიას უფლება აქვს, შეცვალოს საარჩევნო კოლეგიის წევრად წარდგენილი კოლეგიის წევრი მხოლოდ ამ პირის, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საქართველოს პარლამენტის წევრის, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის საარჩევნო კოლეგიაში დასახელების შემდეგ, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებამდე მისი ადგილმონაცვლის განსაზღვრა შეუძლებელია ან თუ უფლებამოსილმა პარტიამ

კანონით დადგენილ ვადაში არ გამოიყენა ან დადგენილ კვოტაზე ნაკლები ოდენობით წარადგინა საარჩევნო კოლეგიის წევრები, ასეთ შემთხვევაში, საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობის 300-მდე შესავსებად, ცესკოს გადანაცვეტილებით დადგენილი კვოტები შეიცვლება და გამოუყენებელი ადგილები გადანაწილდება სხვა უფლებამოსილ პარტიებზე საარჩევნო შედეგების თანამიმდევრობის გათვალისწინებით.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების გამართვა. პრეზიდენტის არჩევნები იმართება პარლამენტის სასახლეში, არჩევნების დღის 9 საათიდან და სრულდება იმავე დღის 14 საათზე, ან ნებისმიერ დროს, თუ საარჩევნო კოლეგიის ყველა წევრმა მისცა ხმა.

პრეზიდენტის არჩევაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის წევრებს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოწვეულ პირებს, ცესკოს წევრებს, საქართველოს პარლამენტისა და ცესკოს აპარატის შესაბამის უფლებამოსილ წარმომადგენლებს. პრეზიდენტის არჩევა პირდაპირ გადაიცემა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

პრეზიდენტის არჩევნებისათვის საარჩევნო ბიულეტენში მიეთითება კანდიდატის სახელი და გვარი. საარჩევნო ბიულეტენის ტექსტსა და ფორმას განკარგულებით ადგენს ცესკო.

პრეზიდენტის არჩევნებისათვის ცესკო ბეჭდავს საარჩევნო ბიულეტენებს და მათ საარჩევნო კოლეგიის წევრებს გადასცემს, ბეჭდავს საარჩევნო კოლეგიის წევრთა სიას, ლუქავს და ხსნის საარჩევნო ყუთს, ითვლის ხმებს და ადგენს შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

საარჩევნო კოლეგიის წევრები საარჩევნო კოლეგიის წევრთა სიაში საკუთარი ხელმოწერებით ადასტურებენ საარჩევნო ბიულეტენის მიღებას, რის შემდეგაც შემოხაზავენ მათთვის სასურველ მხოლოდ 1 კანდიდატს და საარჩევნო ბიულეტენს წინასწარ დალუქულ, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთში ათავსებენ.

საარჩევნო ბიულეტენი ბათილად მიიჩნევა, თუ:

- ის დაუდგენელი ნიმუშისაა;
- შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რომელ კანდიდატს მისცა ხმა საარჩევნო კოლეგიის წევრმა;
- საარჩევნო კოლეგიის წევრმა ხმა ერთზე მეტ კანდიდატს მისცა;
- შეუძლებელია იმის დადგენა, თუ საარჩევნო კოლეგიის რომელი წევრის მიერ არის ხმა მიცემული.

არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმების ორ მესამედს მაინც.

თუ არჩევნების პირველ ტურში პრეზიდენტი არ აირჩია, პარლამენტის თავმჯდომარე იმავე დღეს ან პირველი ტურის გამართვიდან არაუგვიანეს 7 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურს. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს. თუ საუკეთესო შედეგი ორზე მეტ კანდიდატს აქვს, მეორე ტურში მონაწილეთა ვინაობა ვლინდება იმის მიხედვით, თუ ერთნაირი შედეგის მქონე კანდიდატთაგან რომელი უფრო ადრე დარეგისტრირდა პრეზიდენტობის კანდიდატად. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. არჩევნების პირველი ან მეორე ტური შემდგარად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს საარჩევნო კოლეგიის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ხელახალი არჩევნები და რიგგარეშე არჩევნები⁶⁷. თუ არჩევნები არ შედგა ან საარჩევნო კოლეგიამ პრეზიდენტი არ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები. პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების თარიღს შესაბამისი გარემოების დადგომიდან 3 დღის ვადაში ნიშნავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები იმართება უფლებამოსილების შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში. პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნებს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში ნიშნავს საქართველოს პარლამენტი.

პრეზიდენტის არჩევნებისა და პარლამენტის არჩევნების ერთდროულად ან წინა თვეში გამართვის შემთხვევაში, აგრეთვე პრეზიდენტის ხელახალი არჩევნებისა და რიგგარეშე არჩევნების გამართვისას არჩევნები ტარდება პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამართვისათვის კანონით დადგენილი წესით. პრეზიდენტის ხელახალი არჩევნებისა და რიგგარეშე არჩევნების დროს საარჩევნო პროცედურები პრეზიდენტის მორიგი არჩევნების გამართვისათვის კანონით დადგენილი ვადების ნაცვლად ხორციელდება არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს განკარგულებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

არჩევნების შედეგების შეჯამება. პრეზიდენტის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს ცესკო არჩევნების დასრულებისთანავე, ცესკოს სხდომაზე, რომელიც

⁶⁷ საქართველოს პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემით გასამართი არჩევნების ჩატარებამდე საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში საარჩევნო კოლეგიის შემადგენლობაში იმ პოლიტიკური პარტიების კვოტების განსაზღვრის დამატებითი წესი, რომლებმაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პროპორციული საარჩევნო სისტემით გასამართ არჩევნებში მანდატები საარჩევნო ბლოკების შემადგენლობაში ყოფნით მოიპოვეს, განისაზღვრება ცესკოს დადგენილებით.

საქართველოს პარლამენტის სასახლეში იმართება. პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

- საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობა;
- არჩევნებში მონაწილე საარჩევნო კოლეგიის წევრთა რაოდენობა;
- არჩევნებში მონაწილე საარჩევნო კოლეგიის წევრთა სახელები და გვარები;
- არჩევნებში მონაწილე თითოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;
- ინფორმაცია იმის შესახებ, თუ საარჩევნო კოლეგიის რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს მისცა ხმა;
- ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;
- მეორე ტურში გასულ კანდიდატთა ვინაობა ან/და პირველი ან მეორე ტურის შედეგად არჩეული პრეზიდენტის ვინაობა.

პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერენ ცესკოს თავმჯდომარე და მდივანი. აღნიშნული ოქმი შეიძლება გაასაჩივროს/ გაასაჩივრონ მხოლოდ საარჩევნო კოლეგიის შესაბამისმა წევრმა/წევრებმა ან/და პრეზიდენტობის კანდიდატმა საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში (ცესკოს/ცესკოს ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში).

პრეზიდენტის არჩევნების ჩასატარებელ დოკუმენტაციას ცესკო ლუქავს და ინახავს ცესკოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დგება 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზავნება პრეზიდენტს, მეორე – პარლამენტს, ხოლო მესამე ინახება ცესკოში. პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ. პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე პრეზიდენტის ასარჩევად შემდგარ საარჩევნო კოლეგიას უფლებამოსილება უწყდება.

თავი17. საქართველოს პარლამენტის არჩევნები

პარლამენტი (ფრანგ. parlement ← parler = ლაპარაკი) არის ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი და საკანონმდებლო ორგანო. პირველი პარლამენტი ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ინგლისში ჩამოყალიბდა (1265 წელს შეიქმნა ბრიტანეთის პარლამენტი), როგორც სხვადასხვა ფენის წარმომადგენლობითი ორგანო, თუმცა პარლამენტის საყოველთაო გავრცელება XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო (საფრანგეთის დიდი რევოლუცია). ამ დროიდან პარლამენტის ძირითადი ამოცანა მონარქის ხელისუფლების შემზღუდვა იყო. პარლამენტი, როგორც წესი, ცენზების საფუძველზე ირჩეოდა და მასში ძირითადად ბურჟუაზიის წარმომადგენლებს ირჩევდნენ. საარჩევნო უფლებათა

თანდათანობით გაფართოებამ და საყოველთაო საარჩევნო უფლების დამკვიდრებამ ამგვარი ვითარება დროთა განმავლობაში შეცვალა.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო პარლამენტარიზმის აღორძინების ახალი ეტაპი, ეს პროცესი დღემდე გრძელდება. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში პარლამენტი ხელისუფლების წამყვანი ორგანოა. თანამედროვე პარლამენტები სხვადასხვა გზით ყალიბდება. ერთპალატიანი პარლამენტის ფორმირება, თუ რამდენიმე გამოწვევის არ მივიღებთ მხედველობაში, ყველაზე ურთიანად ხდება – მას უშუალოდ ირჩევს ხალხი. რაც შეეხება ორპალატიან პარლამენტს, მისი ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში შეიძლება განსხვავებულად რეგულირდებოდეს. პარლამენტის ფორმირების გზების მრავალფეროვნების მიუხედავად, დემოკრატიულ სახელმწიფოში სრულფასოვანი პარლამენტის უმნიშვნელოვანესი ნიშნებია: პარლამენტის რეგულარული არჩევითობა ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი არჩევნების გზით.

საქართველოს პარლამენტი. ინგლისში "თავისუფლების დიდი ქარტიის" მიღებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს სამეფოში არისტოკრატებს და მოქალაქეებს შორის შემუშავდა სამეფო (XII საუკუნე) ძალაუფლების შემღუდვის და პარლამენტის ტიპის ხელისუფლების განშტოების შექმნის იდეა. პირველი ქართული პარლამენტი, ოპოზიციონერების და მათი ლიდერის, ყთულუ არსლანის აზრით, ორი "პალატისაგან" უნდა ყოფილიყო შედგენილი: "დარბაზი" – არისტოკრატების და გავლენიანი მოქალაქეების საკრებულო, რომლებიც დროდადრო შეიკრიბებოდნენ და მიიღებდნენ გადაწყვეტილებებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ (გადაწყვეტილებების შესრულება ეკისრებოდა მეფეს) და "კარავი" – ორგანო, რომელიც იმუშავებდა განუწყვეტლივ, დარბაზის მოწვევებს შორის. არსებულ დაპირისპირებაში გაიმარჯვეს მეფის შეუზღუდავი ძალაუფლების მომხრეებმა. თამარ მეფის ბრძანებით ყთულუ არსლანი დააპატიმრეს. ამის შემდეგ ქართველებს მხოლოდ 1906 წელს მიეცათ შესაძლებლობა გაეგზავნათ თავისი წარმომადგენლები ხელისუფლების საპარლამენტო განშტოებაში (1906 წელს შემოღებულ იქნა რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმა, რომელიც 1916-1917 წლებში ოთხჯერ იქნა მოწვეული)⁶⁸.

XX საუკუნის დასაწყისში, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში, 1919 წლის 14–16 თებერვალს, საყოველთაო, თანასწორი, ფარული და პირდაპირი კენჭისყრით ჩატარებული არჩევნების საფუძველზე საქართველოში არჩეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელმაც 1921 წლის 21 თებერვალს მიიღო პირველი კონსტიტუცია. საბჭოთა რუსეთის მიერ

⁶⁸ <https://histrf.ru/read/articles/dieiatelnost-piervoi-i-vtoroi-gosudarstviennoi-dumy-event>
https://www.krugosvet.ru/enc/istoriya/GOSUDARSTVENNAYA_DUMA_ROSSISKO_IMPERII.html

საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოს პირველმა წარმომადგენლობითმა ორგანომ ფუნქციონირება შეწყვიტა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ, 1921 წლის 24 მარტს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძემ და მდივანმა შ. გაბრიჩიძემ გამოსცეს დეკრეტი N7, რომლის ძალითაც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ლეგიტიმურობა დაკარგა. თითქმის 70 წლიანი პაუზის შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველი მრავალპარტიული არჩევნებით საქართველოში პარლამენტარიზმის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო.

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე (საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენა) პარლამენტი შედგება საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან.

საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნების დღემდე 60 დღით ადრე⁶⁹.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მედით არაუგვიანეს არჩევნების დანიშვნის დღის მომდევნო დღისა.

პასიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან (მოქალაქეობისა და ასაკობრივი ცენზები), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 10 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი). პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა (მორალური ცენზი). საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატზე, რომელსაც უკავია საარჩევნო კოდექსის 112-ე მუხლში მოცემული

⁶⁹ თუ საქართველოს პარლამენტის არჩევნების თარიღი ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არაუადრეს 45-ე და არაუგვიანეს მე-60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებისთანავე.

თანამდებობა, ასევე ვრცელდება სტატუსთან შეუთავსებლობის პირობა (შეუთავსებლობისა და აურჩევლობის ცენზი).

საარჩევნო სისტემა. 2024 წლიდან საქართველოს პარლამენტის 150 წევრი აირჩევა ერთიან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, 4 წლის ვადით.

საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით⁷⁰ მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს:

- საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა, თუ მას არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი;
- პარლამენტის არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე, თუ არჩევნების დანიშვნის დროისათვის არ ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი. ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს.

იმ პარტიის რეგისტრაციის საკითხს, **რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი**, ცესკოს თავმჯდომარე წყვეტს ცესკოს სათანადო სამსახურის მიერ პარტიის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შემოწმების შემდეგ. რის თაობაზეც ცესკოს სათანადო სამსახური ცესკოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს ცესკოში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა წარუდგენს დასკვნას.

დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შემთხვევაში პარტიას მიეცემა 3 დღე განცხადებისა და

⁷⁰ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ცესკოსთვის განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან, პარტიის ხელმძღვანელობის /წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მითითებით, და საქართველოს პარლამენტში წარმომადგენლის ყოლის დამადასტურებელი საბუთი (ასეთი წარმომადგენლის ყოლის შემთხვევაში). პარტიის რეგისტრაციის მომენტისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მონაცემების ნამდვილობის გადამოწმების/დადასტურების მიზნით, ეს სააგენტო ცესკოს უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემების ბაზებზე წვდომის და გადამოწმების შესაძლებლობით.

საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

იმ პარტიის რეგისტრაცია, რომელსაც **არჩევნების დანიშვნის დროისათვის არ ჰყავს მისი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრი**, ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით: პარტია განცხადებას წარადგენს პარლამენტის არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე. განცხადებასა და თანდართულ საბუთებს არა უგვიანეს ცესკოში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური და ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენს შესაბამის დასკვნას. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა ცესკოს თავმჯდომარე წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. შესწორებული განცხადება და საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს 3 დღის ვადაში.

ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს. პარტია ვალდებულია, მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, წარუდგინოს ცესკოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია. პარტიის მხარდამჭერთა სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით. საარჩევნო პერიოდში ცესკოს სათანადო სამსახური მხარდამჭერთა სიებს ამოწმებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს სიების წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ განცხადება, თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სია წარდგენილია საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 42-ე დღისა, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები

და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას უფლება აქვს განცხადების საფუძველზე მოითხოვოს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება. გარდა აღნიშნულისა, პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის შემთხვევაში;
- თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;
- თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა მის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა (უარის თქმისა და გაუქმების მიზეზების მითითებით).

პარტიული სიების წარდგენა. საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს (პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით).

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას უფლება აქვს წარადგინოს ერთი პარტიული სია. წარდგენილ სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი.

პარტიულ სიას უნდა ერთოდეს საქართველოს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი (სააღრიცხვო ბარათებს პარტიის წარმომადგენელს წინასწარ გადასცემს ცესკო), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი და მისი ფოტოსურათი, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა⁷¹.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები. ამასთან პარტიული სიის შედგენისას სქესთა შორის ბალანსის დაცვის უზრუნველყოფა უკავშირდება

⁷¹ ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა საჯაროა და ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლით განისაზღვრა პარტიული სიების წარდგენის დროებითი წესი, რომლის თანახმად საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2028 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის პოლიტიკურმა პარტიებმა, ცესკოს თავმჯდომარისათვის წარსადგენი პარტიული სია უნდა შეადგინონ იმგვარად, რომ პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი⁷², ხოლო საქართველოს პარლამენტის 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი საპარლამენტო არჩევნებისათვის - ცესკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ იქნება დაცული სქესთა შორის ბალანსი, პარტიას დაუბრუნდება სია, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 3 დღის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრება, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

პარტიული სიების საარჩევნო რეგისტრაცია. პარტიული სიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე, რის თაობაზეც გამოსცემს განკარგულებას. პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული ყველა საბუთი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. აქვე უნდა განიმარტოს, რომ საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება.

პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური და სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 26-ე დღისა და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ

⁷² აღსანიშნავია რომ საარჩევნო სუბიექტი უფლებამოსილია ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს პარტიული სია, რომლის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც იქნება განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღნიშნული მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დამატებით დაფინანსებას მიიღებს.

(შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას 3 დღე ეძლევა სიისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული მონაცემები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას ან მის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს (თუ ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები არ არის), ხოლო დანარჩენი კანდიდატების შესახებ იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას მათთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა, განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა). თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, პარტიული სია და არც პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში არ გატარდება და ცესკოს თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ ვადაშივე გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა, განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა).

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია საარჩევნო კოდექსით დადგენილი სხვა პირობები, კერძოდ: პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრია; კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა მისი თანხმობა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე; საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში იმართება სხვა არჩევნები და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის თანხმობა ამ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობაზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება. კანდიდატის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სასამართლოს მიერ დადგინდა კანდიდატის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ან

წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიისა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევის ფაქტი.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, მის წარმდგენ პარტიას უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს, მაგრამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 დღისა, უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს.

არჩეული პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ არჩევნებში მონაწილე პარტიას უფლება აქვს, დადგენილი წესით ⁷³ გააუქმოს გადაწყვეტილება პარტიულ სიაში დარჩენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, ხოლო პარლამენტის წევრობის კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული სიიდან.

ცესკო საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

არჩევნებში მონაწილეობის გარანტიები. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე, წინასაარჩევნო კამპანიის ვადით ეძლევა ანაზღაურებისგარეშე შვებულება.

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე, ხოლო მის მიერ საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადებული პირი – მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა. გამოწვევისა და დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. ცესკოს განკარგულებას თანხმობის მიცემის შესახებ კენჭი უნდა ეყაროს საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრა. საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურები ტარდება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობაში, სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.

⁷³ საარჩევნო კოდექსი - მუხლი 120 მე-2 და მე-3 პუნქტი.

იმ საარჩევნო სუბიექტს/სუბიექტობის კანდიდატს, რომელმაც ბოლო საერთო პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში ხმების 0,75% ან 0,75%-ზე მეტი მიიღო, უფლება აქვს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას და მოითხოვოს არჩევნებში იმ რიგითი ნომრით მონაწილეობა, რომელიც მას ბოლო საერთო არჩევნების დროს ჰქონდა მინიჭებული. თუ ბოლო საერთო არჩევნებში რიგითი ნომერი მინიჭებული ჰქონდა საარჩევნო ბლოკს (საარჩევნო კოდექსის 2020 წლის არჩევნებისთვის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებს შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ საარჩევნო ბლოკში. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებზე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა ორი საარჩევნო ბლოკი), ამ უფლების გამოყენების უფლება ენიჭება აღნიშნული ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებულ პარტიას.

საარჩევნო სუბიექტს/სუბიექტობის კანდიდატს უფლება აქვს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა უარი განაცხადოს მიკუთვნებული რიგითი ნომრის გამოყენებაზე. ამ შემთხვევაში მას, აგრეთვე იმ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც ბოლო საერთო არჩევნებში არ მონაწილეობდა ან მონაწილეობდა საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში და არ იყო აღნიშნული ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებული, რიგითი ნომერი წილისყრით მიენიჭებათ.

წილისყრის მიზნით საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთი და იმავე ფორმისა და სახეობის ფურცლებზე ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს არჩევნებში მონაწილე პარტიების რაოდენობის შესაბამის ნომრებს. რიგითი ნომრებისათვის ნატურალური რიცხვები (1, 2, 3 და ასე შემდეგ) გამოიყენება. თუ რიგითი ნომრის არჩევის უფლების მქონე საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი საარჩევნო სუბიექტების რაოდენობაზე მეტია და მან ეს ნომერი დაიტოვა, უმაღლესი რიგითი ნომრის ნაცვლად ამ სუბიექტის რიგითი ნომერი დაინერება. ყოველი ფურცელი საარჩევნო კომისიის ბეჭდით უნდა დამოწმდეს. ფურცლების დამოწმების შემდეგ ცალკე გადაიდება ის რიგითი ნომრები, რომლებიც საარჩევნო სუბიექტების მიერ კანონით დადგენილი წესით იქნა არჩეული (იხ. ზემოთ). ყველა დარჩენილი ფურცელი ისე იკვეება, რომ შეუძლებელი იყოს მათზე დანერგილი ნომრების წაკითხვა. ცესკოს თავმჯდომარე შევსებულ ფურცლებს ათავსებს გამჭვირვალე ყუთში, საიდანაც პარტიების წარმომადგენლები სათითაოდ იღებენ მათ საარჩევნო რეგისტრაციის გავლის რიგითობის შესაბამისად. წილნაყარი ნომერი ხდება საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დარჩენილი საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო ბიულეტენში ინარჩუნებენ მათთვის მინიჭებულ რიგით ნომრებს.

საარჩევნო ბიულეტენი. ცესკო კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 25-ე დღისა თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას რეგისტრირებულ პარტიულ სიებისა და საარჩევნო სუბიექტების რიგით ნომრების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების შეჯამება. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა⁷⁴ და სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 25-ე დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და ადგენს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელ ოქმს⁷⁵. ოქმის ერთი ცალი ინახება ცესკოში, მეორე ცალი გადაეცემა საქართველოს პარლამენტს, ხოლო კომისიის ბეჭდით დამოწმებული ასლები – საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმს და გადასცემს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას 2 დღის ვადაში აქვეყნებს.

არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს: არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა და ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა; ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა და არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები.

მანდატების განაწილება. საქართველოს პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. არჩევნებში

⁷⁴ პირველ ეტაპზე, ხმების დათვლა მიმდინარეობს საუბნო საარჩევნო კომისიებში. საუბნო საარჩევნო კომისია აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და ადგენს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს, რომელიც დგება პარტიული სიების მიხედვით. ამის შემდეგ კენჭისყრის შედეგების შეჯამება გადადის საოლქო საარჩევნო კომისიებში. საოლქო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის დღიდან არაუგვიანეს მე-14 დღისა, საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს, რომელიც შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში. განცხადების/საჩივრის საფუძველზე საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით მიიღოს გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული პაკეტების გახსნის და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ.

⁷⁵ განცხადების/საჩივრის არსებობისას, რომელიც მოითხოვს კენჭისყრის შედეგების გადამოწმებას ან ბათილად ცნობას, ცესკო განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული დალუქული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ, ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის/საქალაქო ჯგუფს ავალებს ზემოაღნიშნული მოქმედების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში ცესკოს უფლება აქვს, არჩევნების შედეგები შეაჯამოს საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმების საფუძველზე.

მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა.

პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად მის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 150-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 5 პროცენტი მაინც მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

თუ პოლიტიკური პარტიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 150-ზე ნაკლებია, გაუნაწილებელ მანდატებს თანამიმდევრობით მიიღებენ უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკური პარტიები.

თუ 2 ან 2-ზე მეტი პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიას, რომელმაც ცესკოში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან საქართველოს პარლამენტის წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა. ამ სიის მიხედვით არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა უცვლელი რჩება.

არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების რეგისტრაცია. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში ცესკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ საქართველოს პარლამენტის წევრებს და აძლევს მათ დროებით მონმობას საქართველოს პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრა. განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბნებში, სადაც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი, საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10 პროცენტზე მეტია. ასეთ შემთხვევაში განმეორებითი კენჭისყრა იმართება საერთო არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 2 კვირისა.

თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერცერთმა პარტიამ ვერ მიიღო არჩევნებში მონაწილეთა ხმების 5 პროცენტი, ცესკოს განკარგულებით, არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის ვადაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 2 პროცენტისა. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილე პარტიების პარტიული სიები უცვლელი რჩება, მათში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ საარჩევნო კოდექსით დადგენილი საერთო წესით.

ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, ან თუ არჩევნებში საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა უხეშად დარღვევის გამო ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები საარჩევნო ოლქების ნახევარზე მეტში ან რამდენიმე ოლქში, რომლებშიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტია, არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ცესკო ნიშნავს ხელახალ არჩევნებს.

ხელახალი არჩევნები იმართება არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან 2 თვის ვადაში. ხელახალი არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს ცესკო არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი. თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი და ა. შ.. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს შეუჩერდებათ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი. პარტიული სიით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის-თანავე საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება მის ადგილმონაცვლე პირს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლით შემოღებულ იქნა დროებითი წესი (მოქმედებს 2032 წლის ჩათვლით), რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით⁷⁶, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში

⁷⁶ თუ საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სექსის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში იმავე პარტიის მომდევნო იმავე სექსის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ

მომდევნო იმავე სექსის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო იმავე სექსის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი იმავე სექსის საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის მომდევნო საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი.

რიგგარეშე არჩევნები. საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები ტარდება პარლამენტის ვადამდე დათხოვნიდან არაუადრეს 45-ე დღისა და არაუგვიანეს მე-60 დღისა. საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის ვადამდე დათხოვნის შესახებ ბრძანებულების ამოქმედებისთანავე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლამდე საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ერთხელ ან მრავალჯერ ჩატარების შემთხვევაში შესაბამისი არჩევნები ჩატარდება და პარლამენტის ფორმირდება მოხდება საარჩევნო კოდექსის 196-ე მუხლით დადგენილი წესით (რაც გულისხმობს, რომ არჩევნები ჩატარდება 2020 წლის არჩევნებისთვის დადგენილი რეგულაციის შესაბამისად, ეს ნიშნავს იმას, რომ პარლამენტის ფორმირება მოხდება შერეული საარჩევნო სისტემის გამოყენებით, სადაც მაჟორიტარული სისტემით აირჩევა 30 დეპუტატი, ერთ მანდატიანი ოლქებიდან და 120 დეპუტატი აირჩევა პროპორციული სისტემის საფუძველზე, საქართველოს მასშტაბით, 1% საარჩევნო ბარიერს პირობებში). რიგგარეშე არჩევნები ჩატარდება პარლამენტის 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე მოქმედი საარჩევნო კოდექსის რედაქციით.

2024 წლამდე საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების ერთხელ ან მრავალჯერ ჩატარების შემთხვევაში ბოლო რიგგარეშე არჩევნების მომდევნო მორიგი არჩევნები ჩატარდება 2024 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო ბოლო რიგგარეშე არჩევნებში არჩეულ პარლამენტს უფლებამოსილება შეუწყდება ახალარჩეული პარლამენტის მიერ პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან.

უნდა აღინიშნოს რომ საარჩევნო კოდექსის მოქმედი რედაქციის თანახმად, 2024 წელს საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.

იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ზოგადი წესის დაცვით. აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბერის მორიგი არჩევნების შედეგად არჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

პარლამენტის პირველი სხდომა და უფლებამოსილების შეწყვეტა. ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. პირველ სხდომას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს პარლამენტის წევრთა ორი მესამედის უფლებამოსილების ცნობიდან, შესაბამისად, ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის პარლამენტს.

თავი 18. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საქმიანობას და აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო შედგება 4 წლის ვადით არჩეული არაუმეტეს 21 დეპუტატისგან. უმაღლესი საბჭო აირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები. უმაღლესი საბჭოს მორიგი არჩევნები ტარდება უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბრის ბოლო შაბათს. უმაღლესი საბჭოს არჩევნებს საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელოვნებით⁷⁷. უმაღლესი საბჭოს არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა (შესაბამისი სამართლებრივი აქტი) ქვეყნდება უსკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით არაუგვიანეს არჩევნების დანიშვნის მომდევნო დღისა.

საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 25 წელი (ასაკობრივი ცენზი) და რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც (ბინადრობის ცენზი). ამასთან, უმაღლესი საბჭოს

⁷⁷ თუ გამოცხადებულია საომარი მდგომარეობა ან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა, უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებიდან 60 დღის ვადაში.

წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა (მორალური ცენზი). კანდიდატზე, რომელსაც უკავია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლში მოცემული თანამდებობა, ასევე ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან შეუთავსებლობის პირობა (შეუთავსებლობისა და აურჩევლობის ცენზი).

საარჩევნო სისტემა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა განიხილება, როგორც ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად **პარტიამ** მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით⁷⁸ უნდა მიმართოს უსკოს თავმჯდომარეს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ტარდება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები და თუ პარტია რეგისტრირებულია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის) მას დამატებით პარტიის რეგისტრაციის ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან არ მოეთხოვება. ამ შემთხვევაში განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოს თავმჯდომარის მიერ პარტიის რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი დამოწმებული დოკუმენტი (შესაბამისი სამართლებრივი აქტი).

უსკოს სათანადო სამსახური ამონშებს განცხადებას და თანდართულ საბუთებს და კომისიაში განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ

⁷⁸ განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, უსკოსათვის განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან, პარტიის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მითითებით, პარტიის რეგისტრაციის მომენტისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მონაცემების წამდვილობის გადამოწმების/დადასტურების მიზნით, ეს სააგენტო უსკოს უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემების ბაზებზე წვდომის და გადამოწმების შესაძლებლობით.

მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შემთხვევაში პარტიას მიეცემა 3 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

თუ პარტიას არ გააჩნია საარჩევნო რეგისტრაცია ცესკოში (საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მან დამატებით უნდა წარმოადგინოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტიური საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეთა – არანაკლებ 3000 მხარდამჭერის ხელმოწერა. პარტიას მხარდამჭერთა სიის ბლანკებს გადასცემს უსკოს შესაბამისი სამსახური კომისიაში განცხადების წარდგენისთანავე. მხარდამჭერთა ხელმოწერები უნდა წარედგინოს უსკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა.

პარტიის მხარდამჭერთა სიას ამონშებს უსკოს სათანადო სამსახური „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 37-ე მუხლით დადგენილი წესით. საარჩევნო პერიოდში უსკოს სათანადო სამსახური მხარდამჭერთა სიებს ამონშებს და დასკვნას წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს სიების წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ განცხადება, თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სია წარდგენილია კანონით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენილიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ განკარგულებას (ამ განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა).

პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას უფლება აქვს განცხადების საფუძველზე მოითხოვოს საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება. გარდა აღნიშნულისა, პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის შემთხვევაში;
- თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;
- თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა მის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა.

პარტიული სიების წარდგენა. საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, უსკოს თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს (პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით).

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას უფლება აქვს წარადგინოს ერთი პარტიული სია. წარდგენილ სიაში უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს 21-ზე ნაკლები და 30-ზე მეტი.

პარტიულ სიას უნდა ერთოდეს უმაღლესი საბჭოს წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი და ფოტოსურათი. ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა საჯაროა და ქვეყნდება უსკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით (მუხლი 76²) განისაზღვრა პარტიული სიების წარდგენის დროებითი წესი, რომლის თანახმად უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნების შემდგომ 2028 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის პოლიტიკურმა პარტიებმა, უსკოს თავმჯდომარისათვის წარსადგენი პარტიული სია უნდა შეადგინონ, იმგვარად, რომ პარტიული სიის ყოველ ოთხეულში ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი, ხოლო უმაღლესი საბჭოს 2028 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისა და ამ არჩევნების მომდევნო, 2032 წლამდე ჩასატარებელი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის იუსკოს თავმჯდომარისათვის წარდგენილი პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთი პირი მაინც უნდა იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ იქნება დაცული სქესთა შორის ბალანსი, პარტიას დაუბრუნდება სია, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 3 დღის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრება, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

პარტიული სიების საარჩევნო რეგისტრაცია. პარტიული სიას საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს უსკოს თავმჯდომარე, რის თაობაზეც გამოსცემს განკარგულებას. პარტიული სია საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული ყველა საბუთი აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს. აქვე უნდა განიმარტოს, რომ საბუთების წარდგენისთვის კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება.

პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამონშებს უსკოს სათანადო სამსახური და სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 26-ე დღისა და დასკვნას წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას ეძლევა 3 დღე სიისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული მონაცემები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, უსკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას ან მის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს (თუ ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები არ არის), ხოლო დანარჩენი კანდიდატების შესახებ იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას მათთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა, განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა). თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, პარტიული სია და არც პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში არ გატარდება და უსკოს თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ ვადაშივე გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა

ალინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა, განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა).

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია საარჩევნო კოდექსით დადგენილი სხვა პირობები, კერძოდ: პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრია; კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა მისი თანხმობა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე; უმაღლესი საბჭოს არჩევნების პერიოდში იმართება სხვა არჩევნები და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის თანხმობა ამ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობაზე; უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატმა არ წარმოადგინა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება. კანდიდატის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სასამართლოს მიერ დადგინდა კანდიდატის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ან წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვასთან დაკავშირებული რეგულაციების დარღვევის ფაქტი.

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს, მის წარმდგენ პარტიას უფლება აქვთ, ნებისმიერ დროს, მაგრამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 დღისა, უარი თქვას არჩევნებში მონაწილეობაზე ან წარდგენილ კანდიდატზე, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოს უსკოს.

უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს ასევე აქვს უფლება კენჭისყრის დღიდან უსკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებამდე არა უგვიანეს 2 დღისა, წერილობითი განცხადებით მიმართოს უსკოს თავმჯდომარეს თავისი კანდიდატურის პარტიული სიიდან მოხსნის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში მისი კანდიდატურა პარტიული სიიდან მოიხსნება უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით, უსკოს მიერ არჩევნების შედეგების საბოლოო შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე არა უგვიანეს 1 დღისა.

უმაღლესი საბჭოს არჩეული წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ არჩევნებში მონაწილე პარტიას უფლება აქვს, დადგენილი წესით⁷⁹ გააუქმოს გადანაცვეტილება პარტიულ სიაში დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ, ხოლო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული სიიდან.

უსკო საარჩევნო სუბიექტის ან ცალკეული კანდიდატების არჩევნებიდან მოხსნის შესახებ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

არჩევნებში მონაწილეობის გარანტიები. უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მონშობის წარდგენის საფუძველზე, წინასაარჩევნო კამპანიის ვადით ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრა. საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომერი განისაზღვრება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესითა და დადგენილ ვადებში (იხ. თავი 17. საქართველოს პარლამენტის არჩევნები). უფლებამოსილი პოლიტიკური გაერთიანების განცხადება რიგითი ნომრის მინიჭებასთან დაკავშირებით წარედგინება უსკოს. თუ ერთდროულად ტარდება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრული საერთო და უმაღლესი საბჭოს არჩევნები, უსკო დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის მინიჭების დამატებით წესს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების შეჯამება. უსკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმებისა და სასამართლოს საბოლოო გადანაცვეტილებების საფუძველზე, არჩევნების დღიდან არაუგვიანეს მე-19 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებს და ადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგების საბოლოო შემჯამებელ ოქმს⁸⁰. ოქმის ერთი ეგზემპლარი ინახება უსკოში, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. ოქმის ასლები გადაეცემა ყველა დაინტერესებულ პირს.

არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე უსკო თავის ვებგვერდზე აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგების შემჯამებელ ოქმს და გადასცემს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“, რომელიც მას 2 დღის ვადაში აქვეყნებს.

⁷⁹ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი - მუხლი 43, მე-2 და მე-3 პუნქტი.

⁸⁰ განცხადების/სანიშნის არსებობისას, რომელიც მოითხოვს კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობას ან გადამოწმებას, უსკომ განკარგულებით შეიძლება მიიღოს გადანაცვეტილება შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ.

არჩევნების საბოლოო შედეგების შემაჯამებელ ოქმში მითითებული უნდა იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი და განმეორებითი კენჭისყრა არ გამართულა, აგრეთვე მათში ამომრჩეველთა რაოდენობა; იმ საარჩევნო ოლქების ნომრები, რომლებშიც ხელახალი არჩევნები დაინიშნა, და ხელახალი არჩევნების თარიღი; არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ყოველი საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, მიღებული ხმების პროცენტი და მიღებული მანდატების რაოდენობა; წარმდგენ საარჩევნო სუბიექტთა მიხედვით დალაგებული არჩეულ უმაღლეს საბჭოს წევრთა სია.

მანდატების განაწილება. უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგად არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიებზე მანდატების გასანაწილებლად, თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 21-ზე და იყოფა არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე. მანდატს (მანდატებს) მიიღებს ყველა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც სულ მცირე ერთი მანდატის მისაღებად საკმარისი ხმების რაოდენობას მიიღებს. თითოეული პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად თითოეული პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა მრავლდება 21-ზე და იყოფა ყველა იმ პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების ჯამზე, რომლებმაც სულ მცირე ერთი მანდატის მისაღებად საკმარისი ხმების რაოდენობა მიიღეს. მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა.

თუ საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი 21-ზე ნაკლებია, ასეთ შემთხვევაში გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი თანმიმდევრობით მიეკუთვნება იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც მეტი ხმა მიიღეს. თუ 2 ან 2-ზე მეტი პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა თანაბარი აღმოჩნდა, მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიას, რომელმაც უსკოში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პარტიული სიით არჩეულად ჩაითვლებიან უმაღლესი საბჭოს წევრობის ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც ამ სიაში ნაკლებია ან ტოლია სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების რეგისტრაცია. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 დღის ვადაში უსკო რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრებს და აძლევს მათ დროებით მონმობას უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის შესახებ.

განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრა. პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში განმეორებითი კენჭისყრა ინიშნება იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა ამ

უბნებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტია. ასეთ შემთხვევაში განმეორებითი კენჭისყრა იმართება არჩევნებიდან 2 კვირის ვადაში.

თუ პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მოწყობილი არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერცერთმა პარტიამ ვერ მიიღო სულ მცირე ერთი მანდატის მისაღებად საკმარისი ხმების რაოდენობა, უსკოს განკარგულებით არჩევნებიდან 2 კვირაში ტარდება ხელახალი კენჭისყრა. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პარტიებს, რომლებმაც საერთო არჩევნებში მიიღეს ხმების 2 % მაინც. ხელახალ კენჭისყრაში მონაწილე პარტიების პარტიული სიები უცვლელი რჩება. მათში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით დადგენილი საერთო წესით.

ხელახალი არჩევნები. თუ არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა, იმართება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნები იმართება არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან 2 თვის ვადაში. ხელახალი არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს უსკო, არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში უმაღლესი საბჭოს რიგით მომდევნო წევრობის კანდიდატი. უსკო ვალდებულია უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ უმაღლესი საბჭოდან შესაბამისი სამართლებრივი აქტის მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობოს უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაბამის კანდიდატს მისი ადგილმონაცვლეობის შესახებ. უმაღლესი საბჭოს წევრობის შესაბამისმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში განცხადებით უნდა აცნობოს უმაღლეს საარჩევნო კომისიას უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის შესახებ თანხმობის (თანხმობის შემთხვევაში, შესაბამისმა კანდიდატმა ვაკანსიის წარმოშობიდან არაუგვიანეს მე-15 დღისა ნარკოლოგიური შემონმება უნდა გაიაროს უსკოს მიერ ბოლო არჩევნებისათვის განსაზღვრულ დანესებულებაში) ან უარის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, უმაღლესი საბჭოს წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.

ადგილმონაცვლეობის შესახებ განცხადებას თან უნდა ერთოდეს ცნობა ნარკოლოგიური შემონმების შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. უსკოს შესაბამისი სამსახურის დასკვნის საფუძველზე, უსკოს თავმჯდომარე განკარგულებით განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის

უფლებამონაცვლეს. განკარგულება სათანადო საბუთებთან ერთად ეგზავნება უმაღლეს საბჭოს. თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, მათ შორის, მან არ გაიარა ნარკოლოგიური შემოწმება, უსკოს თავმჯდომარე განკარგულებით არ ცნობს მის ადგილმონაცვლეობას, ასეთ შემთხვევაში ეს უფლება გადადის რიგით მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატზე.

უმაღლესი საბჭოს მიერ უმაღლესი საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს შეუჩერდებათ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი. პარტიული სიით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება იმ პირს, რომელიც მისი უფლებამონაცვლეა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით (მუხლი 76²) განისაზღვრა დროებითი წესი (მოქმედებს 2032 წლის ჩათვლით), რომლის თანახმადაც განისაზღვრა, რომ თუ უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პოლიტიკური პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს 1 თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოშობიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა უმაღლესი საბჭოს წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაკანტურ ადგილს დაიკავებს პარტიულ სიაში მისი მომდევნო იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი იმავე სქესის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის მომდევნო უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი.

უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნები. უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება დათხოვნიდან არა უადრეს მე-60 და არაუგვიანეს 90-ე დღისა. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-60 დღისა ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საბჭოს 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან უმაღლესი საბჭოს მომდევნო პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნების დანიშვნის დღემდე უმაღლესი საბჭოს შუალედური არჩევნები ჩატარდება და უმაღლესი საბჭოს ფორმირდება მოხდება 2020 წლის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობამდე მოქმედი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის რედაქციით.

უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა და უფლებამოსილების შეწყვეტა. უმაღლესი საბჭოს პირველი სხდომა იმართება არჩევნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა და მას ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უმაღლესი საბჭო მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება, ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს.

თავი 19. თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები

ადგილობრივი თვითმმართველობის ცნება. ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.

ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტებში – თვითმმართველ ქალაქსა და თვითმმართველ თემში. თვითმმართველი ქალაქი არის ქალაქის კატეგორიის დასახლება, რომელსაც მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი, ხოლო თვითმმართველი თემი არის რამდენიმე დასახლების ერთობლიობა, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი.

საქართველოს მოქალაქენი ადგილობრივ თვითმმართველობას ახორციელებენ საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით აირჩიონ მუნიციპალიტეტის ორგანოები და არჩეულ იქნენ ამ ორგანოებში, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, წარმოშობისა, ეთნიკური კუთვნილებისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, სოციალური კუთვნილებისა, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებასა და თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია და მისადმი საზოგადოების ნდობა უფრო და უფრო ძლიერდება.

მუნიციპალიტეტის ორგანოები. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, ხოლო მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის მერი და საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი არჩევნები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს მორიგი არჩევნები ტარდება მორიგი არჩევნების წლის ოქტომბრის პირველ შაბათს. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელოვნებით, მორიგ არჩევნებამდე 60 დღით ადრე. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები არ ტარდება. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან მე-60 დღეს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

მორიგ არჩევნებში არჩეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

პასიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად შეიძლება აირჩეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი (ასაკობრივი ცენზი), საქართველოში უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში (ბინადრობის ცენზი). საკრებულოს წევრობის კანდიდატზე ვრცელდება აუზრჩევლობისა და შეუთავსებლობის ცენზები⁸¹, კერძოდ: საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერი, ხოლო საკრებულოს წევრობის კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება უწყდებოდა საარჩევნო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის

⁸¹ იხ. საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 136

პირებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის საკრებულოს წევრობის კანდიდატის მიმართ ასევე მოქმედებს ე.წ. „განათლების ცენზი“ - კანდიდატს მოეთხოვება საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა.

აქტიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობენ შესაბამისი საარჩევნო ოლქისა და ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები (ბინადრობის ცენზი). მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები არ იქმნება, რაც შეეხება საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის მიხედვით საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლი მე-6 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საარჩევნო სისტემა. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნები ტარდება შერეული საარჩევნო სისტემით (პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების საფუძველზე).

თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების (გარდა ქალაქ თბილისისა) საკრებულოების მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით არჩეული შემადგენლობები თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით განისაზღვრება საარჩევნო კოდექსის №1 დანართით. ამასთან, მოქმედებს დათქმა, რომლის მიხედვითაც თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 7 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს 1 წევრი. თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 7 000-ზე მეტია, მაგრამ 14 000-ს არ აღემატება, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს 2 წევრი. თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 14 000-ზე მეტია, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით აირჩევა საკრებულოს 3 წევრი. ამომრჩეველთა რაოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის 1 მაისის მდგომარეობით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებისას ამომრჩეველს აქვს ერთი ხმის უფლება პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.

საარჩევნო ოლქები. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისთვის თვითმმართველ თემებში (გარდა თემების ადმინისტრაციული ცენტრებისა) ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქები იქმნება და მათი სახელწოდებები და საზღვრები დგინდება საარჩევნო კოდექსის №2 დანართით, ხოლო ამ ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ნომრები – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

თვითმმართველ ქალაქებში (გარდა ქალაქ თბილისისა) და თვითმმართველი თემების ადმინისტრაციულ ცენტრებში ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნიან და მათ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს ადგენენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებისთვის 10 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის, რომელთა საზღვრები ემთხვევა ქალაქ თბილისის 10 რაიონის (მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის) ადმინისტრაციულ საზღვრებს, სახელწოდებებსა და ნომრებს განსაზღვრავს ცესკო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს:

- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას;
- პარტიის//ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის საარჩევნო კომისიაში.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტია მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით⁸² მიმართავს ცესკოს თავმჯდომარეს:

- საკრებულოს არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა, თუ რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას ან არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში;
- მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე, თუ არჩევნების დანიშვნის დროისათვის არ ჰყავს წარმომადგენელი

⁸² განცხადებას უნდა დაერთოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ცესკოსთვის განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრიდან, პარტიის ხელმძღვანელობის/წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მითითებით. პარტიის რეგისტრაციის მომენტისათვის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერის მონაცემების წამდვილობის გადამოწმების/დადასტურების მიზნით, ეს სააგენტო ცესკოს უზრუნველყოფს ელექტრონული მონაცემების ბაზებზე წვდომის და გადამოწმების შესაძლებლობით.

საქართველოს პარლამენტში და არც ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას იყო რეგისტრირებული ცესკოში. ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს.

იმ პარტიის რეგისტრაციის საკითხს, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის **ჰყავს მისი წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ან რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას**, წყვეტს ცესკოს თავმჯდომარე ცესკოს სათანადო სამსახურის მიერ პარტიის მიერ წარდგენილი განცხადებისა და თანდართული საბუთების შემოწმების შედეგ. რის თაობაზეც ცესკოს სათანადო სამსახური არა უგვიანეს ცესკოში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგენს დასკვნას. დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ან წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შემთხვევაში პარტიას მიეცემა 2 დღე განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული განცხადება და საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

იმ პარტიის რეგისტრაცია, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დროისათვის **არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში და არც ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას იყო რეგისტრირებული**, ხორციელდება შემდეგი წესის დაცვით: როგორც ზემოთ აღინიშნა, პარტია განცხადებას წარადგენს არჩევნების წლის 1 იანვრიდან 15 ივლისამდე. ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს. პარტია ვალდებულია, მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, წარუდგინოს ცესკოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია. მხარდამჭერთა სიას

ამონშებს ცესკოს სათანადო სამსახური საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში. საარჩევნო პერიოდში ცესკოს სათანადო სამსახური მხარდამჭერთა სიებს ამონშებს და დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს სიების წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ განცხადება, თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სია წარდგენილია საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

პარტიის რეგისტრაციის პროცედურები მთავრდება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 37-ე დღისა. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებების წარდგენის რიგითობის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა, და ამის მიზეზებს.

პარტიული სიების წარდგენა. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არჩევნებში მონაწილე პარტიები საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენენ პარტიულ სიებს, ხოლო თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად პარტიული სიები წარედგინება ცესკოს თავმჯდომარეს.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიას უფლება აქვს, წარადგინოს თითო პარტიული სია. პარტიული სია დამონშებული უნდა იყოს არჩევნებში მონაწილე პარტიის ხელმძღვანელის ხელმოწერით. პარტიულ სიას უნდა ერთოდეს ყოველი კანდიდატის საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, 2 ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი⁸³ 2 ცალად, შვესების თარიღის მითითებით. სააღრიცხვო ბარათში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს

⁸³ პარტიის წარმომადგენელს სააღრიცხვო ბარათებს წინასწარ გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისია. საბუთების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს ეძლევა დათარიღებული ცნობა საბუთების მიღების შესახებ.

მოქალაქის პირადი ნომერი, მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით), დაბადების თარიღი) ერთად მითითებული უნდა იყოს საქართველოში 5 წლის ცხოვრების ფაქტი და თანხმობა ამ პარტიული სიით კენჭისყრაზე. წარდგენილ პარტიულ სიაში საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რაოდენობა არ უნდა იყოს პროპორციული სისტემით ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ამ რაოდენობის სამმაგ ოდენობას. რაც შეეხება თბილისის საკრებულოს არჩევნებისთვის წარდგენილ პარტიულ სია, იგი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 50 და არა უმეტეს 100 კანდიდატისაგან. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან ის პირი, რომელიც არ არის არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრი. პარტიულ სიაში შეიძლება შეყვანილ იქნეს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი. ასეთ შემთხვევაში პარტიულ სიაში მიეთითება, რომ კანდიდატი წარდგენილია ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში.

პარტიული სიის შედგენის წესს განსაზღვრავენ პარტიები. პარტიული სიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ არჩევნების შედეგების მიხედვით პარტიის მიერ მიღებული მანდატები ნაწილდება თანამიმდევრობით, სიის დასაწყისიდან რიგის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლით განისაზღვრა პარტიული სიების წარდგენის დროებითი წესი, რომლის თანახმად 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პოლიტიკურმა პარტიებმა, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის წარსადგენი პარტიული სია უნდა შეადგინონ, იმგვარად, რომ წარდგენილ სიაში ყოველი ორი კანდიდატიდან ერთი პირი მაინც იყოს განსხვავებული სქესის წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ თუ პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიაში არ იქნება დაცული სქესთა შორის ბალანსი, პარტიას დაუბრუნდება სია, ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრება 3 დღის ვადა, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრება, პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდება.

საკრებულოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს:

- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფს (ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წევრი);
- საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას.

მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს 47-ე დღისა განცხადებით (განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი) უნდა

მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რის შემდეგაც უფლება აქვს, შეაგროვოს მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერები (განცხადების წარდგენისთანავე საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს გადაეცემა კანდიდატის მხარდამჭერთა სიის ბლანკები). განცხადებას, უნდა ერთოდეს:

- საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი;
- უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, 2 ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი 2 ცალად.

სააღრიცხვო ბარათში კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან (სახელი, გვარი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან სააგენტოს მონაცემთა ბაზის მიხედვით), რეგისტრაციის თარიღი, დაბადების თარიღი) ერთად მითითებული უნდა იყოს საქართველოში 5 წლის ცხოვრების ფაქტი და თანხმობა მოცემულ ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კენჭისყრაზე.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს რეგისტრაციაში ატარებს განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა თუ მის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხარვეზის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს. შესწორებული საბუთები არაუგვიანეს მომდევნო დღისა უბრუნდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციაში გასატარებლად. საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის რეგისტრაციაში გასატარებლად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-40 დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს მაჟორიტარი კანდიდატის მხარდამჭერ ამომრჩეველთა სია (მხარდამჭერ ამომრჩეველთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობები განისაზღვრება ცესკოს განკარგულებით), რომელიც მოწმდება საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარდგენიდან 3 დღის ვადაში.

მაჟორიტარი კანდიდატის წარდგენის მიზნით პარტიას უფლება აქვს, არჩევნებამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა განცხადებით მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას (განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი). განცხადებას, უნდა ერთოდეს:

- საკრებულოს წევრობის მაჟორიტარ კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე;

- საქართველოს მოქალაქის პირადობის მონმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი;
- უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, 2 ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი 2 ცალად (ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სააღრიცხვო ბარათი იხ. გეშოთ).

არჩევნებში მონაწილე პარტიის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი იმავდროულად შეიძლება იყოს შესაბამისი პარტიის პარტიულ სიამი.

პარტიული სიებისა და ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატა რეგისტრაცია.
 პროპორციული წესით თბილისის საკრებულოს წევრთა მანდატების მისაღებად პარტიის მიერ წარდგენილ პარტიულ სიებს ამონმებს ცესკოს შესაბამისი სამსახური, სხვა დანარჩენ შემთხვევაში წარდგენილი პარტიული სიის და ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ საბუთებს ამონმებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

პარტიული სია და ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში ტარდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს არჩევნების დღემდე 28-ე დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს პარტიულ სიას, საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილ საკრებულოს წევრობის კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები, აგრეთვე საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში წერილობით აცნობებს საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს დოკუმენტაციის სრულყოფისთვის განუსაზღვრავს დამატებით ვადას (2 დღე). შესაბამისმა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, შესწორებული მონაცემების წარდგენის შემთხვევაში, საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყვიტოს დოკუმენტაციის წარდგენიდან 3 დღის ვადაში. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საკრებულოს წევრობის მაჟორიტარი კანდიდატს, პარტიულ სიას ან მის ინ ნაწილს, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (თუ სიის ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის), ხოლო დანარჩენი კანდიდატების თაობაზე იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას მათთვის საარჩევნო

რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად აღინიშნება რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). განკარგულება პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის შემდეგ 3 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მათ გადასცემს კანდიდატის მონებებს.

საკრებულოს წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, დარღვეულია საარჩევნო კოდექსით დადგენილი სხვა პირობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება. კანდიდატის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სასამართლოს მიერ დადგინდა კანდიდატის მიერ ამომრჩეველის მოსყიდვის ფაქტი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. პარტიას/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 12 დღისა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. აღნიშნული უფლებით აღჭურვილია თავად კანდიდატიც, მას შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 12 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

არჩევნებში მონაწილე პარტიას უფლება აქვს, არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება პარტიულ სიაში დარჩენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. პარტიას უფლება არა აქვს, პარტიულ სიაში დარჩენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილება გააუქმოს ამ სიით არჩეული საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მისი ადგილმონაცვლის უფლებამოსილების ცნობამდე. საკრებულოს წევრობის კანდიდატსაც აქვს უფლება არჩეული საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შემდეგ მოხსნას თავისი კანდიდატურა პარტიული სიიდან, რისთვისაც სათანადო განცხადება უნდა წარუდგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

პარტიის მიერ წარდგენილი საკრებულოს წევრობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოიხსნება შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

განკარგულებით, პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი/კანდიდატის მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე, განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში. თუ განცხადება ამ ვადაში არ დაკმაყოფილდა, საკრებულოს წევრობის კანდიდატი პარტიული სიიდან მოხსნილად ჩაითვლება აღნიშნული ვადის გასვლის მომდევნო დღიდან.

შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე დაუყოვნებლივ აქვეყნებს ცნობას კანდიდატის რეგისტრაციის, კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

არჩევნებში მონაწილეობის გარანტიები. დამსაქმებელს უფლება არა აქვს, შვებულოს დასაქმებულის უფლება, მონაწილეობა მიიღოს კანდიდატად მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებში, გახდეს საკრებულოს წევრი. შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს შეთანხმებას აღნიშნული საფუძვლით დასაქმებულის უფლების შვებულების შესახებ, ბათილია. აკრძალულია ზემოაღნიშნული საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა და სხვაგვარი დისკრიმინაცია.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრა. საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი განისაზღვრება დადგენილი წესით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა. საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის მიზნით სათანადო პროცედურები ტარდება შესაბამისი საარჩევნო კომისიის შენობაში, სხდომებზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით.

პარტიის მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატს აქვს იგივე რიგითი ნომერი, რომელიც მის წარმდგენ პარტიას აქვს მინიჭებული (საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიებისთვის რიგითი ნომრის მინიჭების წესი იხილეთ თავი 17. საქართველოს პარლამენტის არჩევნები).

ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს რიგით ნომერს წილისყრით ანიჭებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია. წილისყრის მიზნით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთი და იმავე ფორმისა და სახეობის, საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატის შესაბამისი რაოდენობის ფურცლებზე ერთი და იმავე საწერი საშუალებით წერს ნომრებს, რომლებიც იწყება არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის მინიჭებული უმაღლესი რიგითი ნომრის მომდევნო რიცხვიდან. ყოველი ფურცელი აღნიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით უნდა დამოწმდეს. ყველა ფურცელი ისე იკეცება, რომ შეუძლებელი იყოს მათზე დანერილი ნომრების ნაკითხვა. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე შევსებულ ფურცლებს ათავსებს გამჭვირვალე ყუთში, საიდანაც ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის

წარმომადგენლები სათითაოდ იღებენ მათ. წილნაყარი ნომერი ხდება საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი.

საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში დარჩენილი საარჩევნო სუბიექტები საარჩევნო ბიულეტენში ინარჩუნებენ მათთვის მინიჭებულ რიგით ნომრებს.

საარჩევნო ბიულეტენი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნებისათვის მზადდება ორი სხვადასხვა სახის საარჩევნო ბიულეტენი. პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება პარტიების სახელწოდებები დადგენილი რიგითობის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩასატარებელი არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში ასარჩევად წარდგენილი ყველა კანდიდატის რიგითი ნომერი, სახელი და გვარი. პარტიის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიეთითება შესაბამისი პარტიის სახელწოდება, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის გვარის გასწვრივ მიეთითება „დამოუკიდებელი“. კანდიდატის შესახებ მონაცემები საარჩევნო ბიულეტენში შეიტანება შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წილისყრით განსაზღვრული მისი რიგითობის შესაბამისად, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში ამომრჩეველი შემოხაზავს არაუმეტეს ერთი პარტიის რიგით ნომერს, ხოლო მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოს არჩევნებისათვის განკუთვნილ საარჩევნო ბიულეტენში, რომელშიც შეტანილია მონაცემები კანდიდატების შესახებ, ამომრჩეველი შემოხაზავს არა უმეტეს ერთი კანდიდატის რიგით ნომერს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩევნების შედეგების შეჯამება. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ საჩივრების განხილვის შედეგების გათვალისწინებით ადგენს და აჯამებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარებული არჩევნების შედეგებს. თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების შემაჯამებელი საარჩევნო კომისიის ფუნქციებს ახორციელებს ცესკო, ხოლო თბილისის საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს და ადგენს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

მანდატების განაწილება. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლება და მანდატს მიიღებს ის კანდიდატი, რომელიც შესაბამის ადგილობრივ მაჟორიტარულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ნამდვილი ხმების 40 პროცენტზე მეტს. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა (ორივემ 40 პროცენტზე მეტი), არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე იყო რეგისტრირებული.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობის დასადგენად, პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა უნდა გაამრავლოს გასანაწილებელი მანდატების რაოდენობაზე და გაყოს იმ პარტიების მიერ მიღებული ხმების რაოდენობათა ჯამზე, რომლებმაც არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3% (თბილისის შემთვევაში 2.5%) მიიღეს (არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა), მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი არის პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა. თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების რაოდენობათა ჯამი მანდატების საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი, პირველ რიგში, თანამიმდევრობით მიეკუთვნება უკეთესი შედეგის მქონე იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 3 პროცენტისა. თუ ამის შემდეგ კიდევ დარჩება გაუნაწილებელი მანდატი (მანდატები), თითო მანდატი თანამიმდევრობით მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებსაც ერთი მანდატი მაინც ჰქონდათ მიღებული და სხვებზე დიდი ნაშთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა. თუ ვერცერთმა პარტიულმა სიამ ვერ მოიპოვა მანდატი, შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ თითო მანდატი უნდა მიაკუთვნოს პროპორციული წესით გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის იმ სუბიექტებს, რომლებმაც სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ იმ 2 ან 2-ზე მეტი პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობები, რომელთაც უნდა გადაეცეთ ერთი მანდატი თანაბარი აღმოჩნდება, მანდატი იმ პარტიულ სიას მიეკუთვნება, რომელმაც საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად შესაბამის საარჩევნო კომისიაში უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომელთა რიგითი ნომრებიც პარტიულ სიაში ნაკლებია ან ტოლია ამ პარტიული სიის მიერ მიღებული მანდატების რაოდენობისა.

თუ საკრებულოს წევრობის კანდიდატი არჩეულია როგორც ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან, ისე პარტიული სიით, მაშინ იგი ითვლება ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან არჩეულად, ამოიღება პარტიული სიიდან და სიაში კანდიდატის წანაცვლება განხორციელდება ორგანული კანონით დადგენილი წესით.

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 10 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისია ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ცნობას შესაბამის საარჩევნო ოლქში გამართული არჩევნების შედეგების შესახებ.

მეორე ტური და ხელახალი არჩევნები. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ჩატარებულ საკრებულოს არჩევნებში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო განსაზღვრული ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, არჩევნების მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს. საკრებულოს არჩევნების მეორე ტურს (მეორე ტურებს) ნიშნავს ცესკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად. საკრებულოს არჩევნების მეორე ტური (მეორე ტურები) ტარდება საკრებულოს არჩევნებიდან მეოთხე შაბათს. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც რეგისტრაცია უფრო ადრე გაიარა.

თუ არჩევნების მეორე ტურში გასულ ერთ-ერთ ან ორივე კანდიდატს გაუუქმდა რეგისტრაცია ან კანდიდატი გარდაიცვალა, 2 თვის თავზე ტარდება ხელახალი არჩევნები. ხელახალი არჩევნების თარიღს ნიშნავს ცესკო ზემოაღნიშნული ფაქტის დადგომიდან 3 დღის ვადაში.

განმეორებითი და ხელახალი კენჭისყრები. თუ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრა, ცესკო ნიშნავს განმეორებით კენჭისყრას, რომელიც უნდა გაიმართოს კენჭისყრის დღიდან 2 კვირის ვადაში. განმეორებითი კენჭისყრა იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოში – საკრებულოში ასარჩევ შესაბამისი რაოდენობის კანდიდატთაგან ბოლო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატსა და მომდევნო შედეგის მქონე კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა შორის სხვაობა ნაკლებია ამ საარჩევნო უბნის (ან გაბათილებული უბნების) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე. განმეორებითი კენჭისყრისას საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების გაბათილების შემთხვევაში შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნების შედეგებს აჯამებს ამ უბნის

გაუთვალისწინებლად. თუ საარჩევნო ოლქში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, 2 კვირის ვადაში იმართება ხელახალი კენჭისყრა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეულთა რეგისტრაცია. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში ატარებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩეულ პირებს და გადასცემს მათ შესაბამის მონშობებს.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომას იწვევს ცესკო არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 30 დღის ვადაში.

შუალედური არჩევნები. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეულ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადადღე შეუწყდება, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება შუალედური არჩევნები. თუ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება 15 იანვრიდან 15 ივნისამდე შეუწყდა, შუალედური არჩევნები ტარდება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ საკრებულოს წევრს უფლებამოსილება 15 ივნისიდან 15 იანვრამდე შეუწყდა – უახლოეს აპრილში. მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების წელს საკრებულოს შუალედური არჩევნები არ ტარდება.

არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 50-ე დღისა ცესკო განკარგულებით ნიშნავს შუალედური არჩევნების თარიღს და ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

საკრებულოს შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტია, აგრეთვე პარტია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის, განცხადებით მიმართავს ცესკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა. იმავე ვადაში ცესკოს განცხადებით მიმართავს პარტია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას. ასეთ პარტიას განცხადების მიღებისთანავე ცესკო გადასცემს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად. იმავე ვადაში შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას განცხადებით მიმართავს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, რომლის რეგისტრაცია და რომლის მიერ წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაცია ხორციელდება საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით (კანდიდატთა წარდგენა მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში და კანდიდატთა რეგისტრაცია იხ. ამავე თავში).

პარტია, რომლის შუალედურ არჩევნებში რეგისტრაციაც საჭიროებს პარტიის მხარდამჭერთა სიის წარდგენას, ვალდებულია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა ცესკოს წარუდგინოს საკრებულოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი ამომრჩეველების სია.

შუალედურ არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი იკავებს შესაბამისი საკრებულოს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული გამოკლებული წევრის ადგილს საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

თუ საკრებულოს გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, შუალედური არჩევნები არ გაიმართება და შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში დაიკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში რიგით მომდევნო კანდიდატი, თუ მან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის შეტყობინებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში კანდიდატი აღარ არის, მანდატი უქმდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კოდექსის 203-ე მუხლით შემოღებულ იქნა დროებითი წესი (ადგენს 2028 წლამდე ჩასატარებელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა საერთო არჩევნებისათვის პარტიული სიების წარდგენის ზოგიერთ დროებითი წესს), რომლის თანხამადაც განისაზღვრა, რომ თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეულ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, შესაბამის საკრებულოში მის ადგილს 2 კვირის ვადაში იკავებს მისი ადგილმონაცვლე, იმავე პარტიულ სიაში მომდევნო იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი, თუ მან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის შეტყობინების მიღებიდან 10 დღეში თანხმობა განაცხადა საკრებულოს წევრობაზე. თუ წარდგენილ პარტიულ სიაში იმავე სქესის საკრებულოს წევრობის კანდიდატი აღარ არის, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში საკრებულოს გამოკლებული წევრის მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი.

რიგგარეშე არჩევნები. თუ საკრებულოს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, ამ კანონით დადგენილი წესით ტარდება რიგგარეშე არჩევნები. თუ საკრებულოს უფლებამოსილება 15 იანვრიდან 15 ივნისამდე შეუწყდა, რიგგარეშე არჩევნები ტარდება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ საკრებულოს უფლებამოსილება 15 ივნისიდან 15 იანვრამდე შეუწყდა – უახლოეს აპრილში. მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების წელს საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება. საკრებულოს რიგგარეშე არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელოვნებით. საკრებულოს რიგგარეშე არჩევნები ინიშნება საკრებულოს დათხოვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის ამოქმედებიდან არაუადრეს მე-8 დღისა და არაუგვიანეს მე-10 დღისა. არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა. რიგგარეშე არჩევნებში საკრებულო აირჩევა შესაბამისი საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით. საკრებულოს რიგგარეშე არჩევნებში პარტია და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი მონაწილეობენ ამ კანონის 154-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესებით. საკრებულოს რიგგარეშე

არჩევნების ჩატარების ვადებს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა განკარგულებით ადგენს ცესკო.

თავი 20. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნები

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები. მორიგ არჩევნებში არჩეული თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი არჩევნები ტარდება მორიგი არჩევნების წლის ოქტომბრის პირველ შაბათს. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელოვნებით, მორიგ არჩევნებამდე 60 დღით ადრე. არჩევნების დანიშვნის შესახებ ცნობა ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, არჩევნების დანიშნიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

პასიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. მერად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან (ასაკობრივი ცენზი), რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი). კანდიდატზე ვრცელდება აუზრევლობისა და შეუთავსებლობის ცენზები, კერძოდ, საქართველოს მოქალაქე არ შეიძლება იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი ან თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერი, ამასთან, კანდიდატად დასახელების შემთხვევაში სამსახურებრივი უფლებამოსილება უწყდებათ საარჩევნო კოდექსის 136-ე მუხლით განსაზღვრულ თანამდებობის პირებს.

აქტიური საარჩევნო უფლება და საარჩევნო ცენზები. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობენ შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები (ბინადრობის ცენზი). თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებში არ მონაწილეობენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის

ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები არ იქმნება, რაც შეეხება საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეებს, არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების საფუძველზე მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის დისლოკაციის მიხედვით საარჩევნო კოდექსის 32-ე მუხლი მე-6 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

საარჩევნო ოლქები. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის არჩევნებისთვის ყოველი მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მერობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფების რეგისტრაციის წესი და პირობები იხ. თავი 19. თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები).

მერობის კანდიდატის რეგისტრაცია და რიგითი ნომრის განსაზღვრა. პარტია/საინიციატივო ჯგუფი საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 30-ე დღისა, მერობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის საბუთებს წარუდგენს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. გამონაკლისია ქალაქ თბილისის მერობის კანდიდატი, რომლის საბუთებიც წარედგინება ცესკოს.

განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი/უფლებამოსილი პირი, ხოლო საინიციატივო ჯგუფის შემთხვევაში - საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრი. კანდიდატის რეგისტრაციის მიზნით წარდგენილ განცხადებას, უნდა ერთოდეს:

- მერობის კანდიდატად წარდგენილი პირის წერილობითი თანხმობა არჩევნებში მონაწილეობაზე;
- საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ფოტოასლი;
- უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, 2 ფოტოსურათი და მის მიერ ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი 2 ცალად (ინფორმაცია, რომელსაც უნდა შეიცავდეს სააღრიცხვო ბარათი იხ. ზემოთ, თავი 19. თვითმმართველი თემებისა და თვითმმართველი ქალაქების საკრებულოების არჩევნები).

მერობის კანდიდატის რეგისტრაციისათვის წარდგენილ საბუთებს ამოწმებს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც საბუთების წარდგენიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს არჩევნების დღემდე 28-ე დღისა:

- საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს მერობის კანდიდატს, თუ მერობის კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაცია შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

- მერობის კანდიდატის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ წერილობით აცნობებს მერობის კანდიდატის წარმდგენი პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს (შეუსაბამობის მითითებით), თუ ასეთი შეუსაბამობა არსებობს. პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საბუთების სრულყოფისთვის 2 დღე ეძლევა.

შესწორებული მონაცემები მოწმდება და კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი წყდება მონაცემების წარდგენიდან 2 დღის ვადაში. თუ შესწორებული მონაცემები შეუსაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს, შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში ატარებს მერობის კანდიდატს, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას მისთვის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად აღინიშნება რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და კანონის ის ნორმები, რომელთა მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). განკარგულება კანდიდატის წარმდგენ საარჩევნო სუბიექტს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

მერობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება შესაბამისი კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას, დარღვეულია საარჩევნო კოდექსით დადგენილი სხვა პირობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რეგისტრირებული კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმებას ასევე გამოიწვევს წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება ან კანდიდატის გარდაცვალება. კანდიდატის რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ სასამართლოს მიერ დადგინდა კანდიდატის მიერ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტი ან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტი.

მერობის კანდიდატის რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მას გადასცემს კანდიდატის მოწმობას. მერობის კანდიდატს მიეკუთვნება მისი წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის რიგითი ნომერი განისაზღვრება წილისყრით (იხ. საარჩევნო კოდექსი, მუხლი 119).

მერობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. პარტიას/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს, რეგისტრაციის შემდეგ, კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს 12 დღისა გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება კანდიდატის წარდგენის შესახებ. აღნიშნული უფლებით აღჭურვილია თავად კანდიდატიც, მას შეუძლია კენჭისყრის დღემდე არაუგვიანეს

12 დღისა მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

მერობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების უფლება არ ვრცელდება არჩევნების მეორე ტურზე.

შესაბამისი საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე კანდიდატის რეგისტრაციის, კანდიდატის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ინფორმაციის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას.

მერის არჩევნების შედეგების შეჯამება. მერის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს აჯამებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები და ადგენს ცესკო.

მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 50%-ზე მეტი მიიღო. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი საარჩევნო ბიულეტენები.

არჩევნების მეორე ტური. თუ მერის არჩევნებში კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობს 2 კანდიდატი, რომლებმაც პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმა მიიღეს. თუ ორზე მეტ კანდიდატს ერთნაირი საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა, ან ერთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის მომდევნო რამდენიმე კანდიდატმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღო, არჩევნების მეორე ტურში ყველა ეს კანდიდატი მონაწილეობს.

მერის არჩევნების მეორე ტურს (ტურებს) ნიშნავს ცესკო პირველი ტურის შედეგების შეჯამებასთან ერთად. მერის არჩევნების მეორე ტური (ტურები) იმართება არჩევნებიდან მეოთხე შაბათს.

არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ კანდიდატებმა თანაბარი რაოდენობის ხმები მიიღეს, არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მეტი ხმა მიიღო. თუ ხმათა ეს რაოდენობებიც ტოლი აღმოჩნდა, გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც უფრო ადრე გაიარა რეგისტრაცია.

თუ არჩევნების მეორე ტურში გასულ ერთ-ერთ ან ორივე კანდიდატს გაუუქმდა რეგისტრაცია, ან კანდიდატი გარდაიცვალა, 2 თვის თავზე ტარდება ხელახალი არჩევნები. არჩევნების თარიღს ნიშნავს ცესკო ზემოაღნიშნული ფაქტის დადგომიდან 3 დღის ვადაში.

რიგგარეშე არჩევნები. რიგგარეშე არჩევნები. მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ცესკოს განკარგულებით ინიშნება რიგგარეშე არჩევნები.

მერის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რიგგარეშე არჩევნები ტარდება აპრილში ან ოქტომბერში, ამ კანონით დადგენილი წესით. თუ მერს უფლებამოსილება 15 იანვრიდან 15 ივნისამდე შეუწყდა, რიგგარეშე არჩევნები ტარდება იმავე წლის ოქტომბერში, ხოლო თუ მერს უფლებამოსილება 15 ივნისიდან 15 იანვრამდე შეუწყდა – უახლოეს აპრილში. მუნიციპალიტეტის ორგანოების მორიგი არჩევნების წელს მერის რიგგარეშე არჩევნები არ ტარდება.

რიგგარეშე არჩევნებში მერი აირჩევა შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

მერის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიზნით პარტია, რომელიც რეგისტრირებული იყო ბოლო საპარლამენტო არჩევნებისას, ან არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, აგრეთვე პარტია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა მუნიციპალიტეტის ორგანოთა ბოლო არჩევნებში მონაწილეობისთვის, განცხადებით მიმართავს ცესკოს არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა.

რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 47-ე დღისა ცესკოს განცხადებით უნდა მიმართოს პარტიამ, რომელიც ვერ აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობას, ამავე ვადაში შესაბამის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიმართოს ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფმა. ცესკო პარტიის განცხადების მიღებისთანავე მას გადასცემს პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს შესაბამისი საარჩევნო კომისია გადასცემს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს მის მიერ წარდგენილი მერობის კანდიდატის მხარდამჭერთა ხელმოწერების შესაგროვებლად.

პარტია, რომლის რეგისტრაციაც, პარტიის მხარდამჭერთა სიის წარდგენას საჭიროებს, აგრეთვე ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ვალდებულია არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-40 დღისა, შესაბამისად, ცესკოს ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგინოს მერის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატის მხარდამჭერი ამომრჩეველების სია.

არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშნიდან არაუგვიანეს 50-ე დღისა. არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 49-ე დღისა ცესკო განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს.

თავი 21. რეფერენდუმი და პლებისციტი

დემოკრატიის ფორმებში იგულისხმება საზოგადოების სხვადასხვა ფენის ნებისა და ინტერესების გამოხატვის ისტორიულად ჩამოყალიბებული მეთოდები და საშუალებები. ამ მეთოდებისა და საშუალებების მიხედვით განასხვავებენ:

წარმომადგენლობით დემოკრატია, რომლის დროსაც ხალხი ხელისუფლებას თავისი წარმომადგენლების მეშვეობით ახორციელებს (სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოები, საზოგადოებრივი და პარტიული წარმომადგენლობითი ორგანოები) და პირდაპირ დემოკრატია, როდესაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხებს უშუალოდ ხალხი წყვეტს (რეფერენდუმი, პლებისციტი, სახალხო კრება).

პირდაპირი დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი სახეა რეფერენდუმი. მისი დემოკრატიულობა იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი საყოველთაო კენჭისყრის გზით აცნობებს სახელმწიფოს თავის გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მნიშვნელოვან სახელმწიფო საკითხზე (ლათ. Referendum – „ის, რაც უნდა ეცნობოს“).

რეფერენდუმს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. დღესაც შეინიშნება მისი გამოყენების სფეროს გაფართოება და მისი მნიშვნელობის ზრდის ტენდენცია. არსებობს ქვეყნები, სადაც ერისა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი საკითხები უპირატესად რეფერენდუმის ან პლებისციტის გზით წყდება (ამის მაგალითია შვეიცარიის კონფედერაცია, თუმცა არსებობს ისეთი ქვეყნები, რომელთა კანონმდებლობა ითვალისწინებს რეფერენდუმსა თუ პლებისციტს, მაგრამ იგი იშვიათად ტარდება (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი).

არჩევნებისაგან განსხვავებით, რთული და მრავალფეროვანია რეფერენდუმის დანიშვნის პროცედურა. ზოგადად, საერთო - ეროვნული რეფერენდუმის დანიშვნის უფლებამოსილება აქვს სახელმწიფოს მეთაურს (საფრანგეთი, სლოვაკეთი, სომხეთი, ყირგიზეთი) ან პარლამენტს (ბულგარეთი, პოლონეთი, მაკედონია, ტაჯიკეთი, უნგრეთი, ყაზახეთი), ზოგიერთ შემთხვევაში კი – ორივეს (ალბანეთი, ხორვატია).

სახელმწიფოთა დიდ ნაწილში რეფერენდუმის დანიშვნის პროცედურაში ინიციატორის სახით აქტიურად არიან ჩართულნი არა მხოლოდ ამომრჩევლები, არამედ ფედერაციის სუბიექტები (შვეიცარია) ან ავტონომიური ფორმირებები (იტალია).

რეფერენდუმის დემოკრატიული პოტენციალის სრული გახსნა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც კენჭისყრაზე გამოტანილი საკითხი გასაგებია საზოგადოებისთვის. ამ მიზნით რეფერენდუმის ჩატარებას წინ უსწრებს სააგიტაციო კამპანია, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. იმავდროულად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირება. პრაქტიკაში დამკვიდრებულია საკითხის ფორმულირების ორი ვარიანტი: პირველი ვარიანტია საკითხის მარტივი ფორმულა, რომელზედაც პოზიციის დადასტურება ხდება თანხმობის („დიახ“) ან უარყოფის („არა“) ფორმით; მეორე ვარიანტია საკითხის რთული ფორმულა, როდესაც საკითხზე პოზიციის დადასტურება ხდება ე. წ. სახალხო არჩევანის ფორმით, ანუ ამომრჩეველი სარეფერენდუმო საკითხთან დაკავშირებით შემოთავაზებული ალტერნატიული პასუხების ჯგუფიდან ირჩევს

ერთ-ერთს. რეფერენდუმის შედეგების განსაზღვრისას, როგორც წესი, არჩევნებისთვის დამახასიათებელი ტექნოლოგია მეორდება. რაც შეეხება რეფერენდუმის განხილვის საგანს, ის არ შეიძლება იყოს განუსაზღვრელი. ამიტომ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ რეფერენდუმის განხილვის საგანი არ შეიძლება უკავშირდებოდეს ამნისტიას, შეწყალებას და ზოგიერთ სხვა საკითხს.

რაც შეეხება პლებისციტს, პლებისციტად მეტწილად იწოდება მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის გასარკვევად ჩატარებული გამოკითხვა იმ ტერიტორიის პოლიტიკური ბედის თაობაზე, რომელზედაც იგი ცხოვრობს (ლათ. plebiscitum – „ის, რაც თქვა ხალხმა“). პლებისციტის პროცედურული ორგანიზება რეფერენდუმისაგან არ განსხვავდება. ორივე შემთხვევაში მათ ასამოქმედებლად ქვეყანაში არსებული საარჩევნო სამართლის ნორმები და საარჩევნო სისტემა გამოიყენება.

რეფერენდუმის/პლებისციტის მომზადების, ჩატარებისა და შედეგების დადგენის წესი საქართველოში. რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადების, ჩატარებისა და შედეგების დადგენის წესები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „რეფერენდუმის შესახებ“ და საარჩევნო კოდექსით. რეფერენდუმი შეიძლება მოეწყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული საკითხებისა და პრინციპების შესახებ.

რეფერენდუმის არ შეიძლება ჩატარება:

- კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად;
- ამნისტიის ან შეწყალების გამო;
- საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების ან დენონსირების შესახებ;
- ისეთ საკითხზე, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლების შეზღუდვას.

რეფერენდუმი მზადდება და იმართება ღიად და საჯაროდ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. რეფერენდუმი ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით. მოქალაქეები რეფერენდუმში მონაწილეობენ უშუალოდ და პირადად. რეფერენდუმის ყოველ მონაწილეს აქვს ერთი ხმა. რეფერენდუმში მონაწილეობა თავისუფალია, მოქალაქეების ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი დაუშვებელია.

რეფერენდუმის მოწყობის მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ რეფერენდუმის მომზადებისა და მოწყობისათვის საჭირო შენობების, მოწყობილობების გამოყოფასა და მომზადებას.

რეფერენდუმის მოწყობა. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის ან არანაკლებ 200 000

ამომრჩეველის მოთხოვნით დანიშნოს რეფერენდუმი მისი დანიშვნის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. რეფერენდუმს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებულებით, რომელიც საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმონერას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეფერენდუმი საქართველოს მთავრობის მოთხოვნით ინიშნება. რეფერენდუმს ამზადებს და აწყობს ცესკო. რეფერენდუმი მზადდება და იმართება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

თუ რეფერენდუმის გამართვის ინიციატივა ამომრჩეველებს ეკუთვნის, იქმნება საინიციატივო ჯგუფი (საინიციატივო ჯგუფის სიაში მითითებული უნდა იყოს მისი თითოეული წევრის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი). სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი საინიციატივო ჯგუფმა მკაფიოდ და კონკრეტულად უნდა ჩამოაყალიბოს და სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხის რეგისტრაციაში გატარების მიზნით, უნდა მიმართოს ცესკოს (სარეფერენდუმო საკითხის ფორმულირება უნდა დაზუსტდეს საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებით). სარეფერენდუმოდ შემოთავაზებული საკითხი შეიტანება ამომრჩეველთა ხელმონერების ფურცლებში.

ცესკო სარეფერენდუმოდ შემოთავაზებულ საკითხს და საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას რეგისტრაციაში ატარებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე აქვეყნებს ინფორმაციას ამის შესახებ, ასევე აქვეყნებს საინიციატივო ჯგუფის მისამართს.

რეგისტრაციის მოწმობა საინიციატივო ჯგუფს მიეცემა რეგისტრაციაში გატარების შესახებ მიმართვიდან ერთ თვეში. რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუ დარღვეულია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნები. საინიციატივო ჯგუფს შეუძლია რეგისტრაციაში გატარებაზე უარის მიღებიდან 5 დღის ვადაში გაასაჩივროს იგი შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, რომელიც 5 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან საინიციატივო ჯგუფი იწყებს ხელმონერების შეგროვებას. ხელმონერები უნდა შეგროვდეს საინიციატივო ჯგუფთან შეთანხმებული და ცესკოს დადგენილი ნიმუშის ფურცელზე. ყოველ ასეთ ფურცელზე ხელი უნდა მოაწეროს არაუმეტეს 50-მა მოქალაქემ, რომლებმაც თავად უნდა ჩაწერონ სახელი, გვარი, დაბადების წელი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, მისამართი და ხელმონერის თარიღი. აღნიშნული მონაცემებით შევსებულ ყოველ ფურცელს თავისი მისამართის მითითებით ხელს აწერს ხელმონერების შეგროვებაზე პასუხისმგებელი პირი. მისი ხელმონერა უნდა დამონმდეს სანოტარო ბიუროში.

შევსებული ხელმონერების ფურცლების საფუძველზე საინიციატივო ჯგუფი ადგენს შეჯამებულ მონაცემებს ხელმონერების შეგროვების შედეგების შესახებ და

ხელმოწერების ფურცლებთან ერთად უგზავნის ცესკოს რეგისტრაციის მოწმობის მიღების დღიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

ცესკო ამოწმებს შემოსულ მასალებს და, თუ მიიჩნევს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კანონის მოთხოვნებს⁸⁴, თავის დასკვნასა და საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

საქართველოს პრეზიდენტი რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნასთან დაკავშირებით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ ან რეფერენდუმის მოწყობის მოთხოვნაზე მოტივირებული უარის თქმის შესახებ.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის ან რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნაზე მოტივირებული უარის თქმის შესახებ ქვეყნდება მის მიერ რეფერენდუმის ჩატარების თაობაზე საქართველოს პარლამენტის/საქართველოს მთავრობის მოთხოვნის, აგრეთვე საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციაზე ცესკოს დასკვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში. საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულება საჭიროებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანახელმოწერას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეფერენდუმი საქართველოს მთავრობის მოთხოვნით ინიშნება.

რეფერენდუმის გამართვის შესახებ ბრძანებულებაში მოცემული უნდა იყოს მისი მოწყობის თარიღი და სარეფერენდუმოდ გამოტანილი საკითხის ზუსტი ფორმულირება. ეს ბრძანებულება მოსახლეობას ეცნობება ოფიციალური პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 დღისა.

რეფერენდუმის თარიღის დანიშვნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოქვეყნებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს მთავრობა იღებს დადგენილებას რეფერენდუმის მოწყობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება დაფინანსებისა და რეფერენდუმის მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

რეფერენდუმი იმართება არა უადრეს 2 თვისა და არაუგვიანეს 6 თვისა საქართველოს პრეზიდენტის მიერ რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. გამონაკლის შემთხვევაში საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია დაადგინოს რეფერენდუმის გამართვის სხვა ვადა.

⁸⁴ თუ დადგინდა, რომ მოქალაქემ 2-ჯერ ან 2-ზე მეტჯერ მოაწერა ხელი განცხადებას რეფერენდუმის მოწყობის შესახებ, მისი ყველა ხელმოწერა ბათილად ითვლება.

რეფერენდუმის მოწყობის შესახებ გადანყვეტილება შეიძლება გამოითხოვოს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს მთავრობამ, საინიციატივო ჯგუფმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ გადანყვეტილების მიღებამდე.

რეფერენდუმის გამართვა არ შეიძლება:

- საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში;
- ქვეყნის საომარ მდგომარეობაში ყოფნისას;
- მასობრივი არეულობის, სამხედრო გადატრიალების, შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს ან სხვა შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არ აქვთ კონსტიტუციური უფლებამოსილებების ნორმალურად განხორციელების შესაძლებლობა.

რეფერენდუმის მოწყობის წესი. რეფერენდუმის მომზადებასა და გამართვას უზრუნველყოფს: ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია, საოლქო სარეფერენდუმო კომისიები, საუბნო სარეფერენდუმო კომისიები.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისიისა და საოლქო სარეფერენდუმო კომისიების მოვალეობების შესრულება ეკისრებათ შესაბამისად საქართველოს ცენტრალურ და საოლქო საარჩევნო კომისიებს. საუბნო სარეფერენდუმო კომისიები იქმნება საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნისათვის დადგენილი წესით (თუ რეფერენდუმის გამართვის დღე ემთხვევა საერთო არჩევნების ჩატარების დღეს, საუბნო სარეფერენდუმო კომისიების ფუნქციები ეკისრებათ ამ არჩევნებისათვის შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიებს). სარეფერენდუმო კომისიები მუშაობას წყვეტენ რეფერენდუმის შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე.

თუ რეფერენდუმი დანიშნულია ამომრჩეველთა მოთხოვნის საფუძველზე, საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს დანიშნოს მეთვალყურე ყველა ან რომელიმე რგოლის საარჩევნო კომისიაში. კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ გაერთიანებას უფლება აქვს დანიშნოს ერთი მეთვალყურე ყველა ან რომელიმე რგოლის სარეფერენდუმო კომისიაში.

ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია რეფერენდუმის მოწყობამდე 40 დღით ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (პრესა, ტელევიზია, რადიო) აქვეყნებს იმ საოლქო სარეფერენდუმო კომისიების სიას, რომლებსაც დაევალიათ შესაბამის ტერიტორიებზე უხელმძღვანელონ რეფერენდუმის მომზადებასა და გამართვას, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიები რეფერენდუმის გამართვამდე ერთი თვით ადრე ადგილობრივ პრესაში აქვეყნებენ შესაბამის ტერიტორიაზე შექმნილ სარეფერენდუმო უბნების სიას საზღვრების, კომისიების ადგილსამყოფლისა და კენჭისყრის ადგილების მითითებით. საოლქო საარჩევნო კომისიები აუცილებლობის შემთხვევაში ცვლიან საზღვრებს სარეფერენდუმო უბნებს შორის ან ქმნიან ახალ უბნებს და საუბნო სარეფერენდუმო კომისიებს.

რეფერენდუმის მოსაწყობად გამოიყენება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად შექმნილი ამომრჩეველთა ერთიანი სია. საუბნო საარჩევნო კომისიებს მოქალაქეთა სიები საჯარო გაცნობისათვის გამოაქვთ რეფერენდუმის გამართვამდე 10 დღით ადრე.

ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს სარეფერენდუმო ბიულეტენების ფორმას, უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობით მათ დამზადებას და კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა საოლქო საარჩევნო კომისიებს გადასცემს სარეფერენდუმო ბიულეტენებს. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისია ბიულეტენებს კენჭისყრის დანყებამდე არა უგვიანეს 12 საათისა გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიებს. შესაბამისი კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი დგება 2 ცალად საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით. სარეფერენდუმო ბიულეტენი და ოქმები საჭიროების შემთხვევაში იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზეც. სარეფერენდუმო ბიულეტენში აღნიშნული უნდა იყოს მოქალაქეებისადმი მიმართული კითხვა სარეფერენდუმოდ გამოტანილ საკითხთან დაკავშირებით და ამ კითხვაზე პასუხის შესაძლო ვარიანტები: "დიახ" - "არა". რეფერენდუმის დღეს კენჭისყრა წარმოებს 8 საათიდან 20 საათამდე.

რეფერენდუმის შედეგების შეჯამება და გადაწყვეტილების ძალაში შესვლა.

კენჭისყრის შედეგების დათვლა ხდება საარჩევნო უბნების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ. საოლქო საარჩევნო კომისიები თავიანთ სხდომებზე ადგენენ რეფერენდუმის შედეგებს საუბნო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ოქმების საფუძველზე, რის შესახებაც საოლქო საარჩევნო კომისიები ადგენენ ოქმს. ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს რეფერენდუმის შედეგებს.

სარეფერენდუმო საკითხი დადებითად გადაწყვეტილად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა რეფერენდუმში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა. რეფერენდუმში მონაწილეთა ხმების რაოდენობაში არ ჩაითვლება ბათილად ცნობილი ბიულეტენებით გათვალისწინებული ხმების რაოდენობა. რეფერენდუმის დანიშნვიდან რეფერენდუმის შედეგების გამოქვეყნებამდე დაუშვებელია სარეფერენდუმო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოქვეყნების დღიდან, რეფერენდუმის შედეგებს აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ვალდებულია, რეფერენდუმის შედეგიდან გამომდინარე, 1 თვეში შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა აქტები. რეფერენდუმის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ რეფერენდუმით. რეფერენდუმის შედეგების ბათილად ცნობის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

პლებისციტის დანიშვნა და მისი ჩატარების წესი. პლებისციტი არის კენჭისყრით საერთო - სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად.

პლებისციტს ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. პლებისციტის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა. პლებისციტის მომზადებას, ჩატარებას და მისი შედეგების დადგენას უზრუნველყოფს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია საქართველოს ორგანული კანონით „რეფერენდუმის შესახებ“ და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად.

დანართი N1

პრეზიდენტის არჩევნები – პრაქტიკული მაგალითები

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი. ბრაზილია ე. წ. სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. მის პრეზიდენტს უაღრესად ფართო უფლებამოსილებები აქვს.

პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტი აირჩევა 4 წლის ვადით, პირდაპირი არჩევნებით. ამასთანავე, ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის წინა წლის ოქტომბრის პირველ კვირა დღეს (პირველი ტური), ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ოქტომბრის ბოლო კვირა დღეს (მეორე ტური). არჩეულად ითვლება პოლიტიკური პარტიის მიერ წარდგენილი ის კანდიდატი, რომელმაც მოიპოვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ბათილი და შეუვსებელი ბიულეტენების გარეშე.

არჩევნების მეორე ტური. თუ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-20 დღისა ტარდება მეორე ტური. მასში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.

თუ მეორე ტურის ჩატარებისას კანდიდატი გარდაიცვალა, მოხსნა საკუთარი კანდიდატურა ან სამართლებრივი წინააღმდეგობები წარმოიქმნა, მეორე ტურში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დარჩენილ კანდიდატთა შორის ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ რამდენიმე კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, მეორე ტურში მონაწილეობს მათ შორის უხუცესი.

პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ათვლა იწყება არჩევნების მომდევნო წლის 1 იანვარს.

პრეზიდენტის არჩევა გულისხმობს მასთან ერთად დარეგისტრირებული ვიცე-პრეზიდენტის არჩევას. ამდენად, თუ პრეზიდენტს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება, პრეზიდენტის ადგილს ვიცე-პრეზიდენტი იკავებს, რაც გამორიცხავს ე. წ. შუალედური არჩევნების დანიშვნის აუცილებლობას.

ე. წ. შუალედური არჩევნები ინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ერთდროულად შეუწყდათ უფლებამოსილება. არჩევნები ტარდება ბოლო ვაკანსიის წარმოშობიდან 90 დღის ვადაში. არჩეული პრეზიდენტი ასრულებს წინამორბედის უფლებამოსილების ვადას.

ლიეტუვის რესპუბლიკა

ლიეტუვის რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. ის წარმოადგენს ლიეტუვის რესპუბლიკას და ასრულებს პრეზიდენტისათვის კონსტიტუციითა და კანონებით განსაზღვრულ ყველა ვალდებულებას.

პრეზიდენტი არ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, რაც, ზოგადად, საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელის ნიშან-თვისებაა, მაგრამ მას საკმაოდ ფართო უფლებამოსილებები აქვს და იგი აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით ფართოა პრეზიდენტის უფლებამოსილება აღმასრულებელი ხელისუფლების — მთავრობის ჩამოყალიბების პროცესში. მას ფართო უფლებამოსილება ენიჭება საგარეო პოლიტიკის სფეროშიც, ვინაიდან პრეზიდენტი წყვეტს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს და მთავრობასთან ერთად ახორციელებს საგარეო პოლიტიკას.

პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს დაბადებით ლიეტუვის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 40 წლის ასაკს (ასაკობრივი ცენზი) და რომელიც ლიტვაში ცხოვრობს უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (ბინადრობის ცენზი) და შეიძლება არჩეულ იქნეს სეიმის (საკანონმდებლო ხელისუფლება) წევრად.

პრეზიდენტს ირჩევენ ლიეტუვის რესპუბლიკის მოქალაქეები 5 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს და მან უნდა წარადგინოს არანაკლებ 20 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერები. პრეზიდენტის თანამდებობაზე ასარჩევ კანდიდატთა რაოდენობა შებლუდული არ არის.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 2 თვით ადრე, ბოლო კვირა დღეს.

პრეზიდენტის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს. ამასთან, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ნახევრისა.

არჩევნების მეორე ტური. თუ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის შემდეგ ტარდება მეორე ტური საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს შორის. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს.

განმეორებითი არჩევნები. თუ პირველ ტურში მონაწილეობა მიიღო ორმა კანდიდატმა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება განმეორებითი არჩევნები.

პრეზიდენტის ფიცი. არჩეული პრეზიდენტი ხალხის წინაშე დებს ფიცს, რომ იქნება ლიეტუვის რესპუბლიკისა და კონსტიტუციის ერთგული, კეთილსინდისიერად შეასრულებს თავის მოვალეობებს და ყველას მიმართ ერთნაირად სამართლიანი იქნება.

პრეზიდენტის თანამდებობიდან ვადამდე გადაყენება შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციის ან ფიცის უხეშო დარღვევის, აგრეთვე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს წყვეტს სეიმი იმპიჩმენტის პროცედურით.

ლატვიის რესპუბლიკა

ლატვია საპარლამენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. მას ირჩევს პარლამენტი (სეიმი) ფარული კენჭისყრით, არანაკლებ 51 წევრის ხმათა უმრავლესობით, 4 წლის ვადით. პრეზიდენტი წარმოადგენს ქვეყანას საერთაშორისო ურთიერთობებში, არის ლატვიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. არ შეიძლება ერთსა და იმავე პირს ეკავოს პრეზიდენტის თანამდებობა ზედიზედ 8 წელზე მეტი ხნით.

პრეზიდენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტს აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, შენყალების, აგრეთვე სეიმის დათხოვნის უფლება, თუმცა სეიმის დათხოვნის შემდეგ ტარდება რეფერენდუმი და, თუ რეფერენდუმში მონაწილეობა ნახევარზე მეტი მისი დათხოვნის წინააღმდეგია, მაშინ პრეზიდენტი

თანამდებობიდან გადაყენებულად ითვლება და სეიმი მისი უფლებამოსილების ვადით ირჩევს ახალ პრეზიდენტს. პრეზიდენტს დამოუკიდებლად არ აქვს ვეტოს უფლება (ინიციატივა სეიმის თავმჯდომარისგან უნდა მომდინარეობდეს).

პრეზიდენტის ყველა აქტს იმავდროულად ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი მინისტრი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 40 წლის ასაკს მიღწეული, ლატვიის მოქალაქის ყველა უფლებიანი ალჟურვილი პირი (პრეზიდენტად არ შეიძლება აირჩეს ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი). პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან (მათ შორის, სეიმის წევრობასთან).

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების - იმპიჩმენტის აღძვრის უფლება აქვს სეიმის წევრთა არანაკლებ ნახევარს, ხოლო გადანაცვტილება მიიღება სეიმის სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ით. სეიმის წევრთა იმავე რაოდენობის თანხმობით პრეზიდენტი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნეს მიცემული. პრეზიდენტის გადადგომის, გარდაცვალების ან თანამდებობიდან გადაყენების შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სეიმის თავმჯდომარე.

პოლონეთის რესპუბლიკა

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტი არის პოლონეთის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი და სახელმწიფო ხელისუფლების ურღვევობის გარანტი. იგი ხელს უწყობს კონსტიტუციის დაცვას, დგას ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვის, აგრეთვე მისი ტერიტორიის ურღვევობისა და განუყოფლობის სადარაჯოზე.

პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტს ირჩევს ხალხი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით. პრეზიდენტის არჩევნებს ნიშნავს სეიმის მარშალი (თავმჯდომარე) მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არანაკლებ 100 და არაუმეტეს 75 დღისა, ხოლო პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში – მისი თანამდებობიდან გათავისუფლების დღიდან არაუმეტეს 14 დღისა, არასამუშაო დღეს, არჩევნების დანიშვნის დღიდან 60 დღის ვადაში.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 35 წლის ასაკს (ასაკობრივი ცენზი) და რომელიც სრულად სარგებლობს სეიმის (საკანონმდებლო ხელისუფლება) არჩევნებში საარჩევნო უფლებით. კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს სეიმის არჩევნებში აქტიური საარჩევნო უფლების მქონე არანაკლებ 100 000 მოქალაქეს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც ნამდვილი ხმების არანაკლებ ნახევარს მიიღებს (50%+1 ხმა). თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, პირველი კენჭისყრიდან მე-14 დღეს ტარდება მეორე ტური. მეორე ტურში მონაწილეობს ის ორ კანდიდატი,

რომელმაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მიიღო. თუ ამ ორი კანდიდატიდან ერთ-ერთმა უარი თქვა კენჭისყრაზე, დაკარგა საარჩევნო უფლება ან გარდაიცვალა, მის ადგილს დაიკავებს პირველ ტურში მოპოვებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატი. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს. პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობას ამტკიცებს უზენაესი სასამართლო. ამომრჩეველს უფლება აქვს, პრეზიდენტის არჩევნების ნამდვილობის წინააღმდეგ საჩივრით მიმართოს უზენაეს სასამართლოს. პრეზიდენტის არჩევნების ბათილად ცნობის შემთხვევაში პრეზიდენტის თანამდებობიდან გათავისუფლების შედეგ დადგენილ ვადებში (იხ. ზემოთ) ტარდება ხელახალი არჩევნები.

პრეზიდენტის ფიცი. პრეზიდენტი თანამდებობას იკავებს ფიცის დადებით: „ვიკავებ რა ერის ნებით პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობას, საზეიმოდ ვფიცავ, რომ დავიცავ კონსტიტუციის დებულებებს, ურყევად დავიცავ ერის პატივს, სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და უსაფრთხოებას, ხოლო მამულისა და მოქალაქეთა კეთილდღეობა ჩემთვის ყოველთვის უზენაესი ვალდებულება იქნება“.

ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა.

პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური. მას ირჩევს პარლამენტი პალატების ერთობლივ სხდომაზე, 5 წლის ვადით. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 10 დეპუტატს და არანაკლებ 10 სენატორს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელსაც მხარი დაუჭირა დეპუტატთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა და სენატორთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატს შორის იმართება მეორე ტური, ხოლო თუ საჭირო გახდება, იმართება მესამე ტური. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა დამსწრე დეპუტატთა და სენატორთა ნახევარზე მეტმა.

თუ პრეზიდენტი ვერც მესამე ტურში აირჩა, ტარდება ხელახალი არჩევნები. პრეზიდენტი ფიცს დებს პალატების ერთობლივ სხდომაზე.

პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 40 წლის ასაკს მიღწეული ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქე. დაბადებით ჩეხეთის მოქალაქეობა სავალდებულო არ არის. არ შეიძლება ერთი და იმავე პირის პრეზიდენტის თანამდებობაზე ზედიზედ 2-ზე მეტჯერ არჩევა.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 30 დღეში. პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ახალი პრეზიდენტის არჩევნები იმართება 30 დღეში.

პრეზიდენტის უფლებამოსილება. პრეზიდენტი არის ჩეხეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს არჩევნებს, წყვეტს დეპუტატთა პალატის დათხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებს. პრეზიდენტს შეუძლია დანიშნოს და გაათავისუფლოს მთავრობის წევრები, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები.

პრეზიდენტი ფართო იმუნიტეტით სარგებლობს – არ შეიძლება მისი დაკავება, სისხლის-სამართლებრივი დევნა, აგრეთვე გადაცდომის ან სხვა ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევისთვის დევნა.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს ვაშინგტონში (თეთრი სახლი).

პრეზიდენტი არის სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური. იგი აირჩევა 4 წლის ვადით, არაპირდაპირი არჩევნებით. პრეზიდენტი არის აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი თანამდებობის პირი (მთავარსარდალი). პასიური საარჩევნო უფლება. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 35 წლის ასაკს მიღწეული, დაბადებით (და არა ნატურალიზაციით) აშშ-ის მოქალაქე, რომელსაც აშშ-ში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 14 წლის განმავლობაში. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს მხოლოდ ორჯერ. პრეზიდენტობის კანდიდატი სახელდება ეროვნულ პარტიულ ყრილობაზე (იმავე დროს შეირჩევა ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი).

პირველადი არჩევნები, ანუ პრაიმერიზი, ტარდება 36 შტატში, კოლუმბიის ფედერალურ ოლქსა და პუერტო-რიკოში.

პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის ასარჩევად შტატები კოლუმბიის ფედერალურ ოლქთან ერთად მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებია. პრეზიდენტს (ვიცე-პრეზიდენტს) ხმა უნდა მისცეს კვალიფიციურმა უმრავლესობამ. არჩევნები ჩატარებულად ითვლება ნებისმიერი რაოდენობის ამომრჩევლის მონაწილეობისა და ხმათა დადგენილი ნორმაც აქედან ითვლება.

პრეზიდენტის არჩევნები ტარდება არაპირდაპირი საარჩევნო სისტემით. ამომრჩევლები ხმას აძლევენ დელეგატებს (პრეზიდენტის ამომრჩევლებს) შტატებში. მთელ ქვეყანაში აირჩევა 538 დელეგატი. ყოველი შტატიდან აირჩევა იმდენი დელეგატი, რამდენი წარმომადგენელიც ჰყავს ამ შტატს კონგრესში (კოლუმბიის ფედერალურ ოლქში ასეთი პირი სამია). შემდეგ ეს დელეგატები ხმას აძლევენ პრეზიდენტობის კანდიდატს. გამარჯვებულად ითვლება ის

კანდიდატი, რომელმაც დელეგატების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 270 ან მეტი ხმა, მიიღო.

იმ შემთხვევაში, თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, საუკეთესო შედეგის მქონე სამი კანდიდატიდან წარმომადგენელთა პალატა ერთ-ერთს (პარლამენტი – კონგრესი: სენატი და წარმომადგენელთა პალატა) ირჩევს პრეზიდენტად (ამ შემთხვევაში თითოეული შტატის დეპუტაციას აქვს ერთი ხმა), ხოლო სენატი – ვიცე-პრეზიდენტად.

პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების ვადა კონსტიტუციაში პირდაპირ არ არის მითითებული. არჩევნები რეგულარულად ტარდება.

პრეზიდენტის ფიცი. ახალი პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში უფლებამოსილების გადასვლისათვის ძველიდან ახალზე საჭიროა 3 თვის ვადა, ანუ ნოემბერში არჩეული პრეზიდენტი ფიცს დებს იანვარში.

პრეზიდენტის უფლებამოსილების სრულად განხორციელებას კონგრესში უმრავლესობის არსებობა განაპირობებს.

პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება. კონგრესს უფლება აქვს, თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით, სახელმწიფოს ღალატისთვის, მექრთამეობისთვის და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულისთვის. პრეზიდენტის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე სენატორთა 2/3-ის თანხმობით. პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება ერთადერთი სანქციაა. გადადგომის, გარდაცვალების ან უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის სხვა შემთხვევაში პრეზიდენტს ვიცე-პრეზიდენტი ენაცვლება.

იტალიის რესპუბლიკა

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური და ერის ერთიანობის სიმბოლო. ის ასრულებს ბევრ ისეთ მოვალეობას, რომლებიც წინათ მეფეს ჰქონდა დაკისრებული. პრეზიდენტი ხელისუფლების სამი შტოს დამაკავშირებელია: აირჩევა კანონმდებლების მიერ, ნიშნავს აღმასრულებელ ხელისუფლებას და მეთაურობს სასამართლო სისტემას. პრეზიდენტი იტალიის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა.

პრეზიდენტის რეზიდენცია მდებარეობს რომში (კვირინალის სასახლე). გადადგომის შემდეგ პრეზიდენტი იღებს მუდმივი სენატორის თანამდებობას.

პრეზიდენტის არჩევნები. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს 50 წლის ასაკს მიღწეული მოქალაქე, რომელიც სარგებლობს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით. პრეზიდენტის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან.

პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტისა და რეგიონების დელეგატთა ერთობლივი სხდომა (სესია) (თითოეულ რეგიონს ჰყავს სამი წარმომადგენელი, გამონაკლისია ვალე დ'ალსტა, რომელსაც მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ჰყავს). პრეზიდენტის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით კრების წევრთა 2/3-ს უმრავლესობით. პირველივე კენჭისყრით იტალიის რესპუბლიკის მხოლოდ ორი პრეზიდენტი იქნა არჩეული, ესენი იყვნენ ფრანჩესკო კოსიგა და კარლო აძელიო ჩამპი. არცერთი პრეზიდენტი ზედიზედ ორჯერ არ არჩეულა, მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონით აკრძალული არ არის.

პრეზიდენტი 7 წლით აირჩევა. ამ ვადის გასვლამდე 30 დღით ადრე დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე იწვევს პარლამენტისა და რეგიონების დელეგატებს ერთობლივ სხდომაზე (სესია) ახალი პრეზიდენტის ასარჩევად.

რიგგარეშე არჩევნები. პრეზიდენტის მუდმივი ქმედუნარობის, გარდაცვალების ან გადადგომის შემთხვევაში დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე 15 დღის ვადაში ნიშნავს ახალი პრეზიდენტის არჩევნებს.

დანართი N2

პარლამენტის არჩევნები – პრაქტიკული მაგალითები

ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა

საკანონმდებლო ხელისუფლება. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ეროვნული კონგრესი, რომელიც შედგება დეპუტატთა პალატისა და ფედერალური სენატისაგან.

დეპუტატთა პალატა შედგება ხალხის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც აირჩევიან თითოეულ შტატში, ტერიტორიაზე და ფედერალურ ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემით.

დეპუტატთა რაოდენობა, ისევე როგორც შტატებისა და ფედერალური ოლქის წარმომადგენლობა განისაზღვრება დამატებითი კანონით, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ამასთან ფედერაციის არცერთ ერთეულს არ უნდა ჰყავდეს 8-ზე ნაკლები და 70-ზე მეტი წარმომადგენელი (2007 წლის მონაცემებით დეპუტატთა პალატის შემადგენლობაში იყო 513 წევრი).

ფედერაციული სენატი აირჩევა შტატისა და ფედერალური ოლქის წარმომადგენლებისგან ხმათა უმრავლესობით. ყოველი შტატი და ფედერალური ოლქი ირჩევს 3-3 სენატორს 8 წლის ვადით. ყოველი სენატორი აირჩევა 2 შემცვლელით. თითოეული შტატის წარმომადგენელთა განახლება ხორციელდება მორიგეობით ყოველ ოთხ წელიწადში 1/3-ით და 2/3-ით.

პასიური საარჩევნო უფლება. დეპუტატად/სენატორად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე ბრაზილიის მოქალაქე (21 წლის ასაკიდან, ხოლო სენატორად - საარჩევნო უფლების მქონე ბრაზილიის მოქალაქე 35 წლის

ასაკიდან), რომელიც ცხოვრობს შესაბამის ოლქში, რეგისტრირებულია ამომრჩეველთა სიაში და არის რომელიმე პარტიის წევრი. ამასთან, არ შეიძლება დეპუტატად არჩეულ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარი და საარჩევნო სიაში არ მყოფი პირი. დეპუტატები და სენატორები სარგებლობენ ხელშეუხებლობით.

ლიეტუვის რესპუბლიკა

საკანონმდებლო ხელისუფლება. ლიეტუვის რესპუბლიკის პარლამენტი ერთპალატიანია (სეიმი). 141 დეპუტატიდან 71 აირჩევა ერთმანდატიანი ოლქებიდან, მაჟორიტარული სისტემით, 70 კი – პროპორციული სიით, 5%-იანი ბარიერის გადალახვის შედეგად.

არჩევნები და უფლებამოსილების ვადა. სეიმის წევრები – ხალხის წარმომადგენლები – აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით.

სეიმის წევრად შეიძლება აირჩეს ლიეტუვის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელიც ფიციტ ან სხვა ვალდებულებით არ არის დაკავშირებული უცხო სახელმწიფოსთან, არის 25 წლის (ასაკობრივი ცენზი) და მუდმივად ცხოვრობს ლიტვაში (ბინადრობის ცენზი).

სეიმის წევრად არ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც არა აქვს მოხდილი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი, აგრეთვე სასამართლოს მიერ ქმედუვნაროდ აღიარებული პირი.

სეიმის მორიგი არჩევნები ტარდება სეიმის წევრთა უფლებამოსილების ვადის ამოწურვის წლის ოქტომბრის მეორე კვირა დღეს.

სეიმის ვადამდელი არჩევნები შეიძლება ჩატარდეს სეიმის წევრების არანაკლებ 3/5-ის ხმათა უმრავლესობით მიღებული დადგენილების საფუძველზე.

სეიმის ვადამდელი არჩევნები შეიძლება რესპუბლიკის პრეზიდენტმაც გამოაცხადოს:

1. თუ მთავრობის ახალი პროგრამის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში სეიმი არ დაამტკიცებს მთავრობის პროგრამას ან 60 დღის განმავლობაში ორჯერ იტყვის უარს მისი დამტკიცების თაობაზე;
2. მთავრობის წინადადებით, თუ სეიმი უშუალოდ უცხადებს მთავრობას უნდობლობას.

ლიეტუვის რესპუბლიკის პრეზიდენტს არ შეუძლია გამოაცხადოს სეიმის ვადამდელ არჩევნებს, თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 6 თვეა დარჩენილი, აგრეთვე თუ სეიმის ვადამდელი არჩევნებიდან არ გასულა 6 თვე.

სეიმის ვადამდელი არჩევნების შესახებ სეიმის დადგენილებაში ან ლიეტუვის რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებაში მიეთითება ხელახალი არჩევნების დღე. სეიმის ხელახალი არჩევნები ტარდება არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

სეიმის წევრთა უფლებამოსილების ვადა იწყება ახალარჩეული სეიმის პირველი სხდომის დღიდან. ამ სხდომის გახსნისას იწერება წინა მოწვევის სეიმის წევრთა უფლებამოსილების ვადა.

სეიმის არჩეული წევრი ხალხის წარმომადგენლის ყველა უფლებას მხოლოდ სეიმში ლიეტუვის რესპუბლიკისადმი ერთგულების ფიცის დადების შემდეგ იძენს. სეიმის წევრი, რომელმაც არ დადო ფიცი კანონის შესაბამისად ან ფიცი პირობითად დადო, კარგავს სეიმის წევრის მანდატს. ამასთან დაკავშირებით სეიმი იღებს დადგენილებას.

სეიმის წევრი თავისი მოვალეობების შესრულების დროს ხელმძღვანელობს ლიეტუვის რესპუბლიკის კონსტიტუციით, სახელმწიფო ინტერესებით, საკუთარი სინდისით და დაუშვებელია მისი მანდატით შეზღუდვა.

ლატვიის რესპუბლიკა

ლატვია საპარლამენტო რესპუბლიკაა. პარლამენტის (სეიმი) რეზიდენცია მდებარეობს რიგაში.

სეიმი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. იგი შედგება 100 წევრისაგან – ხალხის წარმომადგენლებისაგან. სეიმი აირჩევა 4 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით, პროპორციული წარმომადგენლობის საფუძველზე.

სეიმის მორიგი არჩევნები ტარდება ოქტომბრის პირველ შაბათს.

ოლქები და სეიმის დაკომპლექტება. სეიმის არჩევნების დროს ქვეყანა იყოფა ოლქებად. ოლქიდან ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა თითოეული ოლქის ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად განისაზღვრება. სეიმის წევრი მანდატს ფიცის საჯაროდ დადების შემთხვევაში მიიღებს. სეიმი თვითონ ამოწმებს თავის წევრთა უფლებამოსილებას. ამომრჩეველებს არ შეუძლიათ სეიმის წევრთა გამონწევა (აღიარებულია თავისუფალი მანდატი).

სეიმი ირჩევს პრეზიდენტს, რომელიც ფუნქციონირებს მუდმივად, სეიმის უფლებამოსილების მთელი ვადით. სეიმი ქმნის კომიტეტებს. მას შეუძლია შექმნას საგამოძიებო კომიტეტიც (სეიმის წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით).

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ლატვიის მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, ხოლო პასიური – 21 წლის ასაკიდან (ასაკობრივი ცენზი).

უფლებამოსილება. სეიმის სხდომა საჯაროა. სეიმი ადგენს საკუთარ რეგლამენტს, ირჩევს პრეზიდენტს, აცალიბებს მთავრობას, ნიშნავს მოსამართლეებს და საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს, ამტკიცებს ბიუჯეტს, აცხადებს ამნისტიას. სეიმი პრემიერ-მინისტრსა და მინისტრებს წარუდგენს კითხვებს და შეუძლია მათ მოსთხოვოს დოკუმენტაცია. სეიმის სხდომა იმართება, თუ მასში მონაწილეობს სეიმის დამსწრე წევრთა არანაკლებ ნახევარი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა აბსოლუტური უმრავლესობით.

სეიმის წევრი სარგებლობს ფართო იმუნიტეტით. სეიმის უფლებამოსილების ვადა იწურება ახალარჩეული სეიმის პირველი შეკრებისას (ნოემბრის პირველი სამშაბათი).

პოლონეთის რესპუბლიკა

საკანონმდებლო ხელისუფლება. პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან – ქვედა პალატა სეიმი და ზედა პალატა სენატი. სენატის შემადგენლობაშია მავორიტარული სისტემით არჩეული 100 წევრი, ხოლო სეიმის – პროპორციული სისტემით არჩეული 460 დეპუტატი.

არჩევნები და უფლებამოსილების ვადა. სეიმის არჩევნები საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და პროპორციულია. არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით. დეპუტატები აირჩევიან დ'ჰონტის მეთოდის გამოყენებით. სეიმის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 21 წლის ასაკს (ასაკობრივი ცენზი). არჩეულად ითვლებიან იმ პარტიათა კანდიდატები, რომლებმაც ამომრჩეველთა ხმების 5% მიიღეს. პარტიული კოალიციის შემთხვევაში პროცენტული ბარიერი 8%-ია. ყოველი საარჩევნო ოლქიდან 7–19 დეპუტატი აირჩევა.

სენატის არჩევნები ტარდება საყოველთაო, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. სენატის არჩევნებისას პოლონეთი იყოფა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებად. სენატორთა რაოდენობა ამომრჩეველთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. სენატის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 30 წლის ასაკს (ასაკობრივი ცენზი).

სეიმი და სენატი აირჩევიან 4 წლის ვადით. სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადა იწყება სეიმის პირველი სხდომის დღეს და გრძელდება მომდევნო მოწვევის სეიმის შეკრების წინა დღემდე.

დეპუტატთა და სენატორთა კანდიდატურები შეიძლება დაასახელონ პოლიტიკურმა პარტიებმა, აგრეთვე ამომრჩევლებმა.

ერთდროულად სეიმსა და სენატში კენჭისყრა დაუშვებელია. სეიმისა და სენატის არჩევნების ნამდვილობას ამტკიცებს უზენაესი სასამართლო. ამომრჩევლებს

უფლება აქვთ კანონით განსაზღვრული პრინციპების თანახმად მიმართონ უზენაეს სასამართლოს არჩევნების ნამდვილობის წინააღმდეგ საჩივრით.

სეიმისა და სენატის არჩევნებს ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმისა და სენატის უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან 4 წლის გასვლამდე არაუგვიანეს 90 დღისა.

სეიმს შეუძლია თავისი უფლებამოსილება შეწყვიტოს დეპუტატების არანაკლებ 2/3-ის ხმათა უმრავლესობით მიღებული დადგენილებით. სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტა იმავდროულად ნიშნავს სენატის უფლებამოსილების შეწყვეტას.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს სეიმისა და სენატის მარშლების (თავმჯდომარეების) ამრის მოსმენის შემდეგ, კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, შეუძლია გამოსცეს ბრძანება სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ბრძანებით იმავდროულად ბრძანებს სეიმისა და სენატის არჩევნების ჩატარებას და ნიშნავს არჩევნების თარიღს სეიმის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან არაუგვიანეს 45 დღისა. პრეზიდენტი არჩევნების ჩატარებიდან არაუგვიანეს 15 დღისა იწვევს ახალარჩეული სეიმის პირველ სხდომას.

ჩეხეთის რესპუბლიკა

ჩეხეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა.

პარლამენტი ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას. ის შედგება ორი პალატისაგან – სენატისაგან (ზედა პალატა) და დეპუტატთა პალატისაგან (ქვედა პალატა).

დეპუტატთა პალატის შემადგენლობაშია ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპის შესაბამისად, 4 წლის ვადით არჩეული 200 დეპუტატი, ხოლო სენატის – ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, მაჟორიტარული სისტემით, 6 წლის ვადით არჩეული 81 სენატორი (ყოველ 2 წელიწადში ხდება სენატორთა 1/3-ის განახლება).

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს ჩეხეთის რესპუბლიკის მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან, ხოლო პასიური – დეპუტატთა პალატაში – ჩეხეთის მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, სენატში კი – 40 წლის ასაკიდან. არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ერთდროულად ორივე პალატის წევრი იყოს.

მორიგი არჩევნები ტარდება თითოეული პალატის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 30-ე დღიდან უფლებამოსილების ვადის გასვლამდე პერიოდში.

დეპუტატები და სენატორები დებენ ფიცს შესაბამისი პალატის პირველი შეკრებისთანავე. პარლამენტის წევრის მანდატი თავისუფალია. დეპუტატები, სენატორები სარგებლობს იმუნიტეტით.

დეპუტატთა პალატა და სენატი თვითონ ირჩევენ და გამოიწვევენ შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს.

ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეუძლია დაითხოვოს მხოლოდ დეპუტატთა პალატა. ეს ხდება კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში (არ შეიძლება ქვედა პალატის დათხოვნა მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 3 თვის განმავლობაში). დეპუტატთა პალატის დათხოვნის შემთხვევაში არჩევნები ტარდება მისი დათხოვნიდან 60 დღის ვადაში. ამ პერიოდში, რათა არ მოხდეს საკანონმდებლო პროცესის სრული შეჩერება, საკანონმდებლო უფლებამოსილება გადაეცემა სენატს, იმ საკითხებზე, რომელთა დაყოვნებაც შეუძლებელია.

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ საპრეზიდენტო რესპუბლიკაა. აშშ-ში მოქმედებს ორპალატიანი პარლამენტი – კონგრესი, რომელიც შედგება სენატისაგან (ზედა პალატა) და წარმომადგენელთა პალატისაგან (ქვედა პალატა). ისინი აირჩევიან საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით.

კონსტიტუციის თანახმად, კონგრესს უფლება აქვს, განკარგოს აშშ ტერიტორიები (მათ შორის, აღმოსავლეთის სამოა, ვირჯინის, მარშალის, მარიანას და კაროლინის კუნძულები).

კონგრესი ქმნის კომიტეტებს, რომლებსაც ფართო საგამოძიებო უფლებამოსილება აქვთ.

წარმომადგენელთა პალატა. შედგება 435 დეპუტატისაგან, რომლებიც აირჩევიან 2 წლის ვადით. პასიური საარჩევნო უფლება. დეპუტატად შეიძლება აირჩეს 25 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არანაკლებ 7 წლის განმავლობაში აშშ-ის მოქალაქეა და ცხოვრობს იმ შტატში, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი (დეპუტატთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობაზე დამოკიდებული – 530 000 მოსახლეზე 1 დეპუტატი მოდის). წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარეა სპიკერი.

სენატი. შედგება 100 სენატორისაგან. ყოველი შტატი ირჩევს 2-2 სენატორს 6 წლის ვადით (ყოველ 2 წელიწადში ხდება სენატორთა 1/3-ის განახლება).

პასიური საარჩევნო უფლება. სენატორად შეიძლება აირჩეს 30 წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც არანაკლებ 9 წლის განმავლობაში აშშ-ის მოქალაქეა და ცხოვრობს იმ შტატში, სადაც მდებარეობს მისი საარჩევნო ოლქი. სენატს აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ხელმძღვანელობს.

საარჩევნო ოლქები. წარმომადგენელთა პალატის არჩევისას ერთმანდატიანია, ხოლო სენატის არჩევისას – ორმანდატიანი.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს 18 წლის ასაკს მიღწეულ აშშ-ის მოქალაქეს, რომელიც შესაბამის საარჩევნო ოლქში ცხოვრობს არანაკლებ 20–30 დღის განმავლობაში და რომელსაც შეზღუდული არ აქვს ქმედუნარიანობა.

კანდიდატის დასახელების ფორმა. კანდიდატის დასახელების ყველაზე გავრცელებულ ფორმად აშშ-ში პირველადი არჩევნები ანუ ე.წ. პრაიმერიზმის ითვლება, როდესაც ამომრჩეველი ხმას აძლევს კანდიდატს კანდიდატობისთვის, რომ შემდეგ ის გახდეს დეპუტატობის კანდიდატი და მისი გვარი შეიტანონ საარჩევნო ბიულეტენში.

კონგრესის უფლებამოსილება. კონგრესს ეკუთვნის მთელი საკანონმდებლო უფლებამოსილება. დეპუტატები და სენატორები სარგებლობენ თავისუფალი მანდატით და მათი გამონკვევა დაუშვებელია. ისინი სარგებლობენ შეზღუდული იმუნიტეტით (დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მათი დაკავება და დაპატიმრება ხდება საერთო საფუძველზე).

კონგრესის წევრებს ფიცის დადებადღე უფლება არა აქვთ, შეუდგენენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. კონგრესის წევრთა 1/3-ის მანდატების მოქმედების ვადა აითვლება კონგრესის ახალი შემადგენლობის მოწვევის დღიდან. კონგრესი მუშაობას იწყებს არჩევნების ჩატარების მომდევნო წლის 3 იანვარს.

ხელახალი არჩევნები. კონგრესის წევრის მანდატის მოქმედების ვადამდე შეწყვეტა ხდება მისი გარდაცვალების, გადადგომის ან შესაბამისი პალატიდან გარიცხვის შემთხვევაში (ამისთვის საჭიროა პალატის წევრთა 2/3-ის თანხმობა). წარმომადგენელთა პალატაში ვაკანსიის არსებობისას ტარდება ხელახალი არჩევნები, ხოლო სენატში ვაკანტურ ადგილზე სენატორს ნიშნავს შტატის გუბერნატორი.

იტალიის რესპუბლიკა

საკანონმდებლო ხელისუფლება. იტალიის პარლამენტი არის ორპალატიანი, შედგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან.

არჩევნები და უფლებამოსილების ვადა. პალატების არჩევნები ტარდება წინა მოწვევის პალატების უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 70 დღეში. პალატების პირველი სხდომები იმართება არჩევნებიდან არაუგვიანეს 20 დღის ვადაში.

ქვედა პალატა - დეპუტატთა პალატა აირჩევა საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით. 630 დეპუტატიდან 475 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, 155 – რეგიონული პროპორციული წარმომადგენლობით, ხოლო 20 – საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქში. დეპუტატად შეიძლება აირჩეს იტალიის რესპუბლიკის მოქალაქე, რომელმაც არჩევნების დღეს მიაღწია 25 წლის ასაკს (ასაკობრივი ცენზი).

საარჩევნო ოლქებს შორის ადგილები, გარდა საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქისთვის განკუთვნილი ადგილებისა, ნაწილდება მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგად განსაზღვრული რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის 608-ზე გაყოფით, ყოველი ოლქის მოსახლეობაზე, შიდა საარჩევნო კოეფიციენტისა და უმეტესი ნაშთის წესის საფუძველზე.

ზედა პალატა - სენატი აირჩევა საყოველთაო და პირდაპირი კენჭისყრით, 21 წლის ასაკს მიღწეული ამომრჩევლის მიერ. სენატორად შეიძლება აირჩეს 40 წლის ასაკს მიღწეული პირი (ასაკობრივი ცენზი).

სენატორები აირჩევიან რეგიონების მიხედვით, გარდა საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქისთვის განკუთვნილი ადგილებისა. 315 სენატორიდან 232 აირჩევა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, 83 – რეგიონული პროპორციული წარმომადგენლობით, ხოლო 6 – საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქში. როგორც წესი, რეგიონს არ შეიძლება ჰყავდეს 7 სენატორზე ნაკლები. თუმცა მოლიზეს რეგიონი ირჩევს 2 სენატორს, ხოლო ვალე დ'აოსტა – 1 სენატორს.

რეგიონებს შორის ადგილები, გარდა საზღვარგარეთის საარჩევნო ოლქისთვის განკუთვნილი ადგილებისა, ნაწილდება მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგად განსაზღვრული რესპუბლიკის მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად, შიდა საარჩევნო კოეფიციენტისა და უმეტესი ნაშთის წესის საფუძველზე.

იტალიის რესპუბლიკის ყველა ყოფილი პრეზიდენტი საკუთარი უფლებით და სიცოცხლის ვადით არის სენატორი, თუ თვითონ არ იტყვის ამაზე უარს. ასევე შესაძლებელია, პრეზიდენტმა სიცოცხლის ვადით სენატორად დანიშნოს 5 მოქალაქე, რომელთაც სამშობლოს სახელი გაუთქვეს გამორჩეული მიღწევებით სოციალურ, სამეცნიერო, შემოქმედებით თუ ლიტერატურულ სფეროში.

დეპუტატთა პალატა და სენატი აირჩევიან 5 წლის ვადით. თითოეული პალატის უფლებამოსილება შეიძლება გაგრძელდეს მხოლოდ კანონის საფუძველზე და მხოლოდ ომის შემთხვევაში. არ შეიძლება ერთი და იგივე პირი ერთდროულად იყოს ორივე პალატის წევრი. პარლამენტის წევრი არის ხალხის წარმომადგენელი და თავის ფუნქციებს ასრულებს იმპერატიული მანდატის გარეშე.

**ქვეყნები, სადაც დიდ ქალაქებში მერები პირდაპირი
არჩევნების გზით აირჩევიან, – პრაქტიკული მაგალითები**

ბულგარეთის რესპუბლიკა

პროცედურა. მერის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ლეგიტიმური ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

მეორე ტური. თუ პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, იმართება მეორე ტური პირველი ტურის ჩატარებიდან 7 დღის ვადაში, უქმე დღეს. თუ საარჩევნო რეგიონში ორზე მეტი კანდიდატი დარეგისტრირდა და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, მეორე ტურში კენჭს იყრის მხოლოდ ის ორი კანდიდატი, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ სამმა ან მეტმა კანდიდატმა მიიღო ხმების ყველაზე მეტი, მაგრამ თანაბარი რაოდენობა, მეორე ტურზე ყველა დაიშვება. თუ ერთმა კანდიდატმა მიიღო ყველაზე მეტი ხმა, მომდევნო ორმა ან მეტმა კანდიდატმა კი ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მეორე ტურზე ყველა დაიშვება.

მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ხმათა უბრალო უმრავლესობა მოიპოვა.

თუ მეორე ტურში კანდიდატებმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ბულგარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ცენტრალური საარჩევნო კომისიის წინადადების საფუძველზე ნიშნავს ახალ არჩევნებს.

თუ მეორე ტურზე ორი კანდიდატი იქნა დაშვებული და ერთ-ერთი მათგანი პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდში განსაკუთრებული შემთხვევის (გარდაცვალება, ავადმყოფობა და სხვ.) გამო ჩამოშორდა არჩევნებს, იმართება ახალი არჩევნები.

თუ მეორე ტურზე დაშვებული ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდში თავისი ნებით ჩამოშორდა არჩევნებს პირველი ტურის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში, მეორე ტურში მონაწილეობს მოპოვებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატი.

დიდი ბრიტანეთი

2000 წელს 37 ქალაქში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით, დიდი ბრიტანეთის 12 ქალაქში მერი პირდაპირი წესით არჩევა.

პროცედურა. ამომრჩეველს საშუალება აქვს, ხმა ორ სასურველ კანდიდატს მისცეს. იგი აკეთებს პირველი რიგის არჩევანს და მეორე რიგის არჩევანს (ალტერნატიული კენჭისყრა).

ხმების დათვლის პროცედურები. ხმების დათვლა იწყება საარჩევნო უბნებზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის ანგარიშში მიეთითება შემდეგი მაჩვენებლები:

1. გამოყენებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
2. გაუქმებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
3. პირველი რიგის არჩევანთა საერთო რაოდენობა;
4. პირველი რიგის არჩევანის მიხედვით თითოეულ კანდიდატზე ხმათა გადანაწილება (რაოდენობები);
5. მეორე რიგის არჩევანის მიხედვით თითოეულ კანდიდატზე ხმათა გადანაწილება (რაოდენობები), პირველი რიგის არჩევანით ხმების გადანაწილების გათვალისწინებით (ეს მონაცემი გამოიყენება ხმების დათვლის მეორე ეტაპზე).

ამის შემდეგ ხმებს აჯამებს ცენტრალური საარჩევნო კომისია. თავდაპირველად ჯამდება პირველი რიგის არჩევანის მიხედვით გადანაწილებული ხმები.

თუ პირველი რიგის არჩევანის მიხედვით ვერცერთმა კანდიდატმა ვერ გადალახა 50%-იანი ბარიერი, გამარჯვებულის გამოსავლენად ითვლება ორი (ან შესაძლებელია სამი ან მეტი) დაწინაურებული კანდიდატის მიერ მეორე რიგის არჩევანის მიხედვით მიღებული ხმები:

1. ხმების დათვლის მეორე ეტაპზე არ გაითვალისწინება ის ბიულეტენები, რომლებითაც პირველი რიგის არჩევანი ამ დაწინაურებულ კანდიდატებს შორის არის გაკეთებული.
2. დარჩენილი ბიულეტენებით გაკეთებული მეორე რიგის არჩევანის მიხედვით ითვლება მეორე ტურში გასულ კანდიდატებზე გადანაწილებული ხმები;

3. კანდიდატების მიერ მიღებული ხმათა რაოდენობები ემატება ხმების დათვლის პირველი ეტაპის შედეგებს.

გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა მიიღო. თუ ხმების დათვლის შედეგად კანდიდატებს ხმების თანაბარი რაოდენობა აღმოაჩნდათ, გამარჯვებულს ცენტრალური საარჩევნო კომისია წილისყრით გამოავლენს.

ხმების დათვლის აღნიშნული სისტემა გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში ორზე მეტი კანდიდატი მონაწილეობს. თუ კენჭს ორი კანდიდატი იყრის, ითვლება მხოლოდ მათ შორის ხმების გადანაწილების პროცენტი. თუ მხოლოდ ერთი მერობის კანდიდატია წარდგენილი, იგი პირდაპირ ითვლება არჩეულად.

არჩევის ეს წესი გამოიყენება ინგლისის ყველა ქალაქში, სადაც მერის თანამდებობა არჩევითია.

ისრაელი

პროცედურა. თუ მერის ან ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებზე ერთზე მეტი კანდიდატია წარდგენილი, გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც მეტი ხმა მიიღო. ამ ხმების რაოდენობა უნდა აჭარბებდეს ლეგიტიმური ხმების 40%-ს.

მეორე ტური. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმართება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

მაკედონია

პროცედურა. მერის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მოიპოვა ხმათა უბრალო უმრავლესობა იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 1/3-ზე მეტმა. თუ დასახელებულია ერთი კანდიდატი და მან პირველ ტურში ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, კენჭისყრის პროცედურები მეორდება.

მეორე ტური. თუ არჩევნებში მონაწილეობა რამდენიმე კანდიდატმა მიიღო და ვერცერთმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, იმართება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა.

მოლდოვის რესპუბლიკა

პროცედურა. მერის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

მეორე ტური. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა, ტარდება მეორე ტური. მასში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მეტი ხმა დააგროვა, მიუხედავად იმისა, რამდენმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

არჩევნები არჩატარებულად ითვლება, თუ ცალკეული ოლქების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო სიებში შეყვანილი ამომრჩევლების 1/4-ზე ნაკლებმა.

პოლონეთის რესპუბლიკა

პროცედურა. კომუნის თავმჯდომარის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

მეორე ტური. თუ პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, პირველი ტურის ჩატარებიდან მე-14 დღეს იმართება მეორე ტური. მასში მონაწილეობს ის ორი კანდიდატი, რომელთაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს.

თუ პირველ ტურში ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მათ უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ განმეორებით არჩევნებში. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვა.

განმეორებით არჩევნებში კანდიდატების მიერ ხმათა თანაბარი რაოდენობის მიღების შემთხვევაში გამარჯვებულს კომუნის საარჩევნო კომისია წილისყრით გამოავლენს.

რუმინეთი

პროცედურა. მერის არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

მეორე ტური. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ინიშნება მეორე ტური.

სლოვენია

პროცედურა. მერი აირჩევა ორტურიანი მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე. გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

მეორე ტური. თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მოიპოვა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, იმართება მეორე ტური იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა დააგროვეს.

თუ მეორე ტურში ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, გამარჯვებული წილისყრით ვლინდება.

ხორვატია

პროცედურა. თუ მერის არჩევნების პირველ ტურში ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა – 50%-ზე მეტი, პირველი ტურის ჩატარებიდან მე-14 დღეს იმართება განმეორებითი არჩევნები (არჩევნების მეორე ტური). მეორე ტურში მონაწილეობს ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

თუ სიაში არსებულმა მეორე და მესამე კანდიდატებმა პირველ ტურში ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღეს და ვერ დადგინდა, რომელ კანდიდატს აქვს მეორე ტურში მონაწილეობის უფლება, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

თუ ერთი ან ორივე კანდიდატი, რომელმაც/რომელთაც პირველ ტურში ყველაზე მეტი ხმა მიიღო/მიიღეს, უარს ამბობს/ამბობენ მეორე ტურზე, მასში მონაწილეობის უფლება ენიჭება მოპოვებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატს.

მეორე ტურის დატოვების შესახებ წერილობით განცხადებას კანდიდატი წარუდგენს შესაბამის საარჩევნო კომისიას მეორე ტურის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ორი დღის ვადაში. კომისია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოპოვებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატს, რომ მას უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს მეორე ტურში. ასეთი კანდიდატის ვინაობას საარჩევნო კომისია 24 საათის განმავლობაში აცხადებს.

მეორე ტურში გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი მიიღო.

თუ მეორე ტურში მონაწილე ერთ-ერთი კანდიდატი პირველ და მეორე ტურებს შორის პერიოდში გარდაიცვალა, ინიშნება ხელახალი არჩევნები.

თუ მეორე ტურში ორმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, იმართება არჩევნების მესამე ტური მეორე ტურისთვის გათვალისწინებული მეთოდებისა და პროცედურების გამოყენებით.

თუ მესამე ტურშიც ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა და გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, ტარდება ხელახალი არჩევნები.

ალბანეთი

პროცედურა. მერის თანამდებობაზე არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც ხმათა უბრალო უმრავლესობა მოიპოვა.

თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, გამარჯვებული წილისყრით ვლინდება.

ავსტრალია – ვიქტორიას შტატი, მელბურნი

პროცედურა. ამომრჩეველს შეუძლია ხმა მისცეს ერთზე მეტ მისთვის სასურველ მერობის კანდიდატს. ამომრჩეველი კანდიდატების გვარებს ციფრებით აღნიშნავს (პრეფერენციული სისტემა). ციფრების რიგითობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კანდიდატს ანიჭებს ამომრჩეველი უფრო მეტ უპირატესობას. ფაქტობრივად, ამომრჩეველი კანდიდატების რეიტინგს ადგენს. მერი აირჩევა ალტერნატიული კენჭისყრის სისტემით.

ვიქტორიას შტატის მცირე ქალაქებში მერები არაპირდაპირი არჩევნებით აირჩევიან.

ბოსნია-ჰერცეგოვინა, თურქეთი, სლოვაკეთი, ჩილე

პროცედურა. მერის არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭიროა ხმათა უბრალო უმრავლესობის მოპოვება.

უნგრეთი

პროცედურა. მერის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ კანდიდატს, რომელსაც:

1. მხარს უჭერს ამომრჩეველთა სულ ცოტა 3% იმ დასახლებაში, სადაც 10 000 ან ნაკლები მოსახლეა;
2. მხარს უჭერს ამომრჩეველთა 2%, მაგრამ სულ ცოტა 300 ამომრჩეველი იმ დასახლებაში, სადაც 100 000 ან ნაკლები მოსახლეა;
3. მხარს უჭერს ამომრჩეველთა 1%, მაგრამ სულ ცოტა 2 000 ამომრჩეველი იმ დასახლებაში, სადაც 100 000-ზე მეტი მოსახლეა.

იმ კანდიდატს, რომელსაც მხარს უჭერს ამომრჩეველთა 0,5% დედაქალაქში, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დედაქალაქის მერის არჩევნებში.

გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო ყველაზე მეტი ხმა, მინიმუმ ერთი ხმით მეტი, ვიდრე მისმა ოპონენტმა.

მეორე ტური. თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა მიიღო, ინიშნება მეორე ტური.

უკრაინა

პროცედურა. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში მერობის კანდიდატი არჩევნებში გამარჯვებულად ითვლება, თუ მას ამომრჩეველთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

თუ ორმა ან მეტმა კანდიდატმა ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, საოლქო საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას, დანიშნოს განმეორებითი არჩევნები აღნიშნულ კანდიდატებს შორის გამარჯვებულის გამოსავლენად. განმეორებითი არჩევნები ტარდება არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

დანართი N4

საარჩევნო სისტემები

საარჩევნო სისტემა, ფართო გაგებით, სახელმწიფოს არჩევითი (წარმომადგენლობითი) ორგანოს ფორმირების წესია, ვიწრო გაგებით – კენჭისყრის შედეგების საფუძველზე არჩევით ორგანოში ადგილების განაწილების წესი (სისტემა), საარჩევნო ფორმულა.

იდეალური საარჩევნო სისტემა არ არსებობს. ამა თუ იმ სისტემის არჩევა ქვეყანასა და პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მიზანი, რომლის მიღწევაც უნდა უზრუნველყოს საარჩევნო სისტემამ. ეს მიზანი მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევის უზრუნველყოფაა. სამართლიანი წარმომადგენლობა კი შეიძლება სხვადასხვა გზით იქნეს მიღწეული, მათ შორის გეოგრაფიული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური, ასევე ასახვით.


გეოგრაფიული წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, როდესაც დეპუტატები არჩეულები არიან ცალკეული რეგიონებიდან, შესაბამისი რეგიონის ამომრჩეველების მიერ. არჩეული წარმომადგენლები ანგარიშვალდებულები არიან საკუთარი რეგიონის წინაშე.

პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, როდესაც წარმომადგენლობით ორგანოში წარმოდგენილია სხვადასხვა პარტიულ-პოლიტიკური სპექტრი და განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ჯგუფები.

ასახვითი (ადეკვატური) წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია, როდესაც საკანონმდებლო ორგანო არის „ერის/ხალხის ანარეკლი“, რომელიც ფიქრობს, გრძნობს და მოქმედებს ისე, როგორც ერი/ხალხი. ასახვითი საკანონმდებლო

ორგანო მოიცავს მოსახლეობის ყოველი ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელს (ქალს და მამაკაცს, ახალგაზრდას და ხანდაზმულს, მდიდარს და ღარიბს, და ასახავს სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს, ენობრივ თემებს და ეთნიკურ ჯგუფებს).

ძირითადი საარჩევნო სისტემები. საარჩევნო სისტემები ორ ძირითად – **მაჟორიტარულ** და **პროპორციულ** საარჩევნო სისტემების ოჯახებად იყოფა. მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შეიქმნა ე.წ. **შერეული** საარჩევნო სისტემების ოჯახი, რომელიც აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების ელემენტებს. გარდა ამ კლასიფიკაციისა არსებობს ე.წ. „სხვა საარჩევნო



სისტემების ოჯახი“, რომელშიც ერთიანდებიან ის საარჩევნო სისტემები, რომლებიც ერთი ნიშნით (მრავალმანდატიანი ოლქი) პროპორციული საარჩევნო სისტემებს გვანან, მაგრამ, მეორე მხრივ (კენჭისყრის პროცესი), მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მსგავსად მიმდინარეობენ.⁸⁵

საარჩევნო სისტემები რამდენიმე საკვანძო ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს ნიშნებია:

- საარჩევნო ოლქების მასშტაბი (ერთმანდატიანი/მრავალმანდატიანი);
- საარჩევნო ბიულეტენის სტრუქტურა (კატეგორიული/პრეფერენციული);
- საარჩევნო ზღუდბლი (ბარიერი);
- საარჩევნო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია საარჩევნო ფორმულა, რომელიც განსაზღვრავს მიღებული ხმების მიხედვით მოპოვებული მანდატების რაოდენობას.

⁸⁵ Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 – International Institute for Democracy and Electoral Assistance; „საარჩევნო სისტემები“ – საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი, კანონმდებლობითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების განყოფილების კვლევითი მასალები.

პლურალისტური/მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების ოჯახი. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა უმეტესად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება, თუმცა შესაძლებელია მისი მრავალმანდატიან ოლქებში გამოყენებაც. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას მანდატს მხოლოდ ის კანდიდატი მოიპოვებს, რომელმაც კანონით დადგენილი ხმების უმრავლესობა მიიღო. გამოიყოფა 5 ძირითადი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა:

- ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემა (FPTP);
- ბლოკური კენჭისყრა (BV);
- პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა (PBV);
- ალტერნატიული კენჭისყრა (AV);
- ორტურიანი სისტემა (TRS).

ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში გამარჯვებულად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს. შედეგის დასადგენად საკმარისია ერთი ტურის გამართვა. როდესაც ამ სისტემის გამოყენებით იმართება კენჭისყრა მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში, იგი ბლოკურ კენჭისყრად გარდაიქმნება. **ბლოკური კენჭისყრით** ჩატარებულ არჩევნებში თითოეულ ამომრჩეველს აქვს იმდენი ხმა, რამდენი კანდიდატიც არის ასარჩევი მოცემულ საარჩევნო ოლქში. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს, მიუხედავად მათი ხმების პროცენტული მაჩვენებლებისა.

თუ ამომრჩევლები მრავალმანდატიან ოლქში ხმას არა კანდიდატებს, არამედ, პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნები **პარტიულ-ბლოკური კენჭისყრით** ტარდება. ამ სისტემით გამართულ არჩევნებში გამარჯვებულად ის პარტია მიიჩნევა, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებს (ესაა სისტემა, რომლის დროსაც „გამარჯვებული ისაკუთრებს ყველა მანდატს“).

ალტერნატიული კენჭისყრისას და ორტურიან სისტემაში არჩეულად ის კანდიდატი მიიჩნევა, რომელიც ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ ხმების საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტს ($50\% + 1$) მიიღებს (მაგ. 10-ის აბსოლუტური უმრავლესობაა $10/2+1=6$; 11-ის აბსოლუტური უმრავლესობა ასევე არის 6 ($11/2=5.5$, მიღებული განაყოფი მრგვალებდა მეტობით)).

ორტურიან სისტემაში ამომრჩევლები ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევენ. ალტერნატიული კენჭისყრის დროს ამომრჩეველი ხმას ერთ კანდიდატს აძლევს, მაგრამ სხვებსაც მიუთითებს (შეუძლია არც მიუთითოს), უპირატესობის რიგითობის მინიჭებით (კანდიდატების მონაცემების გასწვრივ შესაბამისი ციფრების დაწერით. მაგალითად, ამომრჩეველი მისთვის ყველაზე სასურველი კანდიდატის გვარის გასწვრივ წერს ციფრს 1, შემდეგი სასურველი კანდიდატის (ანუ ვის ისურვებდა იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ პირველად შერჩეული

კანდიდატი არჩევნების შედეგად ვერ გაიმარჯვებდა) გასწვრივ წერს ციფრს 2 და ა.შ.). ხმათა დათვლის დროს საარჩევნო ბიულეტენები ამა თუ იმ კანდიდატის პირველი ხმების მიხედვით ლაგდება.

თუ ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, გამარჯვებულის გამოსავლენად ორტურიან სისტემაში გამოიყენება მეორე ტური (კენჭი ეყრება საუკეთესო შედეგის მქონე ორ კანდიდატს, რომელთაგან გამარჯვებული ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით განისაზღვრება), ხოლო ალტერნატიული კენჭისყრის დროს, თუ პირველი დათვლით ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა აბსოლუტური უმრავლესობა, ის კანდიდატი, რომელმაც ყველაზე ნაკლები ხმა მიიღო, სიიდან ამოიღება. ამასთანავე, მისი მეორე ხმები დარჩენილ კანდიდატებზე გადანაწილდება. ეს პროცესი მანამდე გრძელდება, სანამ ხმათა ასეთი გადანაწილებით რომელიმე კანდიდატი მათ აბსოლუტურ უმრავლესობას არ მიიღებს⁸⁶.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის დადებითი მხარეები:

- ის გასაგებად მარტივია (ამომრჩეველი ხმას კონკრეტულ კანდიდატს აძლევს და ნათლად ჩანს, სხვებს ვინ აჯობა);
- შედარებით მცირეა იმის ალბათობა, რომ არჩეული ორგანო პოლიტიკურად „ჭრელი“ აღმოჩნდეს.

მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის უარყოფითი მხარეები:

- ე.წ. დაკარგული ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩეველთა რაოდენობა, რომლებმაც სხვა კანდიდატებს, ანუ გამარჯვებულის წინააღმდეგ, მისცეს ხმა) შეიძლება საგრძნობი აღმოჩნდეს – გამარჯვებულის მიერ მიღებულ ხმებზე მეტიც კი (ეს სისტემის მოდიფიკაციაზეა დამოკიდებული);
- მხარდამჭერთა რაოდენობით მეორე პარტიამ, თუნდაც ის ამ მაჩვენებლით პირველ ადგილზე მყოფ პარტიას უმნიშვნელოდ ჩამორჩებოდეს, შეიძლება ვერცერთი (ან ძალიან ცოტა) მანდატი მიიღოს – თუ ორივე პარტიის მხარდამჭერები თანაბრად არიან განაწილებული საარჩევნო ოლქებში;
- მხარდამჭერთა რაოდენობით პირველმა პარტიამ შეიძლება უფრო ნაკლები მანდატი მიიღოს, ვიდრე გავლენით მეორე პარტიამ, თუ მის მხარდამჭერთა დიდი რაოდენობა რამდენიმე მსხვილ საარჩევნო ოლქშია კონცენტრირებული, უფრო მეტ ოლქში კი მის მხარდამჭერთა რაოდენობა ოდნავ ნაკლებია მეორე პარტიისაზე.

ამრიგად, შეიძლება ისე მოხდეს, რომ არჩეულ ორგანოში მანდატების უმრავლესობა მოსახლეობის უმცირესობის (შესაძლოა, მნიშვნელოვანი უმცირესობის) წარმომადგენელთა ხელში აღმოჩნდეს. ეს კი ეწინააღმდეგება დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს – ხალხის უმრავლესობის

⁸⁶ https://www.youtube.com/watch?v=wA3_t-08Vr0

მმართველობის პრინციპს. საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ გაურკვეველი პოლიტიკური შეხედულებების, მაგრამ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისთვის კარგად ცნობილმა ან დიდი ფინანსური შესაძლებლობის მქონე (თუნდაც სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის არმქონე) პირმა გაიმარჯვოს, თანაც შეიძლება მას მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდეს (ასეთი მდგომარეობა ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი).

პროპორციული საარჩევნო სისტემების ოჯახი. პროპორციული საარჩევნო სისტემის გამოყენებისას საარჩევნო ოლქი ყოველთვის მრავალმანდატიანია და პარტიებს შორის მანდატები ოლქში⁸⁷ მათ მიერ მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება. პროპორციული საარჩევნო სისტემები ერთმანეთისგან იმით განსხვავდება, თუ როგორ აძლევს ხმას ამომრჩეველი; მთელი ქვეყანა ერთი მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქია თუ რამდენიმე მრავალმანდატიან ოლქად არის დაყოფილი, როგორია საარჩევნო ზღურბლი და როგორ ნაწილდება მანდატები პარტიებს შორის. პროპორციული საარჩევნო სისტემის ძირითადი სახეობებია:

- სიითი პროპორციული წარმომადგენლობა (List PR);
- ერთი გადაცემადი ხმის სისტემა (STV).

პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს საარჩევნო ზღურბლის (ბარიერის) მნიშვნელობა. პროპორციული საარჩევნო სისტემის შეუზღუდავი გამოყენება ხშირად არჩევით ორგანოში მრავალი პატარა პარტიის ნაკლებად გავლენიანი, მაგრამ ამბიციური წარმომადგენლების მოხვედრას იწვევს. საარჩევნო ზღურბლი არის პარტიული სიის მიერ მიღებულ ხმათა მინიმალური პროცენტული რაოდენობა (არჩევნების ან კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობიდან), რომელიც პარტიას უფლებას აძლევს, მონაწილეობა მიიღოს მანდატების განაწილებაში. მისი დანესება ხელს უშლის წარმომადგენლობით ორგანოში ძალიან სუსტ პარტიათა წარმომადგენლების მოხვედრას, რომლებიც, ცხადია, ამ ორგანოში ამინდს ვერ შექმნიან, მაგრამ შეიძლება პრობლემები შეუქმნან არა მარტო უმრავლესობის ჩამოყალიბებას, მთავრობის შექმნას და შემდგომ საჭირო გადაწყვეტილებათა მიღებას, არამედ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებასაც. თუმცა საარჩევნო ზღურბლის დანესებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მაღალი ზღურბლის შემთხვევაში შეიძლება ზღურბლგადალახულ პარტიათა მიერ მიღებული ხმების ჯამური რაოდენობა მათ მონინალმდეგეთა რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდეს და არჩეულ ორგანოში მხოლოდ უმცირესობის წარმომადგენლები მოხვდნენ; მით

⁸⁷ საარჩევნო ოლქის შექმნის ორი მეთოდი არსებობს: პირველი (უფრო გავრცელებული) – როდესაც საარჩევნო ოლქის საზღვრები ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის საზღვრებს ემთხვევა; მეორე (უფრო იშვიათი; ძირითადად პრეზიდენტის არჩევისას გამოიყენება) – როდესაც მთელი ქვეყნის ტერიტორია ერთი საარჩევნო ოლქია.

უმეტეს, რომ ზღურბლის მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებული ხმები გამარჯვებულ პარტიებზე ნაწილდება.⁸⁸

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის (List PR) დროს იქმნება ერთი მრავალმანდატიანი ოლქი (ქვეყნის მასშტაბით). ამომრჩეველი ხმას აძლევს ერთ პარტიულ სიას (პარტიას). გამარჯვებულად მიიჩნევა ის ერთი ან რამდენიმე პარტია, რომლებიც საარჩევნო ბარიერს გადალახავენ. ბარიერგადალახული პარტიები მანდატებს მიღებული ხმების პროპორციულად მოიპოვებენ.

მანდატების განაწილების მეთოდები. საერთაშორისო პრაქტიკაში მანდატების განაწილების მეთოდთა ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყენება:

- კვოტირების მეთოდი;
- გამყოფთა მეთოდი.

კვოტირების მეთოდით დათვლისას თითოეული სია მანდატებს საარჩევნო კვოტის მიხედვით იღებს. ეს ორსაფეხურიანი პროცესია: ჯერ განისაზღვრება საარჩევნო კვოტა – ერთი მანდატის მისაღებად საჭირო ხმათა ყველაზე მცირე რაოდენობა (ე. ი. მანდატის „კუთრი წონა“) – და შემდეგ კვოტის საშუალებით მიღებული ხმების პროპორციულად ნაწილდება მანდატები.

საარჩევნო კვოტა სხვადასხვა ფორმულის მეშვეობით განისაზღვრება. მარტივი, ანუ **ჰარეს კვოტის** მეთოდით კანდიდატის არჩევისთვის აუცილებელი კვოტა სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობის გასაწილებელი მანდატების რაოდენობაზე გაყოფით გამოითვლება. მაგალითად, თუ საერთო ჯამში 100 (მოქმედი) ხმაა მიცემული და 20 დეპუტატის ადგილი უნდა შეივსოს, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად სიამ არანაკლებ 5 ($100:20=5$) ხმა უნდა დააგროვოს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამ გამოთვლით ყველაზე პროპორციული შედეგის მიღებაა შესაძლებელი.

გამყოფთა მეთოდის არსი ისაა, რომ ყოველი სიის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა რიცხვთა ზრდად მწკრივზე იყოფა. მიღებული განაყოფები კლებადობით ლაგდება. ის განაყოფი, რომლის რიგითი ნომერი გასაწილებელი მანდატების რაოდენობის ამსახველ რიცხვს ემთხვევა, იქნება საარჩევნო კვოტა. ფაქტობრივად, კვოტა განაყოფთა მიღებულ მწკრივში უმცირესი რიცხვია. მისი ტოლი და მასზე მეტი განაყოფების მქონე სიები პროპორციულად ინაწილებენ მანდატებს. მანდატების განაწილების პროცესი პრაქტიკულად ერთ ეტაპად ხორციელდება. გამყოფთა მეთოდები ერთმანეთისგან მხოლოდ გამყოფთა მწკრივის ტიპით განსხვავდება: **დ'ჰონტის**

⁸⁸ დამკვიდრებული დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური (პარტიული) სისტემა ჩამოყალიბებულია და არჩევნებში ძირითადად ორი-სამი ძლიერი პარტია მონაწილეობს, საარჩევნო ბარიერი მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე; გადამაჯავლი დემოკრატიის ქვეყნებისათვის კი სასურველია, რომ საარჩევნო ზღურბლის სიდიდე 3–5%-ს არ აღემატებოდეს.

ფორმულის გამოყენებისას თითოეული პარტიული სიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა იყოფა გასანაწილებელი მანდატების რაოდენობის შესაბამის ნატურალურ რიცხვთა მწკრივზე (1, 2, 3, 4 და ა.შ.).

გასანაწილებელი 4 მანდატი	პარტიული სიების მიერ მიღებული ხმები			
გამყოფი	I პარტია 12 000	II პარტია 10 000	III პარტია 7 000	IV პარტია 5 000
1	12 000	10 000	7 000	5 000
2	6 000	5 000	3 500	2 500
3	4 000	3 333,3	2 333,3	1 666,6
4	3 000	2 500	1 750	1 250
მიღებული მანდატები	2 მანდატი	1 მანდატი	1 მანდატი	მანდატი ვერ მიიღო

ერთი გადაცემადი ხმის სისტემა (STV) მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში გამოიყენება. ამომრჩეველს რამდენიმე ხმა აქვს, მაგრამ ფაქტობრივად მათ იყენებს, როგორც ერთ გადაცემად ხმას. ამომრჩევლები ახდენენ საარჩევნო ბიულეტენებში კანდიდატთა რანგირებას უპირატესობების მიხედვით. ეს სისტემა ითვალისწინებს არა მხოლოდ პირველ, არამედ მეორე და მესამე უპირატესობებსაც.

ხმების დათვლის პირველ ეტაპზე შემოწმდება კანდიდატთა პირველი უპირატესობები და კანდიდატები განლაგდებიან მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით (პირველი უპირატესობების შესაბამისად). შემდეგ დადგინდება პირველი უპირატესობების საერთო რაოდენობა და გამოითვლება საარჩევნო კვოტა.

აღნიშნული სისტემით კანდიდატი არჩეულად მიიჩნევა, თუ იგი საარჩევნო კვოტის საშუალებით მიღებულ ხმათა რაოდენობას დააგროვებს (კვოტის გამოსათვლელად ძირითადად **დრუპის კვოტა** გამოიყენება. არჩევისთვის საჭიროა კანდიდატმა მიიღოს იმ განაყოფზე თუნდაც ერთი მთელი ხმით მეტი, რომელიც ამომრჩეველთა საერთო ხმების რაოდენობის ერთი ერთეულით გაზრდილ მანდატების რაოდენობაზე გაყოფით მიიღება. მაგალითად, თუ საერთო ჯამში 105 (მოქმედი) ხმაა მიცემული და 20 დეპუტატის ადგილი უნდა შეივსოს, ცხადია, ერთი მანდატის მისაღებად კანდიდატმა არანაკლებ 5 ($105/(20+1)+1=5$) ხმა უნდა დააგროვოს). ჩვეულებრივ, პირველი დათვლის შემდეგ რამდენიმე გაუნაწილებელი მანდატი რჩება. ასეთ შემთხვევაში არჩეული კანდიდატის ზედმეტი/ჭარბი საარჩევნო ბიულეტენები/ხმები სხვებს გადაუნაწილ-

დება. ამისთვის გადამწყვეტია ამ კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენებში არსებული მეორე უპირატესობები⁸⁹.

ზოგადად, პროპორციული საარჩევნო სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოყალიბდეს:

დადებითი მხარეები:

- უზრუნველყოფილია სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მქონე მოსახლეობის სამართლიანი წარმომადგენლობის არჩევა. სახელდობრ, პარტიის მიერ მოპოვებულ მანდატთა რაოდენობა მიღებულ ხმათა რაოდენობის პროპორციულია;
- „დაკარგული“ ხმების რაოდენობა ძალიან მცირეა;
- პარტიას შეუძლია პარტიული სიის მეშვეობით უზრუნველყოს სათანადო განათლების, გამოცდილებისა და უნარის მქონე, მაგრამ ამომრჩევლებისთვის ნაკლებად ცნობილი პირის არჩევა.

უარყოფითი მხარეები:

- ამომრჩევლისთვის რთულია პარტიული სიებით წარდგენილი კანდიდატების ვინაობის გარკვევა. გადამწყვეტილებას იგი, ჩვეულებრივ, პარტიის ლიდერთა მიმართ თავისი დამოკიდებულების მიხედვით იღებს. ამის გამო კი, არცთუ იშვიათად, არჩეულ პირთა შორის ისეთებიც ხვდებიან, რომელთა ფუნქციაც ფაქტობრივად, მხოლოდ კვორუმის შექმნა და კენჭისყრაში მონაწილეობაა (ასეთი მდგომარეობა ე.წ. „ახალი დემოკრატიის“ ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი);
- იმ პირობებში, როდესაც პარტიების შიგა მოწყობა საკმაოდ ხშირად არადემოკრატიულია, პარტიულ სიებს მხოლოდ პარტიის ხელმძღვანელები (და არა პარტიის წევრები) ადგენენ. გამორიცხული არაა, რომ მათ ეს სიები პირადი ერთგულების პრინციპით შეადგინონ (თუმცა ეს შინაპარტიული პრობლემა და დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთი რამ იშვიათად ხდება);
- თუ ქვეყანაში პოლიტიკური სიჭრელეა, წარმომადგენლობითი ორგანოც ძალიან „ჭრელი“ გამოვა, რაც, როგორც წესი, პოლიტიკურ არასტაბილურობას იწვევს. თუმცა არსებობს მეთოდი, რომლითაც „სიჭრელის“ თავიდან აცილება ხდება. ესაა ე.წ. საარჩევნო ზღურბლის შემოღება.

შერეული საარჩევნო სისტემების ოჯახი. არაერთ ქვეყანაში სხვადასხვა საარჩევნო სისტემის დადებით მხარეთა გაერთიანების და ნაკლოვანებათა შემცირების მიზნით გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემების უბრალო გაერთიანებით ან ამ სისტემათა ცალკეული ელემენტების გაერთიანებით მიიღება.

⁸⁹ https://www.youtube.com/watch?v=y-4_yuK-K-k

შერეულ საარჩევნო სისტემაში სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემის ელემენტები.

შერეული საარჩევნო სისტემის ყველაზე მარტივი ფორმაა **პარალელური კენჭისყრა (Parallel)**. ამ სისტემით წარმომადგენლობითი ორგანო სანახევროდ მაჟორიტარული, სანახევროდ კი – პროპორციული საარჩევნო სისტემით არჩეული დეპუტატებით კომპლექტდება. პარალელური კენჭისყრის სისტემა ითავსებს პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემების დადებით ნიშნებს. ის იმ საარჩევნო სისტემების ვარიანტია, რომლებშიც წარმომადგენლები აირჩევიან როგორც გეოგრაფიული საარჩევნო ოლქებიდან, ისე მთელი ქვეყნის მასშტაბით პროპორციული საარჩევნო სისტემით, პარტიული სიებით. ამომრჩეველს აქვს ორი ხმა – ერთი პარტიული სიისთვის და მეორე – საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატისთვის. საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი ძირითადად ფარდობითი უმრავლესობის პრინციპით აირჩევა. პარტიული სიით წარდგენილ კანდიდატებს პარტიის მიერ მიღებული ხმებიდან გამომდინარე ირჩევენ. ეს კანდიდატები მანდატებს იმ რიგითობის მიხედვით მიიღებენ, რომელიც პოლიტიკურმა პარტიამ არჩევნების დაწყებამდე წარადგინა.

შერეული წევრობის სისტემა (MMP). ეს სისტემა გამოიყენება გერმანიაში. იგი ცდილობს მაჟორიტარული და პროპორციული წარმომადგენლობების დადებითი ასპექტები გააერთიანოს. აღნიშნული სისტემა სტრუქტურით პარალელური კენჭისყრის მსგავსია, თუმცა მისი გამორჩეული მახასიათებელი არის ის, რომ სიითი პროპორციულობით მიღებული მანდატები ერთმანდატიანი მაჟორიტარული არჩევნებით გამოწვეული ნებისმიერი დისპროპორციის კომპენსირებას ახდენს.

მაგალითი: გასანაწილებელია 100 მანდატი, მათ შორის, 50 მაჟორიტარული

საარჩევნო სუბიექტი	მაჟორიტ. საარჩ. სისტ. მიღებული ხმები	პროპორც. საარჩ. სისტ. მიღებული ხმების %	მანდატებში გამოსახული პროპორცია	მანდატები პარტიული სიიდან	მიღებული მანდატების საერთო რაოდ.
ა	9	25	25	16 (25–9)	25
ბ	9	10	10	1 (10–9)	10
გ	19	23	23	4 (23–19)	23
დ	2	22	22	20 (22–2)	22
ე	5	13	13	8 (13–5)	13
ვ	6	7	7	1 (7–6)	7
სულ	50				100


სხვა საარჩევნო სისტემები

ამ სისტემების თავისებურება ისაა, რომ ისინი ერთი ნიშნით (მრავალმანდატიანი ოლქი) პროპორციული საარჩევნო სისტემის მსგავსია, მაგრამ, მეორე მხრივ, კენჭისყრის პროცესი მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის მსგავსად მიმდინარეობს. აღნიშნულ სისტემებს განეკუთვნება: ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა (SNTV), შეზღუდული კენჭისყრა (LV), **ბორდას დათვლა (BC)**.

ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქში გამოიყენება. ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს და, ამდენად, ხმას მხოლოდ ერთ კანდიდატს აძლევს. საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატები მიიღებენ მანდატებს მოცემულ საარჩევნო ოლქში.

შეზღუდულ კენჭისყრას მრავალმანდატიან ოლქში იყენებენ. ამომრჩეველს შეუძლია ხმა რამდენიმე კანდიდატს მისცეს. ხმების რაოდენობა შეზღუდულია – იგი გასაზნაოლებელი მანდატების რაოდენობაზე ნაკლები უნდა იყოს. გამარჯვებულია ის კანდიდატი, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს.

ბორდას დათვლა არის პრეფერენციული სისტემა, რომელიც გამოიყენება როგორც ერთმანდატიან, ისე მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში. ამომრჩეველი კანდიდატებს პრეფერენციებს (უპირატესობებს) (1, 2, 3, 4 და ა.შ.) ანიჭებს. დათვლის დროს კანდიდატებს ქულები ენიჭებათ, მაგალითად, ვინც პირველი პრეფერენცია მიიღო – 1 ქულა, ვინც მეორე პრეფერენცია მიიღო – 2 ქულა და ა.შ. ყველა ქულა ჯამდება და გამარჯვებულად ყველაზე ნაკლები ქულების მქონე კანდიდატები ცხადდებიან.



ტერმინთა განმარტება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1. **რეფერენდუმი** - საერთო-სახალხო გამოკითხვა საყოველთაო, თანასწორი და ნების პირდაპირი გამოვლენის მიზნით, ფარული კენჭისყრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომელიც იმართება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე;
2. **პლებისციტი** - ფარული კენჭისყრის გზით საერთო-სახალხო გამოკითხვა განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე ამომრჩეველთა ან მათი ნაწილის აზრის გასაგებად, რომლის შედეგები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისათვის სარეკომენდაციო ხასიათისაა;
3. **არჩევნები** - საარჩევნო პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა;
4. **საერთო არჩევნები** - მორიგი ან რიგგარეშე არჩევნები:
 - 4.1. მორიგი არჩევნები - არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო საქართველოს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და სათანადო კანონებით დადგენილ ვადებში;
 - 4.2. რიგგარეშე არჩევნები - არჩევნები, რომელიც ტარდება საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გამო;

- 4.3. შუალედური არჩევნები – შესაბამის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული არჩევნები, რომელიც ტარდება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობის შესავსებად;
5. **ხელახალი არჩევნები** – არჩევნები, რომლებიც მორიგი არჩევნებისათვის დადგენილი წესით ხელახლა ტარდება:
- 5.1. თუ მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობდა ერთი კანდიდატი და საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მოიხსნა მისი კანდიდატურა;
- 5.2. თუ პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე ვერც ერთმა საარჩევნო სუბიექტმა ვერ გადალახა საარჩევნო ბარიერი, ან არჩევნები არჩატარებულად გამოცხადდა საარჩევნო ოლქების ნახევარზე მეტში;
- 5.3. თუ არჩევნების შედეგები ბათილად იქნა ცნობილი სასამართლოს გადაწყვეტილებით;
6. **განმეორებითი კენჭისყრა** – კენჭისყრა, რომელიც განმეორებით იმართება იმ საარჩევნო უბანში (უბნებში), რომელშიც (რომლებშიც) ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგი;
7. **არჩევნების მეორე ტური** – კენჭისყრა, რომელიც იმართება საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ვადებში, როდესაც არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა;
8. **არჩევნების (კენჭისყრის) დღე** – საერთო, შუალედური ან ხელახალი არჩევნების ჩატარების დღე, ასევე მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის დღე;
9. **საარჩევნო პერიოდი/სარეფერენდუმო პერიოდი** – არჩევნების/რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ გამოცემული სამართლებრივი აქტის ამოქმედების დღიდან შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების/რეფერენდუმის საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნების დღის ჩათვლით დროის მონაკვეთი;
10. **პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები** – საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები პარტიული სიების საფუძველზე;
11. **მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები** – მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრების არჩევნები მაჟორიტარული ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით;
12. **საარჩევნო უფლება** – აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება;
13. **აქტიური საარჩევნო უფლება** – საქართველოს მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და

საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებში, რეფერენდუმში, პლებისციტში

14. **პასიური საარჩევნო უფლება** – საქართველოს მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად;
15. **საარჩევნო რეგისტრაცია** – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ პარტიების, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების, პარტიული სიების, მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარული წესით წარდგენილ ცალკეულ კანდიდატთა რეგისტრაცია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მიღების მიზნით;
16. **საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი** – პირი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიზნით წარდგენილია რეგისტრაციისათვის შესაბამის საარჩევნო კომისიაში;
17. **საარჩევნო სუბიექტი** – შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული პარტია, საარჩევნო ბლოგი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის ან საჯარო ხელისუფლების თანამდებობის კანდიდატი;
18. **საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია** – საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ – ცესკო) და მისი აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიები (შემდგომ – უსკო) და მათი აპარატები, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები;
19. **საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე** – საარჩევნო კომისიის წევრი და აპარატის თანამშრომელი;
20. **პარტია** – „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად მოქმედი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულია არჩევნებში მონაწილეობის მიზნით;
21. **საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი** – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ცესკოს მიერ რეგისტრირებული, საარჩევნო კოლეგიის არანაკლებ 30 წევრის მიერ წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;
22. **მერობის კანდიდატი** – მერის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქე;
23. **პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატი** – საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიულ სიაში შეყვანილი საქართველოს მოქალაქე;

24. **მაჟორიტარი კანდიდატი** - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებული, პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საარჩევნო ოლქში წარდგენილი საქართველოს მოქალაქე;
25. **საარჩევნო ოლქი** - სამოქმედო ტერიტორია (ადმინისტრაციული საარჩევნო დანაყოფი), რომელშიც ხორციელდება არჩევნებისა და რეფერენდუმის ორგანიზება და ტარდება არჩევნები და რეფერენდუმი;
26. **ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქი** - ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი, რომელიც იქმნება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრების მაჟორიტარული წესით ასარჩევად;
27. **საარჩევნო უბანი** - ადმინისტრაციული საარჩევნო დანაყოფი, რომელიც იქმნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კენჭისყრისა და ხმების დათვლისათვის არჩევნებისა და რეფერენდუმის გამართვისას;
28. **მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო (საკრებულო)** - საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულო, თვითმმართველი თემის საკრებულო, თვითმმართველი ქალაქის საკრებულო;
29. **მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო** - მერი;
30. **პოლიტიკური თანამდებობის პირი** - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანო - მერი, სახელმწიფო რწმუნებული;
31. **პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა** - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ - მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლუბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ;
32. **წინასაარჩევნო კამპანია** - საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა;
33. **წინასაარჩევნო აგიტაცია** - ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს

უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდაჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა;

34. **საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯები** – საარჩევნო სუბიექტის/რეფერენდუმში მონაწილის საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების ერთობლიობა, ასევე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონელი და მომსახურება (ასახული საბაზრო ფასებით), გარდა საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული უფასო სარეკლამო დროის ღირებულებისა;
35. **საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯებთან დაკავშირებული ინფორმაცია** – ინფორმაცია საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის ხარჯების, უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის საქონლისა და მომსახურების, შემოწირულების წყაროს, ოდენობის და მიღების თარიღის შესახებ;
36. **საარჩევნო შემოწირულება** – საარჩევნო/სარეფერენდუმო კამპანიის დროს შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის ანგარიშზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩარიცხული ფულადი სახსრები, აგრეთვე უსასყიდლოდ მიღებული ყველა სახის მატერიალური ფასეულობა და მომსახურება, გარდა საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით მიღებული უფასო საეთერო დროის ღირებულებისა;
37. **საარჩევნო დოკუმენტაცია** – საარჩევნო კომისიაში შესული და საარჩევნო კომისიიდან გასული განცხადება, საჩივარი, წერილი, ოქმი, საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური კონვერტი, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სამართლებრივი აქტი, საკონტროლო ფურცლი, სარეგისტრაციო ჟურნალი, ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი, საარჩევნო კომისიის წევრის ახსნა-განმარტება;
38. **ბიომეტრიული რეგისტრაცია** - საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ბიომეტრიული ფოტოსურათის გადაღება და პირადი მონაცემების აღრიცხვა (ანკეტირება), აგრეთვე საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის ფლობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პირზე ეს დოკუმენტი გაიცა საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით ბიომეტრიული რეგისტრაციის გავლის შემდეგ;
39. **სააგიტაციო მასალა** – პლაკატი, დროშა და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზედაც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი;
40. **სააგენტო** – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო;

41. **მხარდაჭერის მიმღები** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით განსაზღვრული პირები;
42. **კენჭისყრის შენობა** - შენობა ან შენობის ნაწილი, რომელშიც განთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის ოთახი;
43. **ფოტოსაღი** - ასლის გადაღები მოწყობილობით გადაღებული ასლი.
44. **საარჩევნო კოლეგია** – საქართველოს პრეზიდენტის არჩევის მიზნით 300 წევრისგან შემდგარი სპეციალური ორგანო, რომლის შემადგენლობა დამტკიცებულია ცესკოს განკარგულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ – 2021 წლის რედაქცია;
3. საქართველოს ორგანული კანონი „რეფერენდუმის შესახებ“;
4. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“;
5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 29 ივლისის 43/2021 დადგენილება - მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის მორიგი არჩევნებისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე;
5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 21 აგვისტოს N33/2017 დადგენილება - საარჩევნო კომისიების სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა მიერ კომისიების სხდომების ფოტოვიდეოგადაღების აღმწერი ინსტრუქცია;
6. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 23 აგვისტოს №55/2021 დადგენილება - მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისას ხმის დათვლის პროცესის ვიდეოფიქსაციის წესის განსაზღვრის შესახებ
7. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილება - ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ.
8. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს N27/2017 დადგენილება - არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა

- და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე.
9. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის N8/2012 დადგენილება - საარჩევნო ადმინისტრაციაში განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
 10. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2021 წლის 26 ივლისის №40/2021 დადგენილება - საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ კენჭისყრის შედეგების ხელახლა დათვლის ვადისა და წესის განსაზღვრის შესახებ
 11. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2021 წლის 5 აგვისტოს №012036/21 ბრძანება - პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ.
 12. „არჩევნების ისტორია“ - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (2009 წ.);
 13. ოთარ მეღლაძე - „კონსტიტუციონალიზმი“ (2008 წ.);
 14. „საქართველო. 2006 წლის ადგილობრივი არჩევნები. დაგროვილი გამოცდილება“ <http://www.coe.int/t/dgap/tbilisi/archives/downloads/Books/Local%20Election-s%202006%20-%20Lessons%20learned%20Geo.pdf>;
 15. მალხაზ მაცაბერიძე - „არჩევნები და საზოგადოება“ (2003 წ.);
 16. მალხაზ მაცაბერიძე - საქართველოს პოლიტიკური სისტემა, სალექციო კურსი თემა 6 - „პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოში“ (2014);
 17. სერგო ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე - „მედიასამართალი“, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა (2014);
 18. „წინასაარჩევნო კამპანიის მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო წესები და რეკომენდაციები“ (მეორე რედაქცია) 25 ივლისი, 2017 წელი - დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისთვის ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „მედიის თავისუფლების, პროფესიონალიზმისა და პლურალიზმის გაძლიერება“ ფარგლებში;
 19. „საარჩევნო სისტემები“ – საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი, კანონშემოქმედებითი საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების კვლევითი მასალები (<http://parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/aparati-9/struqtura/60>);
 20. BRIDGE-ის (დემოკრატიის, მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარება) პროგრამის მასალები;
 21. Electoral System Design: The New International IDEA Handbook. 2005 - International Institute for Democracy and Electoral Assistance;
 22. „საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები“ – კავშირი „იურისტები სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“;

23. პარლამენტისა და პარლამენტარიზმის შესახებ საქართველოში -
საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი -
<http://www.parliament.ge/ge/parlamentis-shesaxeb/parlamentisa-da-parlamentarizmis-shesaxeb-saqartveloshi-21>